

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

გიორგი სანაძე

საქართველოს სამრეწველო პოტენციალის ინოვაციური განვითარებისა და ათვისების ძირითადი მიმართულებები

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
სადისერტაციო ნაშრომი

მეცნიერ-ხელმძღვანელი:
აკადემიკოსი ვლადიმერ შაპავა

თბილისი

2021

სარჩევი

სარჩევი.....	1
აბსტრაქტი	4
შესავალი.....	6
თავი 1. ეკონომიკურ მეცნიერებაში მრეწველობისა და ინოვაციების შესახებ მიდგომების განვითარება.....	13
1.1 მრეწველობის ადგილი და როლი ეკონომიკის რეალურ სექტორში	13
1.2. ეკონომიკის რეალური სექტორისა და მრეწველობის შესახებ თეორიების განვითარება	23
1.3. ადამიანისეული ფაქტორი და ეკონომიკის ინოვაციური განვითარების თეორიული საფუძვლები	35
1.4 ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელობა და პერსპექტივები გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში	54
თავი 2. საქართველოს მრეწველობა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებში	73
2.1 საბჭოთა საქართველოში მრეწველობის განვითარების ძირითადი ტენდენციები მეორე მსოფლიო ომამდელ და ომის შემდგომ პერიოდებში	73
2.2 ნეკროეკონომიკა და პოსტსაბჭოთა საქართველოში სამრეწველო პოტენციალის დაცემის ძირითადი მიზეზები	87
2.3 საქართველოს მრეწველობაში რეტროეკონომიკის დაძლევის ძირითადი მიმართულებები	103
თავი 3. საქართველოს მრეწველობის ინოვაციური განვითარება.....	121
3.1 საქართველოს მრეწველობაში ინოვაციური ტექნოლოგიების მოზიდვის ეკონომიკური მექანიზმები	121
3.2 საქართველოს მრეწველობის განვითარების პერსპექტივები 2030 წლამდე (პესიმისტური, რეალისტური და ოპტიმისტური სცენარები).....	134

დასკვნები და რეკომენდაციები.....	151
გამოყენებული ლიტერატურა.....	157

აბსტრაქტი

ეკონომიკის რეალური სექტორი განიხილება, როგორც მოსახლეობის კეთილდღეობის უმთავრესი ფაქტორი, რადგან იქ შექმნილი პროდუქცია, უწინარესად, ორიენტირებულია საზოგადოებაში არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილებზე. ეკონომიკის რეალური სექტორის ინდუსტრიალიზაცია ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილებისა და დამატებული ღირებულების წარმოქმნას, რაც, თავის მხრივ, მჭიდრო კორელაციაშია ქვეყანაში ეკონომიკის ზრდასთან. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ტენდენცია მიმართულია მრეწველობაში მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინოვაციური პროდუქციის შექმნის აუცილებლობისაკენ. აქედან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საქართველოს სამრეწველო პოტენციალის ინოვაციური განვითარებისა და ათვისების ძირითადი მიმართულებების შესწავლა და შეფასება. შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომის ამოცანებია როგორც მრეწველობის, ინოვაციებისა და ინდუსტრიალიზაციის შესახებ არსებული ძირითადი თეორიული მიდგომების დეტალური შეფასება, ასევე – საქართველოს მრეწველობის სექტორთან დაკავშირებული ტენდენციების ანალიზი, მათ შორის, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებში.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში განხილული საკითხები და მასში გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაცია მნიშვნელოვანია საქართველოს მრეწველობის შესწავლით დაინტერესებული პირებისთვის. უნდა აღინიშნოს ასევე ისიც, რომ ნაშრომში მოცემულია საბჭოთა საქართველოს მრეწველობის ტენდენციების სტატისტიკური მონაცემების დროითი მწკრივი, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან დამუშავებულ ინფორმაციას წარმოადგენს საბჭოთა საქართველოს მრეწველობით ან ზოგადად საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის შესწავლით დაინტერესებული მკვლევრებისთვის.

Abstract

The real sector of the economy is considered as an important welfare indicator of the population in most cases due to an industrialization process generally allows to create of new jobs and additional value-added in the certain country.

The general tendency of the following doctoral thesis is to define relevant needs which are important for producing high technology-based innovative products in the industry sector.

As a general aim of this doctoral study can be considered evaluate key directions w innovative development and the utilization of Georgia's industrial potential. Based on this, the objectives herein are to study in detail the main theoretical approaches regarding industry, innovation and industrialization and the same time make analysis of the appropriate tendency related to the industrial sector of Georgia in soviet and post-soviet periods.

This doctoral research and the statistical information provided within could be important for those who have a relevant interest in studying the industry sector of Georgia. Of note is that this research has reflected a time series of statistical data on the trends vis-à-vis Soviet Georgian industry. This will be of particular use and relevance for those studying this particular part of Soviet Georgian history or the economy of Soviet Georgia.

შესავალი

თემის აქტუალურობა. მას შემდეგ, რაც 1991 წელს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ) დაიშალა, საქართველომ, მსგავსად ხსენებულ კავშირში შემავალი სხვა 14 რესპუბლიკისა, მოიპოვა პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ამ მოვლენამ, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკის რეალურ სექტორზე, მათ შორის, მრეწველობასა და მის პოტენციალზე, რომელიც მრავალი სირთულის წინაშე აღმოჩნდა. აღნიშნული სირთულებების დაძლევა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში საქართველოსთვის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად დარჩა. სირთულები მეტწილად გამოიწვია რთულმა სოციალურმა, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ. ამ გარემოებებმა პრაქტიკულად გაანადგურეს საქართველოს ეკონომიკა და მისი რეალური სექტორი.

საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის საჭიროა ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომლის უმთავრესი აქცენტი წარმართება შემდეგი მიმართულებით:

- ცოდნის ეკონომიკის ხელშეწყობა და მისი განვითარება;
- ინოვაციურ ან/და მაღალტექნოლოგიებზე დაფუძნებული პროდუქციის და მომსახურების წარმოება;
- ეკონომიკის რეალური სექტორის ხელშეწყობა.

აღსანიშნავია, რომ მრეწველობის განვითარება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც პროდუქცია წარმოებულია ინოვაციური ან/და ძირითადი მაღალტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს ქვეყნის ეკონომიკის წინსვლის უმთავრეს წინაპირობას.

როგორც ცნობილია, ეკონომიკის რეალურ სექტორში იქმნება პროდუქცია, რომელსაც ეკონომიკის სხვა დარგებთან ერთად მოიხმარს მოსახლეობა. აქედან გამომდინარე, ეკონომიკის რეალური სექტორი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მოსახლეობის კეთილდღეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ეკონომიკის რეალური სექტორის ინდუსტრიალიზაცია კი, თავის მხრივ, ხელს

უწყობს ახალი სამუშაო ადგილებისა და მეტი დამატებული ღირებულების წარმოქმნას. ყოველივე თქმულის გათვალისწინებით, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის¹ საბოლოო შედეგები მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის ადეკვატური ეკონომიკური პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით. კვლევის შედეგები იძლევა საშუალებას, უშუალოდ საქართველოს ისტორიული პრაქტიკისა და გამოცდილების გათვალისწინებით, მოხდეს შესწავლა ეკონომიკის რეალური სექტორის იმ დარგებისა, რომელთა ინვესტირება აუცილებელი და მნიშვნელოვანია მათი ინოვაციური განვითარების პერსპექტივიდან გამომდინარე. ამრიგად, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ წინამდებარე კვლევა ძალიან აქტუალურია, რადგან მის ფარგლებში გათვალისწინებულია საქართველოს როგორც ინდუსტრიისა და მისი პოტენციალის, ასევე დასაქმების მაჩვენებლების ანალიზი დროით მწკრივში.

საქართველოს სამრეწველო პოტენციალის შესწავლაზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევები, აგრეთვე ამ კვლევების შედეგების ანალიზი და ინტერპრეტაცია მუდმივად არის და იქნება შესაბამისი მკვლევრების ინტერესის საგანი. ყოველივე თქმულიდან გამომდინარე, წინამდებარე კვლევა თავისი შინაარსით ძალიან აქტუალური და მნიშვნელოვანია, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ მასში გამოყენებული მონაცემები დაფუძნებულია შესაბამის ოფიციალურ წყაროებზე, მათ შორის, როგორც დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, ასევე მოპოვების შემდგომ სტატისტიკურ ინფორმაციაზე.

კვლევის პრობლემის მდგომარეობა. მრეწველობის და საზოგადოებისთვის მისი მნიშვნელობის შესწავლა მუდმივად წარმოადგენდა სხვადასხვა სოციალური მეცნიერების (უმთავრესად – ეკონომიკური მეცნიერების) ინტერესისა და კვლევის საგანს. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული საკითხი თავის აქტუალობას არც თანამედროვე ეპოქაში კარგავს.

სამრეწველო სფეროში განხორციელებული ტექნოლოგიური ცვლილებები აგრეთვე განაპირობებენ მრეწველობის შესახებ ადრე არსებული თეორიების

¹ რიგ შემთხვევაში „სადისერტაციო ნაშრომის“ ნაცვლად გამოყენებულია წინადადება: „სადოქტორო კვლევა“.

გადაფასებას. იმის გათვალისწინებით, რომ ამა თუ იმ სახის ნებისმიერი პრობლემის შესწავლა უნდა მოხდეს მისი საწყისი სტადიიდან, კლასიკური თეორიები კვლავ არ კარგავენ თავის აქტუალობას.

მრეწველობასთან დაკავშირებული თეორიები ასახულია ისეთი ავტორების ნაშრომებში, როგორებიც არიან: კ. მარქსი, მ. ვებერი, ი. შუმპეტერი, ჯ. მ. კეინზი, ფ. ნაითი, კ. შვაბი და კ. პერესი.

საქართველოს მრეწველობის შესახებ საუბრისას გამოსარჩევია ისეთი ქართველი ავტორების ნაშრომები, როგორებიც არიან: პავლე გარუჩავა, არჩილ თეთრაული, სერგო სოსელია, ნაზი სულავა და სხვები.

მიზანი და ამოცანები. წინამდებარე სადოქტორო კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს სამრეწველო პოტენციალის ინოვაციური განვითარებისა და ათვისების ძირითადი მიმართულებების შესწავლა და, აქედან გამომდინარე, მათი შეფასება. ამგვარად, აღნიშნული მიზნის მისაღწევად წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში დეტალურად განხილულია:

- მრეწველობის როლი და მისი მნიშვნელობა ეკონომიკის რეალურ სექტორში;
- ადამიანისეული ფაქტორის დანიშნულება ეკონომიკასა და მის ინოვაციურ განვითარებაში;
- ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელობა და მისი სამომავლო პერსპექტივები, განსაკუთრებით – გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში;
- საბჭოთა საქართველოს მრეწველობის ძირითადი ტენდენციები როგორც მეორე მსოფლიო ომამდელ, ასევე მის შემდგომ პერიოდში, დამოუკიდებლობის აღდგენამდე;
- ნეკროეკონომიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში და რეტროეკონომიკის დაძლევის ძირითადი მიმართულებები;
- საქართველოს მრეწველობაში ინოვაციური ტექნოლოგიების მოზიდვის შესაძლო ეკონომიკური მექანიზმები.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ამოცანებს წარმოადგენს:

- მრეწველობის, ინოვაციებისა და ინდუსტრიალიზაციის შესახებ არსებული ძირითადი თეორიული მიდგომების დეტალური შესწავლა;
- საქართველოს მრეწველობასთან დაკავშირებული ტენდენციების ანალიზი როგორც საბჭოთა, ასევე პოსტსაბჭოთა პერიოდებში;
- საქართველოს მრეწველობის ინოვაციური განვითარების ძირითადი მიმართულებების მოძებნა და ანალიზი.

სწორედ ამ გზით არის შესაძლებელი საქართველოში სამრეწველო პოტენციალის განვითარებისა და ათვისების ძირითადი დამაბრკოლებელი პრობლემების გამოყოფა, შეფასება და მათი გადაჭრის სტრატეგიის შემუშავება.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში აგრეთვე შეფასებულია საქართველოს მრეწველობის განვითარების პერსპექტივები 2030 წლამდე პერიოდში, პესიმისტური, რეალისტური და ოპტიმისტური სცენარების გათვალისწინებით, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს მრეწველობის სექტორის სამომავლო განვითარებით დაინტერესებული პირებისთვის.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. წინამდებარე კვლევისთვის გამოყენებულ იქნა ანალიზისა და სინთეზის, დედუქციისა და ინდუქციის მეთოდები. გარდა ამისა, ასევე გამოყენებულ იქნა ე.წ. დოკუმენტების ანალიზის მეთოდი (Desk Research), რაც გულისხმობს უკვე არსებული გამოკვლევების სტატისტიკური მაჩვენებლების დამუშავებასა და მათ ანალიზს, დროითი მწკრივების გათვალისწინებით. რაც შეეხება უშუალოდ მონაცემთა ანალიზს, ის მეტწილად დაეფუძნა კორელაციისა და რეგრესიის მეთოდს.

სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს თეორიისა და ემპირიის ნაზავს. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ მასში განხილულია როგორც კლასიკოსი მეცნიერების თეორიებში წარმოდგენილი მიდგომები, აგრეთვე თანამედროვე მკვლევრების მიერ გარკვეულ ემპირიაზე დაფუძნებული მიგნებები. ნაშრომის ემპირიულ ნაწილში ასევე მრავლად არის გამოყენებული ოფიციალური

სტატისტიკური მაჩვენებლები. ეს უკანასკნელი, ნაშრომის საბოლოო მიზნებიდან გამომდინარე, დამატებით დამუშავებულია ავტორის მიერ.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ემპირიული ნაწილი შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

- ძველი, საბჭოთა კავშირის პერიოდში გამოცემული პუბლიკაციებიდან აღებული მონაცემები;
- თანამედროვე ოფიციალური სტატისტიკა, რომელიც, თავის მხრივ, წარმოებულია შესაბამის საერთაშორისო მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით.

რაც შეეხება თეორიულ ნაწილს, როგორც ეს ზემოთ უკვე აღინიშნა, მის წყაროს წარმოადგენს ქართველი და უცხოელი ავტორების ნაშრომები.

გარდა ამისა, სადისერტაციო ნაშრომში ასევე გამოყენებულია ავტორის პირადი თეორიული მიგნებები, მისი ინტერპრეტაციები და შეფასებები.

სადისერტაციო ნაშრომში ეკონომიკურ საქმიანობათა სახეობებისა და საგარეო ვაჭრობისთვის განკუთვნილი პროდუქციის იდენტიფიცირებისთვის გამოყენებულია შესაბამისი ოფიციალური კლასიფიკატორები (NACE rev.2, CPA 2008 და HS 2012).

რიგ შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომში განხილული საკითხები ეფუძნება ევროსტატის შესაბამის მეთოდოლოგიურ მიდგომებს.

სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლეა ინოვაციური ეკონომიკის შემქმნელი ადამიანისეული ფაქტორის – „მაღალტექნოლოგიური ადამიანისა“ (Homo Hi Techicus) და მისი ძირითადი თვისებების ჩამოყალიბება და გაანალიზება. ნაშრომში აგრეთვე გამოყოფილია აღნიშნული ფაქტორისთვის დამახასიათებელი ტექნიკური უნარ-ჩვევების ერთობლიობა და დასაბუთებულია მათი უპირატესობა ინოვაციურ ეკონომიკასთან დაკავშირებულ ადამიანისეული სხვა ფაქტორების (Homo Innovaticus, Homo Complexicus) შესაბამის ტექნიკურ უნარ-ჩვევებთან შედარებით.

ზემოთ აღნიშნულთან ერთად, ნაშრომში ასევე გამოკვეთილია საქართველოში მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინოვაციური ეკონომიკის პერსპექტივები და მათი მნიშვნელობა, განსაკუთრებით – ფინანსური, ეკონომიკური და პანდემიური კრიზისის პერიოდში. გარდა ამისა, სტატისტიკურ მონაცემთა ფართო მასივის დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე (იგულისხმება როგორც საბჭოთა, აგრეთვე პოსტსაბჭოთა პერიოდის ოფიციალური მონაცემები) განისაზღვრა ის ძირითადი მიმართულებები, რომლებმაც უნდა განაპირობონ საქართველოში მრეწველობის განვითარება.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. სადისერტაციო ნაშრომში განხილული საკითხები და მასში გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაცია საყურადღებო უნდა იყოს საქართველოს მრეწველობის შესწავლით დაინტერესებული სახელმწიფო სტრუქტურებისა და მკვლევრებისთვის.

უნდა აღინიშნოს ასევე ისიც, რომ ნაშრომში მოცემულია საბჭოთა საქართველოს მრეწველობის ტენდენციების სტატისტიკური მონაცემების დროითი მწკრივი, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან დამუშავებულ ინფორმაციას წარმოადგენს საბჭოთა საქართველოს მრეწველობით ან ზოგადად საბჭოთა საქართველოთი დაინტერესებული მკვლევრებისთვის.

სადისერტაციო ნაშრომში განხილული საკითხები, ეკონომიკის გარდა, საინტერესო უნდა იყოს სხვა სოციალური მეცნიერებებისთვისაც.

პუბლიკაციები. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული სამეცნიერო სიახლეები ავტორის მიერ გამოქვეყნებულია ხუთი სტატიის სახით, საიდანაც სამი მათგანი წარმოადგენს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებს (ჟურნალი „ეკონომისტი“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ და ჟურნალი „European Journal of Economic Studies“).

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომის შედგება კომპიუტერზე ნაბეჭდი 156 გვერდისგან (სარჩევისა და გამოყენებული ლიტერატურის გამოკლებით). ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, 3 თავს, 9 პარაგრაფს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, გამოყენებული დასახელების ლიტერატურის ჩამონათვალს, ასევე 15 გრაფიკს, 4 დიაგრამასა და 7 ცხრილს.

ნაშრომის პირველ თავში, რომელიც ეხება ეკონომიკურ მეცნიერებაში მრეწველობისა და ინოვაციების შესახებ მიდგომების განვითარებას, დეტალურად განხილულია, თუ რა ადგილი უკავია მრეწველობას ეკონომიკის რეალურ სექტორში. გარდა ამისა, სადისერტაციო ნაშრომის ამავე თავში აღწერილია ეკონომიკის რეალურ სექტორსა და მრეწველობასთან დაკავშირებული სხვადასხვა თეორიული ასპექტი, შეფასებულია ადამიანისეული ფაქტორების მნიშვნელობა ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებაში. აქვე წარმოდგენილია ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელობისა და მისი პერსპექტივების შეფასება გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში.

ნაშრომის მეორე თავში, რომელიც ეხება საქართველოს მრეწველობას საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ეპოქაში, დეტალურად განხილულია მეორე მსოფლიო ომამდელ და ომის შემდგომ პერიოდში არსებული მრეწველობასთან დაკავშირებული ძირითადი ტენდენციები. გარდა ამისა, ამავე თავში ასევე წარმოდგენილი და შეფასებულია როგორც ნეკროეკონომიკასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი, აგრეთვე პოსტსაბჭოთა საქართველოში სამრეწველო პოტენციალის დაცემის ძირითადი მიზეზები. მეორე თავში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აგრეთვე საქართველოს მრეწველობაში რეტროეკონომიკის დაძლევის ძირითადი მიმართულებების შესწავლასა და დეტალურ ანალიზს.

ნაშრომის მესამე თავში, რომელიც ეხება საქართველოს მრეწველობის ინოვაციურ განვითარებას, განხილულია საქართველოს მრეწველობაში ინოვაციური ტექნოლოგიების მოზიდვის ეკონომიკური მექანიზმები და შეფასებულია საქართველოს მრეწველობის განვითარების პერსპექტივები 2030 წლამდე (პესიმისტური, რეალისტური და ოპტიმისტური სცენარების გათვალისწინებით).

თავი 1. ეკონომიკურ მეცნიერებაში მრეწველობისა და ინოვაციების შესახებ მიდგომების განვითარება

1.1 მრეწველობის ადგილი და როლი ეკონომიკის რეალურ სექტორში

ეკონომიკურ მეცნიერებებში ცნება **მრეწველობა** გულისხმობს ამა თუ იმ პროდუქტის ან პროდუქტების ფართომასშტაბიან წარმოებას, რომლის მიზანია გარკვეული ტექნიკური საშუალებებისა (მაგალითად, მანქანა-დანადგარების, ტექნოლოგიების) და სათანადო ნედლეულის გამოყენებით საზოგადოებაში შეიქმნას გაბატონებული მოთხოვნების შესაბამისი საქონლი ან/და მომსახურება (Krahn, Lowe, Hughes, 1993).

მეცნიერთა ერთი ნაწილი მრეწველობას რიგ შემთხვევაში **ეკონომიკის რეალურ სექტორად** მოიხსენიებს და მასში გულისხმობს ეკონომიკის იმ დარგებს, რომლებშიც იქმნება რეალური (ფიზიკურად მოცემული) პროდუქტი. ეკონომიკის რეალური სექტორის უმთავრეს შემადგენელ ნაწილად შეიძლება მივიჩნიოთ დამამუშავებელი მრეწველობა (სამთომოპოვებითი მრეწველობის ჩათვლით), სოფლის მეურნეობა, მშენებლობა და ენერჯეტიკა (Krahn, Lowe, Hughes, 1993).

მრეწველობასა და ეკონომიკის რეალურ სექტორთან გაიგივებული ცნებებია **ინდუსტრიალიზაცია** და მისგან გამომდინარე – **ინდუსტრიული რევოლუცია**. ეკონომიკის რეალურ სექტორში მრეწველობის როლის უკეთ დასახასიათებლად თავდაპირველად საჭიროა ინდუსტრიალიზაციისა და ინდუსტრიული რევოლუციის ძირითადი მახასიათებლების შესწავლა (Dean, 1979).

ტერმინი **ინდუსტრიალიზაცია**, რომელიც თავისი არსით ეკონომიკური შინაარსისაა, პირველად გამოიყენა ფრანგმა ეკონომისტმა და სოციოლოგმა ანრი დე სენ სიმონმა და გულისხმობდა ყველა იმ სოციალური პროცესების შეფასებას, რომლებიც ითვალისწინებდა „სასოფლო და ხელოსნურ მრეწველობაზე

მიმართული ეკონომიკების გარდაქმნას ისეთ ეკონომიკებად, სადაც მთავარი როლი დაეკისრებოდა დიდ და იმავდროულად ავტომატიზაციის პრინციპზე დამყარებულ მრეწველობას“ (Dean, 1979).

საზოგადოდ, მიიჩნევა, რომ ინდუსტრიალიზაციის პროცესი დაიწყო დიდ ბრიტანეთში ე.წ. „სამრეწველო რევოლუციის“ ეპოქაში, რომელსაც ინდუსტრიული რევოლუციაც შეიძლება ეწოდოს. აღნიშნულ პროცესს თან მოჰყვა ფუნდამენტური სახეცვლილება როგორც პროდუქციის წარმოების, აგრეთვე სოციალური სამყაროს მოწყობის სფეროში. ინდუსტრიალიზაციამ განაპირობა მოსახლეობის პროფესიული სეგმენტაციის ცვლილება, რაც გამოიხატა კიდევ მრეწველობისა და მომსახურების სექტორში, აგრარულ სექტორთან შედარებით, დასაქმებულთა რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდაში. გარდა ამისა, ზემოთ აღნიშნულმა პროცესებმა ფუნდამენტურად შეცვალა მოსახლეობის გეოგრაფიული კონცენტრაცია და სწრაფად განავითარა ურბანიზაციის პროცესი (Dean, 1979).

ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს ნაწილად მოდერნიზაცია შეიძლება მივიჩნიოთ. ეს უკანასკნელი, ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით, კიდევ უფრო ეფექტიანს ხდის წარმოების პროცესს. გარდა აღნიშნულისა, მოდერნიზაცია განაპირობებს საზოგადოებაში გავრცელებული ნორმებისა და ღირებულებების ფუნდამენტურ ცვლილებებს. მოდერნიზაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც არსებული სოციალური ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე, აგრეთვე სოციალურ სტრატეგიკაციასა და სხვა მსგავს სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფენომენებზე. ამასთან ერთად, მოდერნიზაცია ზემოქმედებს მიმდინარე მიღწევების გაუმჯობესების პროცესზე და, შესაბამისად, უზრუნველყოფს მათ შემდგომ განვითარებას. მიიჩნევა, რომ ინდუსტრიალიზაცია მეტ-ნაკლებად ერთნაირი თვისებებით ხასიათდებოდა მთელ მსოფლიოში. მიუხედავად ამისა, დასაშვებია გამოიყოს ისეთი ქვეყნები, რომლებსაც „პირველი ტალღის ინდუსტრიული ქვეყნებიც“ შეიძლება ეწოდოს. ამ ტიპის ქვეყნებს მიეკუთვნებოდნენ დიდი ბრიტანეთი და აშშ. აღნიშნულ ქვეყნებში ინდუსტრიალიზაციისა და მოდერნიზაციის „ლოკომოტივის“ როლი ე.წ. მრეწველთა სოციალურმა ჯგუფმა (ფენამ) შეასრულა. თუმცა, აქვე უნდა

აღინიშნოს, რომ ისეთი „გვიანი ინდუსტრიალიზაციის ქვეყნებში“, როგორებიც იყო გერმანია და იაპონია, ინდუსტრიალიზაციის პროცესის გაძლიერებაში მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოს ჩართულობა (ჩიტაშვილი, რედ., 2004, გვ. 109).

კაცობრიობის ისტორიას სულ სამი ინდუსტრიული რევოლუცია ახსოვს, თუმცა ბოლო წლებში აქტიური საუბარი მიმდინარეობს როგორც მეოთხე (Schwab, 2016), ასევე მეხუთე ინდუსტრიულ რევოლუციაზე (მაგალითად: Van Erden, 2020, Nahavandi, 2019).

ინდუსტრიული რევოლუცია განსაზღვრავს იმ ფუნდამენტურ ცვლილებებს, რომლებიც თან ახლავს ინდუსტრიალიზაციის პროცესს. ტერმინი „ინდუსტრიული რევოლუცია“ პირველად გამოიყენა ცნობილმა ინგლისელმა ეკონომისტმა და ისტორიკოსმა არნოლდ ტოინბიმ, როდესაც ის აღწერდა ინგლისის ეკონომიკურ განვითარებას 1760-1840 წლებში (Wolfe, 2016). ტოინბი ინდუსტრიული რევოლუციის წარმომშობ პირობად მოსახლეობის ზრდის სწრაფ ტემპს და, აქედან გამომდინარე, მათ გაზრდილ მოთხოვნაზე მიწოდების აუცილებელ ზრდას ასახელებს (Toynbee, 2012).

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, პირველი ინდუსტრიული რევოლუცია დაიწყო დიდ ბრიტანეთში. საინტერესოა ის გარემოება, რომ ეს პროცესი სპონტანური ხასიათის იყო. მასში მთავრობა არ მონაწილეობდა. საკამათოა, თუ ზუსტად როდის დაიწყო პირველი ინდუსტრიული რევოლუცია. არნოლდ ტოინბი მიიჩნევს, რომ ინდუსტრიული რევოლუციის დაბადების თარიღად 1760 წელი შეიძლება მივიჩნიოთ (Toynbee, 2012). მიუხედავად ამისა, არის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, პირველი ინდუსტრიული რევოლუციის დაწყების თარიღი 1780 წელია, რომლის დროსაც შეინიშნება მკვეთრი ზრდა სამრეწველო პროდუქციის მოცულობის მიმართულებით. თუმცა, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, არავინ კამათობს იმ საკითხზე, რომ სწორედ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან დიდი ბრიტანეთის ეკონომიკა მნიშვნელოვნად მიიწევს წინ საგარეო ვაჭრობის მიმართულებით. ნიშანდობლივია, რომ ზემოთ აღნიშნული პერიოდი დიდი ბრიტანეთის ეკონომიკის მდგრადი განვითარების საწყის ეტაპადაც შეიძლება მივიჩნიოთ (Dean, 1979).

ინდუსტრიალიზაციის შემდგომმა პროგრესმა ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარებაზე იქონია გავლენა. მაგალითად, მზა სამრეწველო პროდუქციის გასატანად ან იმავე პროდუქციის შესაქმნელად აუცილებელი მასალის შემოსატანად საჭირო გახდა სამდინარო და სარკინიგზო ტრანსპორტის, აგრეთვე მისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. თავის მხრივ, ეკონომიკის ამგვარმა განვითარებამ მოითხოვა დამატებითი კვალიფიციური მუშახელი. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად გააძლიერა ისეთი სექტორი, როგორცაა მომსახურება (Trinder, 2016).

ინდუსტრიული რევოლუციის საწყის ეტაპზე მოსახლეობის ზრდის ტემპით გამოირჩეოდა საქალაქო ტიპის დასახლებები, რაც ზემოხსენებული ინდუსტრიული რევოლუციის თანმდევ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ და ის გადატანილი აქვს ევროპული საზოგადოების დიდ ნაწილს, განსაკუთრებით – XIX საუკუნის განმავლობაში და XX საუკუნის გარიჟრაჟზე. საქალაქო დასახლებების ზრდა ძირითად შემთხვევებში მიგრაციული ნაკადების ხარჯზე ხორციელდებოდა (Trinder, 2016).

თუ პირველი ინდუსტრიული რევოლუციისთვის დამახასიათებელი იყო აგრარული ეკონომიკიდან სამრეწველო ეკონომიკაზე გადასვლა, მეორე ინდუსტრიული რევოლუცია აქცენტს აკეთებს ახალ ტექნოლოგიურ გამოგონებებზე, ახალი სამეცნიერო ტექნოლოგიური დარგების შექმნასა და არსებული დარგების განვითარებაზე. ცნობილია, რომ მეორე ინდუსტრიული რევოლუცია დაიწყო 1870 წელს და გაგრძელდა პირველ მსოფლიო ომამდე, 1914 წლამდე. აღნიშნულ პერიოდში მნიშვნელოვნად განვითარდა ისეთი დარგები, როგორებიცაა: ენერგეტიკა, მედიცინა, ქიმია და ფიზიკა. ამ დროს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ეფექტიანი ხელსაწყო-მოწყობილობების შესაქმნელად. ზემოთ ჩამოთვლილი დარგების განვითარებამ მანამდე არსებული სხვა დარგების ეფექტიანი წინსვლა უზრუნველყო (Mokyr, Strotz, 1999).

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების პროცესში, განსაკუთრებით XX საუკუნის 1950-იანი წლების ბოლოს, თანდათან დაიწყო საუბარი მესამე ინდუსტრიული რევოლუციის შესახებ. მისთვის დამახასიათებელი ნიშანია

დამამუშავებელი მრეწველობის სექტორის განვითარება, ასევე ისეთი სექტორების სტრუქტურული დაკავშირებულნი არიან განახლებად ენერჯისთან, ელექტრო, მათ შორის, ზუსტი ხელსაწყოებისა და მოწყობილობების შექმნა-განვითარებასთან. ქვემოთ მოცემულია ის ხუთი ძირითადი თავისებურება, რომლებიც ახასიათებს მესამე ინდუსტრიულ რევოლუციას:

1. **განახლებადი ენერჯის გამოყენებაზე გადასვლა** – იმის გამო, რომ ნავთობის, ბუნებრივი გაზისა და ნახშირის მარაგი ამოწურვადია, ხოლო მოსახლეობის ზრდა იწვევს ენერჯიაზე მოთხოვნის მნიშვნელოვნად მომატებას, საჭირო ხდება ენერჯის ისეთი ალტერნატიული წყაროების განვითარება და მოძიება, რომელთა მარაგი ამოწურავია. განახლებად ენერჯის მიეკუთვნება: ჰიდრო, ქარის, გეოთერმული და მზის ენერჯია. ამასთან, ამ ტიპის ენერჯის ღირებულება ტრადიციული ენერჯორესურსების ღირებულებასთან შედარებით მნიშვნელოვნად იაფია;

2. **შენობების „მიკროელექტროსადგურებად“ გარდაქმნა** – თანამედროვე შენობები და ნაგებობები იმგვარად უნდა იყოს დაპროექტებული, რომ თვითონვე იძლეოდეს შესაძლებლობას, აწარმოოს თავისთვის საკმარისი ენერჯია. მაგალითად, შენობის სახურავზე უნდა იყოს მზის ენერჯოპანელების განთავსების საშუალება. გარდა ამისა, ამ კატეგორიას მიეკუთვნება ენერჯოეფექტიანი შენობა-ნაგებობებიც, რომლებიც შედარებით მცირე რაოდენობის ენერჯორესურსს მოიხმარენ გათბობის ან გაგრილების მიზნით;

3. **მწვანე ენერჯის მარაგების შექმნა** – მწვანე ენერჯის ერთ-ერთი ნაკლი არის ის, რომ ზოგ შემთხვევაში ქარის ან მზის ენერჯია არარეგულარულად იწარმოება (მაგალითად, უქარო ამინდები, ცუდი ამინდის გამო მზე დამალულია ღრუბლებში). აქედან გამომდინარე, განახლებადი ენერჯის ამ ტიპებს ესაჭიროება ელექტროენერჯის ტრანსპორტირებისა და შენახვის უკეთესი მეთოდები, მაგალითად, წყალბადის საწვავის უჯრედები და ა.შ.;

4. ენერჯის გაზიარების საშუალებების შექმნა – იგულისხმება იმ საშუალებათა ან ტექნოლოგიების განვითარება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია წარმოებული ელექტრენერჯის სხვებისთვის გაზიარება ან გადაზიდვა (იგულისხმება სხვადასხვა აკუმულატორი, ბატარეები და ენერჯის სხვა პროტატული საშუალებები);

5. ელექტროტრანსპორტის განვითარება – ჰიბრიდულ და განსაკუთრებით, ელექტრონულ ძრავაზე მომუშავე ტრანსპორტის განვითარება, რათა მომავალში ჩანაცვლდეს წიაღისეული წარმოშობის საწვავზე (ბენზინი, დიზელი) მომუშავე ტრანსპორტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ნახსენები მიდგომების საფუძველზე, საბოლოო ჯამში, განვითარებული ეკონომიკა უფრო ეფექტიანია, ვიდრე წიაღისეულ ენერგორესურსებზე დაფუძნებული ეკონომიკა (Rifkin, 2011).

თანამედროვე მეცნიერები უკვე თამამად საუბრობენ ე.წ. „ინდუსტრია 4.0“-ის შესახებ, რომელიც მოკლედ რომ შეფასდეს, სხვა არაფერია, თუ არა მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია.

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის დაბადების თარიღად შეიძლება მივიჩნიოთ 2011 წელი. მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის ფარგლებში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია ციფრულ ტექნოლოგიებსა და მათ განვითარებაზე. ამ დროს ხორციელდება ეკონომიკის ტრადიციული დარგების ინოვაციური განვითარება. ფებს იდგამს სრულიად ახალი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვირტუალური, ანუ ქსელური ეკონომიკა. უნდა აღინიშნოს, რომ მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია ეფუძნება ინდივიდის ცოდნასა და პროფესიულ უნარებს (Schwab, 2016). გარდა ამისა, როგორც ზემოთ ამის შესახებ უკვე აღინიშნა, გავრცელებულია მოსაზრება, რომ დგება ე.წ. მეხუთე ინდუსტრიული რევოლუციის (იგივე „ინდუსტრია 5.0“) ეპოქა, რომელიც აქცენტს აკეთებს ხელოვნურ ინტელექტსა და მის შესაძლებლობებზე (მაგალითად, Van Erden, 2020, Nahavandi, 2019).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს, რომ ინდუსტრიული რევოლუციები ცოდნას ეფუძნება, რაც თავისი ბუნებით

მნიშვნელოვნად განსხვავდება მეცნიერული ცოდნისგან. ამგვარი ცოდნა უფრო პრაგმატიზმთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, როდესაც საუბარია, თუ როგორ უნდა შევქმნათ ან გამოვიყენოთ ესა თუ ის ტექნოლოგიური შესაძლებლობები, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება პრაგმატიზმზე დაფუძნებული ცოდნა. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი ორი სახეობისაა. ერთი უშუალოდ ქმნის ახალ ტექნოლოგიას, ხოლო მეორე იყენებს ამ ტექნოლოგიას (Trinder, 2016).

ინდუსტრიული რევოლუციების ფარგლებში შექმნილი ტექნოლოგიური საშუალებებით დასაბუთდა სხვადასხვა სამეცნიერო ფაქტი, კანონზომიერება ან/და ბუნებრივი ფენომენი. ინდუსტრიული რევოლუციების ერთ-ერთი უმთავრესი აქტორები არის საწარმოები, ანუ ფირმები (Mokyr, Strotz, 1999).

პროდუქციის წარმოებისას დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რა სიდიდისაა (ზომისაა) ეს თუ ის ფირმა, რადგან, რაც უფრო დიდია ის, მით უფრო მეტი მატერიალურ-ტექნიკური საშუალება აქვს დიდი რაოდენობის პროდუქციის საწარმოებლად. სიდიდის მიხედვით განასხვავებენ მსხვილ, საშუალო და მცირე ზომის ფირმებს. ზომის განსაზღვრა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია, თუმცა ძირითადად გამოიყენება ფირმის ბრუნვის ან/და დასაქმების მაჩვენებელი (Lopez, Assos, 2010).

წარმოების ორგანიზაციის გაფართოებამ განაპირობა შესაბამისი ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო გაუმჯობესება. ამრიგად, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ინდუსტრიალიზაცია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე დადებითად მოქმედებს (Mokyr, Strotz, 1999).

მრეწველობაში უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს კონკურენციის ფაქტორი. პოსტკეინზიანელთათვის კონკურენცია დაკავშირებულია არა იმდენად საბაზრო ფასთან, არამედ ერთეულ წარმოებულ პროდუქციაზე გაწეულ ხარჯსა და მისი შემცირების მცდელობასთან. ამ მიდგომას უფრო მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია საწარმოსთვის, რადგან ასეთ შემთხვევაში იზრდება სხვაობა ერთეული პროდუქტის თვითღირებულებასა და მის საბაზრო ფასს შორის. რიგ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ კონკურენცია გულისხმობს ფინანსურ რესურსებზე

ხელმისაწვდომობასა და ისეთ დისკრეტულ ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია რეკლამასთან, მარკეტინგთან, კვლევებთან და დამუშავებებთან, ინვესტიციებთან და ა.შ. აქედან გამომდინარე, საწარმოები აუმჯობესებენ კონკურენტუნარიან პოზიციებს და ზრდიან თავიანთი აქციების ღირებულებებს წარმოებული პროდუქტის გამრავალფეროვნების, მისი ხარისხის გაუმჯობესების, ასევე ახალი ინოვაციური პროდუქტის შექმნის მეშვეობით. აღნიშნულის ნათელ მაგალითად გამოდგენა მობილური ტელეფონების ბაზარი, რომლის ფარგლებშიც ახალი ინოვაციური პროდუქტის შემოსვლა რადიკალურად ცვლის მობილური ტელეფონის შესაძლებლობებს (Baskoy, 2008).

როდესაც საუბარია მრეწველობის მნიშვნელობასა და მის დიდ როლზე ეკონომიკაში, აუცილებლად გასათვალისწინებელია იოზეფ შუმპეტერის ევოლუციონისტური ეკონომიკის თეორია, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია ისეთ მნიშვნელოვან ასპექტზე, როგორცაა ნოვატორობა. შუმპეტერი ამით კიდევ ერთხელ მიუთითებს, თუ რაოდენ აუცილებელია ეკონომიკური განვითარებისთვის ე.წ. ადრე შექმნილი ინსტიტუციების მოდიფიკაცია. შუმპეტერის თანახმად, საზოგადოებაში ნოვატორები წინა პლანზე გამოდიან მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ჰორიზონტზე ჩნდება არსებული ბიზნესციკლს დაცემის რისკი. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ნოვატორთა ერთ-ერთ უწინარეს ფუნქციას კრიზისის დაძლევა და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა წარმოადგენს. შესაბამისად, ნოვატორთა ქცევა მიმართულია ძველი სტანდარტების ნგრევის საფუძველზე ახალი სტანდარტების შექმნისკენ, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს დამატებით რესურსებზე მოთხოვნის ზრდას საზოგადოებაში (Schumpeter, 2012).

მიუხედავად ზემოთქმულისა, შუმპეტერის თეორიაში დეტალურად არ არის ასახული ყველა ის პროცესი ან თეორიული მიდგომა, რომლებიც განაპირობებენ ეკონომიკური კრიზისის ფაზაში „ნოვატორების“ გამოჩენას. ასევე ბუნდოვანია, თუ კონკრეტულად რა მექანიზმების გამოყენებით უზრუნველყოფენ „ნოვატორები“ ეკონომიკის აღმავლობას. როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით, მეტად საინტერესოა უშუალოდ აგენტი-ნოვატორის ქცევა

ეკონომიკური ზრდისა და ეკონომიკური დაქვეითების დროს. თუმცა აქვე ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ „ნოვატორების“ წარმოქმნისათვის საუკეთესო გარემოებად ეკონომიკური დაქვეითების ფაზა მიიჩნევა. ნიშანდობლივია განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური სინამდვილეც, რომელიც გვამცნობს დაქვეითების ფაზის საწყის ეტაპზე „ნოვატორებისა“ და „ნოვაციების“ რაოდენობის საგრძნობლად შემცირებას ძველი ნოვატორების ხარჯზე, ხოლო შემდეგ, მომდევნო ეტაპზე კი – მათი რაოდენობის თანდათანობით ზრდას ახალი ნოვატორების ხარჯზე (მექვაბიშვილი, 2016).

შუმპეტერის თეორიის მიხედვით, არსებობს ეკონომიკური განვითარების სამი მთავარი განსაზღვრება (Schumpeter, 2012):

1. განვითარება – ეს არის ახალ კომბინაციათა წარმოქმნა (შუმპეტერის თეორიის თანახმად, წარმოება ეს უკვე კომბინაციაა);

2. განვითარება ფორმისა და შინაარსის მიხედვით არის იმ ახალი კომბინაციების წარმოქმნა, რომელთა განხორციელებისათვის საჭიროა წარმოებისთვის აუცილებელი ძირითადი საშუალებები, მარაგების წარმოება ან/და განვითარება;

3. განვითარება სხვა არაფერია, თუ არა ეკონომიკური სისტემის ერთი ნორმიდან მეორეზე გადასვლა.

შუმპეტერის თეორიის მიხედვით, ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა ხორციელდება ფაქტორთა სხვადასხვა კომბინაციის ხარჯზე (მექვაბიშვილი, 2016).

ინდუსტრიალიზაცია მნიშვნელოვანია როგორც ეკონომიკური ზრდისთვის, ასევე სიღარიბის შემცირების მხრივ. აღსანიშნავია ინდუსტრიალიზაციის გავლენა საზოგადოებაზე იმ თვალსაზრისით, რომ მის ფარგლებში წარმოებული პროდუქცია ფართოდ გამოიყენება მოსახლეობის მიერ და, აქედან გამომდინარე, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის. ინდუსტრიალიზაცია სასარგებლოა ეკონომიკური ტემპის მომატებისთვის და გრძელვადიან პერსპექტივაში – სიღარიბის შესამცირებლად. ინდუსტრიალიზაციის საწყის ეტაპზე თავს იჩენს ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოების

ღარიბი ფენის მიერ ეკონომიკური ზრდის ფარგლებში წარმოქმნილი დოვლათით სარგებლობასთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ფაქტორები განსაზღვრავს, თუ რამდენად სარგებლობს საზოგადოების ღარიბი ფენა ეკონომიკური ზრდისგან მიღებული დოვლათით. დაბალშემოსავლიანი საზოგადოების წიაღში შემუშავებული ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებულია საწარმოო ფაქტორებიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლიანობის გაზრდაზე, განსაკუთრებით წარმოების ისეთ ფაქტორთან მიმართებით, როგორც არის შრომა. ამ დროს ავანსცენაზე გამოდის ისეთი ინდიკატორი, როგორც არის სოციალური უთანასწორობა. მისი დამლევს ერთ-ერთ ეფექტიან საშუალებას მცირე და საშუალო საწარმოების (იგივე მცირე და საშუალო ბიზნესი) გაძლიერება შეიძლება მივიჩნიოთ. სწორედ საშუალო და მცირე საწარმოებში ხდება დასაქმებულთა დიდი მასის აგრეგირება, რაც, საბოლოოდ, პროდუქტზე მსყიდველთუნარიანობას ზრდის. უთანასწორობის შემცირების კიდევ ერთი საუკეთესო საშუალობას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა წარმოადგენს, რამაც უნდა უზრუნველყოს მეტი მოთხოვნადი პროდუქტის წარმოება (Kniiivilä, 2007).

ყოველივე ზემოთმთხრობიდან გამომდინარე, მრეწველობა ქვეყნის ეკონომიკის, მისი რეალური სექტორის მთავარ საყრდენადაც შეიძლება მივიჩნიოთ. მრეწველობის განვითარება პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობას. მრეწველობის მეშვეობით იქმნება ის ძირითადი მატერიალური დოვლათი, რომელსაც მოიხმარს მოსახლეობა ყოველდღიურ ცხოვრებაში. გარდა ამისა, მრეწველობის განვითარება უზრუნველყოფს სხვა დამხმარე დარგების წარმოქმნას, ახალ სამუშაო ადგილებს და უფრო მეტი მოცულობის დამატებული ღირებულების შექმნას. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მთლიანი სამამულო პროდუქტი (პაპავა, სილაგაძე, 2019)² სწორედ ქვეყანაში შექმნილი დამატებული ღირებულებების ჯამია, აქედან გამომდინარე, მრეწველობა ქვეყნის ეკონომიკის უმთავრეს ძალად უნდა ჩაითვალოს. ამასთან, ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა აღნიშნოს, რომ ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელობა

² ტერმინი „მთლიანი სამამულო პროდუქტი“ არის ამჟამად მცდარად დამკვიდრებული ტერმინის „მთლიანი შიდა პროდუქტის“ ქართულად გამართული ვერსია.

განსაკუთრებით გაიზრდება COVID-19 ახალი კორონავირუსის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში.

1.2. ეკონომიკის რეალური სექტორისა და მრეწველობის შესახებ თეორიების განვითარება

როგორც ამ ნაშრომის 1.1 პარაგრაფში უკვე აღნიშნა, ეკონომიკის რეალური სექტორი შეიძლება მიჩნეულ იქნეს ისეთი დარგების ერთობლიობად, როდესაც ხორციელდება რეალური (ფიზიკურად მოცემული) პროდუქტის შექმნა (Krahn, Lowe, Hughes, 1993, p. 3). რაც შეეხება ტერმინ **მრეწველობას**, მასში იგულისხმება ამა თუ იმ პროდუქტის ფართომასშტაბიანი წარმოება, საზოგადოებაში დომინირებული მოთხოვნების მიხედვით (Krahn, Lowe, Hughes, 1993, p. 10). ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარება ამა თუ იმ ქვეყნისა და მისი შემადგენელი რეგიონების ეკონომიკური წინსვლის უმთავრესი წინაპირობაა. ამასთან ერთად, ის ემსახურება მიზანს, რომლის მიხედვითაც, მოსახლეობაში უნდა გაუმჯობესდეს როგორც საყოფაცხოვრებო პირობები, აგრეთვე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა (Эскиндарова, Абдикеева, ред., 2019, с. 379).

დღეის მდგომარეობით, ეკონომიკის რეალურ სექტორსა და მრეწველობასთან დაკავშირებული არაერთი თეორია არსებობს. მიუხედავად ამისა, აუცილებლად ცალკე განხილვას საჭიროებენ ისეთი ავტორების მიერ შექმნილი მოსაზრებები, როგორებიც არიან: კ. მარქსი (1818-1883), მ. ვებერი (1864-1920), ი. შუმპეტერი (1883-1950), ჯ. მ. კეინზი (1883-1946), ფ. ნაითი (1885-1972), კ. შვაბი (დაიბადა 1938 წელს) და კ. პერესი (დაიბადა 1939 წელს).

თავის უმთავრეს ნაშრომში „კაპიტალი“, გერმანელი ეკონომისტი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი კარლ მარქსი მრეწველობას (მანუფაქტურას) აფასებს, როგორც სპეციფიკურ შრომით პროცესს, რომელიც წარმოიქმნება კაპიტალისტის (კაპიტალის მფლობელის) მიერ შესაბამისი მუშახელის

დაქირავების შედეგად. აქედან გამომდინარე, მრეწველობას კარლ მარქსი კაპიტალისტურ მრეწველობასაც უწოდებს (Маркс, 2001, с. 270).

მარქსის თეორიის შესაბამისად, მრეწველობის ერთ-ერთი ძირითადი ასპექტია კოოპერაცია (თანამშრომლობა), რომელიც თავის კლასიკურ სახეს იღებს მრეწველობაში, შრომის განაწილების პროცესის ფარგლებში (Маркс, 2001, с. 270).

კოოპერაცია, რომელიც წარმოადგენს კაპიტალისტური პროცესისთვის დამახასიათებელ ფორმას, პირველად თავს იჩენს XVI საუკუნის მეორე ნახევარში ევროპაში, სამრეწველო სფეროში. ტერმინ კოოპერაციაში იგულისხმება ერთი მმართველობის ქვეშ ერთმანეთისაგან განსხვავებული დარგების წარმომადგენელი მუშახელის ურთიერთთანამშრომლობა. იმისათვის, რომ უფრო თვალსაჩინოდ მოხდეს კოოპერაციის ცნების შეფასება და ანალიზი, მარქსი წარმოგვიდგენს მეტად საინტერესო მაგალითს. მისი თქმით, ეტლის წარმატებით ასაწყობად საჭიროა აღნიშნულ სამუშაო პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა მიმართულების ხელოსანმა. ეს ხელოსნები შეიძლება იყვნენ: დურგალი, მეთუნუქე, მღებავი და სხვ. ისინი თავიანთ ფუნქცია-მოვალეობებს დამოუკიდებლად ასრულებენ, მაგრამ როდესაც საუბარია კოოპერაციის პროცესზე, ეს ოსტატები უკვე ერთიანი მმართველობის ქვეშ არიან მოქცეული და, შესაბამისად, თავიანთი უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების მიხედვით მათ შეუძლიათ აწარმოონ მრავალი სხვადასხვა დეტალი, რომლებიც აუცილებელია ბევრი ეტლის ასაწყობად (Маркс, 2001, сс. 271-272).

კარლ მარქსი აგრეთვე ყურადღებას ამახვილებს მანუფაქტურის სხვა მიმართულებაზე, რომლის მიხედვით, განსაკუთრებით დიდი მოცულობის პროდუქციის წარმოების დროს დასაქმებულთა შრომა შეიძლება არაერთგვაროვნად იყოს განაწილებული. ამ შემთხვევაში მარქსი უწინარესად გულისხმობს იმას, რომ საბოლოო პროდუქტის მისაღებად აუცილებელი დეტალების წარმოებით დაკავებული მუშახელის დატვირთვა შეიძლება არათანაბარი იყოს. კერძოდ, კარლ მარქსს მოჰყავს შემდეგი მაგალითი: ნიურბერგელი საამქროს ოსტატი, რომელიც ამზადებს ნემსებს დიდი ბრიტანეთის სამკერვალო მრეწველობისთვის, შესაძლოა ასრულებდეს ზედიზედ 20 ერთეულ

ოპერაციას იმ დროს, როდესაც ანალოგიურ ინგლისურ საამქროში ოსტატმა შეიძლება შეასრულოს მნიშვნელოვნად მცირე მოცულობის სამუშაო. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მართალია, ერთი მხრივ, მანუფაქტურამ ჩაანაცვლა ინდივიდუალური ხელოსნობა, მეორე მხრივ, ხელოსნობის გარეშე მანუფაქტურას არსებობა გაუჭირდება (Маркс, 2001, с. 273).

მარქსის თეორიის მიხედვით, მრეწველობის სფეროს ძირითად აქტორად სამუშაო ძალა უნდა მივიჩნიოთ. რაც შეეხება მსხვილ საწარმოებს, აქ მრეწველობის უმთავრეს საშუალებად, სამუშაო ძალასთან ერთად, მანქანა-დანადგარებიც იგულისხმება (Маркс, 2001, с. 274).

მარქსის თვალთახედვით, სამრეწველო კაპიტალიზმი უზრუნველყოფს დიდი მოცულობის დოვლათის წარმოებას, თუმცა ის საზოგადოებაში არათანაბრად არის განაწილებული. მარქსის თქმით, სწორედ ეს უთანაბრობა წარმოადგენს კონფლიქტების წარმოშობის წინაპირობას (Маркс, 2001, сс. 525-526).

უნდა აღნიშნოს, რომ მრეწველობის განვითარებასთან ერთად, ასევე ვითარდება და იხვეწება თვითონ კოოპერაციის ტიპებიც. მარქსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მანქანა-დანადგარებზე დაფუძნებულ მრეწველობას და პროდუქციის შუალედურ ღირებულებაში მანქანა-დანადგარის ღირებულებასაც ითვალისწინებს (Маркс, 2001, с. 547).

მაშასადამე, მრეწველობასთან დაკავშირებულ მარქსისეულ თვალთახედვაში განსაკუთრებულად დიდი ყურადღება ეთმობა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა მრეწველობის სფეროში შრომის განაწილება და მისი თავისებურებები, კოოპერაცია და მთლიანი წარმოების ერთი მმართველის (კაპიტალისტის) დაქვემდებარებაში მოქცევა.

მრეწველობასა და ეკონომიკის რეალურ სექტორთან დაკავშირებული, თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით, განსხვავებული თეორიის ფუძემდებელად მიიჩნევენ გერმანელ ეკონომისტს, სოციოლოგსა და პოლიტოლოგს, მაქს ვებერს.

თავის ერთ-ერთ ძირითად ნაშრომში „პროტესტანტული ეთიკა – კაპიტალიზმის სულისკვეთება“ – ვებერი უარყოფითად აფასებს მარქსის მუშათა კლასისა და კაპიტალისტების დაპირისპირების იდეას. მისი თვალთახედვით,

აღნიშნული პროცესის ანალიზი აუცილებლად უნდა განხორციელდეს როგორც რელიგიური, ისე ფსიქოლოგიური შინაარსიდან გამომდინარე. ამრიგად, ვებერის თეორიის მიხედვით, კაპიტალისტებისა და მუშათა კლასის კონფლიქტის წინაპირობას წარმოადგენს უკვე წინასწარ განსაზღვრული მეტაფიზიკური შინაარსის მქონე „პროტესტანტული ეთიკა“, სადაც უწინარესად გაბატონებულია რელიგიური მიმდინარეობის ღირებულებები და ნორმები (Weber, 2005, p. 51). აქედან გამომდინარე, ვებერის მოსაზრება დაფუძნებულია იმ პარადიგმაზე, რომლის თანახმად, ადამიანის ყოფიერება წინასწარ განსაზღვრულია მისი ცნობიერების მიერ.

მაქს ვებერი თავის პროტესტანტული ეთიკის ფარგლებში მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებს ტერმინ კაპიტალისტურ საწარმოზე. ვებერის მიხედვით, პროტესტანტული ეთიკის ნორმებსა და ღირებულებებზე დაფუძნებული კაპიტალისტური საწარმოს მთავარი მიზანია სხვა არაფერი, თუ არა მაქსიმალურად დიდი ფინანსური მოგების მიღება, რაც უნდა განხორციელდეს კიდევ ეკონომიკური გაცვლის მეშვეობით. ცხადია, მოგებაზე ორიენტირება ჯერ კიდევ ადრეულ ხანაში წარმოადგენდა კაცობრიობის მთავარ ამოცანას. უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთ ევროპაში ფინანსური მოგება იღებს უფრო სტრუქტურირებულ, იმავდროულად კი, ორგანიზებულ სახეს და ეფუძნება შრომის რაციონალურ ორგანიზებას, ვიდრე სხვა კონტინენტზე. შრომის რაციონალური ორგანიზების ცნებაში მაქს ვებერს, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში აქვს ის შრომა, რომელიც დაქვემდებარებულია საწარმოს ხელმძღვანელობაზე (Weber, 2005, p. 11).

კაპიტალისტურმა საწარმოს მუშაობისთვის საჭიროა, ის დაეფუძნოს:

- მკაცრად დისციპლინებულ სამუშაო ძალას;
- რაციონალურ კაპიტალდაბანდებას;
- ახლი მანქანა-დანადგარების შექმნას.

ვებერის განსაზღვრებით, ეს მიდგომა უნიკალურია ყველა ტიპის საწარმოსთვის, განურჩევლად წარმოებული პროდუქტის ტიპისა და ემსახურება მიზანს, მოიტანოს რაც შეიძლება მეტი ფინანსური მოგება (Weber, 2005, pp. 148-149).

მაქს ვებერი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ დროთა განმავლობაში სულ უფრო იზრდება დაქირავებული მუშახელის საყოფაცხოვრებო საჭიროებები. შესაბამისად, ისინი უკვე ვეღარ კმაყოფილდებიან იმ ტრადიციული მინიმუმით, რომელსაც იძენენ მიზერული ანაზღაურების სანაცვლოდ. სწორედ აქედან გამომდინარე, კაპიტალიზმის სულისკვეთების შენარჩუნების მიზნით და, ამასთან ერთად, კაპიტალისტური წარმოების შეუფერხებლად ფუნქციონირებისთვის კაპიტალისტები იძულებლნი ხდებიან, მინიმალურ დონეზე გაუზარდონ მუშახელს ანაზღაურება (Weber, 2005, p. 155).

ვებერი მიიჩნევს, რომ კაპიტალისტისა და დაქირავებული მუშახელის ურთიერთობა რეგულირებულია ზემოთ ნახსენები აბსტრაქტული „პროტესტანტული ეთიკის“ მეშვეობით, რომლის ფარგლებშიც ყველა იკმაყოფილებს თავის სოციალურ მოთხოვნებს. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მაქს ვებერის თეორიაში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია კაპიტალისტური წარმოების რელიგიურ, უპირველეს ყოვლისა, პროტესტანტულ (კალვინისტურ) მოტივებზე, სამრეწველო კაპიტალის გაზრდაზე, რათა შემდგომში მრეწველობამ უზრუნველყოს უფრო მეტი ფინანსური მოგება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მეტი საზოგადოებრივი დოვლათის წარმოებას (Weber, 2005, p. 17).

საინტერესოა ცნობილი ავსტრიელი და ამერიკელი ეკონომისტის, იოზეფ შუმპეტერის მრეწველობის საკითხებთან დაკავშირებული თვალთახედვა და თეორიული მიგნებები.

შუმპეტერის იდეა მრეწველობის თეორიასთან დაკავშირებით ფუნდამენტურად განსხვავდება სხვა მეცნიერთა ხედვისაგან. შუმპეტერისთვის მეწარმის ცნებას სპეციფიკური ფუნქციური შინაარსი და დატვირთვა აქვს, რაც, უწინარესად, ნიშნავს იმას, რომ მეწარმის ძირითად ორიენტირს უნდა წარმოადგენდეს იმ ფუნქციების შესრულება, რომელებიც აუცილებელი და საჭიროა პროდუქციის წარმოებისთვის. მიუხედავად ამისა, შუმპეტერის აზრით, ფუნციები იმავდროულად უნდა ემსახურებოდეს ინოვაციური პროდუქტის შექმნის მიზანსაც (Clemence, ed., 2009, p. 254).

შუმპეტერის აზრით, არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენს, მეწარმე შეთავსებით იყოს საწარმოს მფლობელიც. სავსებით შესაძლებელია, მეწარმე წარმოადგენდეს დაქირავებით მომუშავეს. სხვაგვარად რომ დავახასიათოთ, მეწარმე უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს საწარმოს ან ქარხნის მფლობელის მიერ დაქირავებული შესაბამისი უნარებისა და კვალიფიკაციის მქონე მმართველს (Clemence, ed., 2009, p. 255).

შუმპეტერი თავის თეორიაში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საბანკო-საფინანსო სისტემასა და მის განვითარებაზე. მისი თქმით, შეუფასებელია ის როლი, რომელსაც თამაშობს საბანკო სისტემა ინოვაციური პროდუქციის შექმნაში (Clemence, ed., 2009, p. 189).

საწარმოს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას, შუმპეტერის თეორიის თანახმად, წარმოადგენს ინოვაციური პროდუქციის შექმნა და წარმოებისთვის აუცილებელი ნედლეულის მიწოდების ალტერნატიული წყაროების ძიება. ცალკე აღსანიშნავია შექმნილი ინოვაციური პროდუქტის გავრცელებისთვის შესაბამისი საშუალებების შემუშავებაც. შუმპეტერი თავის თეორიაში ინოვაციას რიგ შემთხვევაში „ახალ კომბინაციასაც“ უწოდებს (Clemence, ed., 2009, p. 234).

შუმპეტერის მიხედვით, მეწარმეს თავისი ფუნქციების შესასრულებლად ამოდრავებს სხვადასხვა მიზანი, რომლებიც შუმპეტერის თეორიაში შემდეგნაირი შეიძლება ჩამოყალიბდეს (Clemence, ed., 2009, pp. 180-181):

- **„საკუთარი სამეფოს“ შექმნის სურვილი** – თანამედროვე ადამიანს ინდუსტრიასა თუ ვაჭრობაში წარმატების მიღწევის შედეგად შეუძლია მიიღოს ძალაუფლების და დამოუკიდებლობის ისეთი გრძნობა, რაც ჰქონდათ შუა საუკუნეების ევროპულ მმართველებს;
- **მოგების სურვილი** – კონკურენციის განცდა მეწარმეს უჩენს დაახლოებით იმავე სურვილს, როგორც აქვს სპორტსმენს კონკრეტული შეჯიბრების წინ. ამრიგად, სხვა სიტყვებით, კონკურენცია სხვა არაფერია, თუ არა „ფინანსური რბოლა“ ან „ფინანსური კრივი“;
- **სიხარულის განცდა** – განპირობებულია ფინანსური გამარჯვებით.

შუმპეტერის აზრით, მეწარმე რაღაცით ჰგავს პიონერს, რადგან ის მოქმედებს არსებული, საზოგადოებაში იმ მომენტისთვის უკვე მიღებული და გავრცელებული ღირებულებებისა და ნორმების წინააღმდეგ, რათა დაამკვიდროს ახალი, მანამდე არარსებული ტრადიცია, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ინოვაციური პროდუქტი (Clemence, ed., 2009, p. 184).

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შუმპეტერი თავისი თეორიის ამოსავალ წერტილად განიხილავს როგორც მეწარმე ინოვატორს, ასევე ინოვაციური პროდუქტის შექმნას.

ეკონომიკის რეალური სექტორისა და მრეწველობისა შესახებ თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აგრეთვე ცნობილმა ბრიტანელმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ კეინზიმ.

კეინზის თეორიით, კაპიტალისტურ სისტემას არ აქვს იმის უნარი, სრულად შეამციროს უმუშევრობის დონე საზოგადოებაში. უფრო მეტიც, კეინზის შეფასებით, მრეწველობის უმთავრეს ორიენტირს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვა უნდა წარმოადგენდეს, რადგან სხვა შემთხვევაში, არსებული ეკონომიკური სისტემის განვითარებაზე საუბარიც კი ზედმეტი იქნება (Keynes, 1936, p. 33).

კეინზის თეორიით, საწარმოს ეფექტიანი ფუნქციონირება განისაზღვრება იმის შესაბამისად, თუ რაოდენ რაციონალურად არის გამოყენებული ინვესტიციები (Keynes, 1936, p. 34).

კეინზის აზრით, ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის მხრივ მნიშვნელოვან ასპექტად შეიძლება განვიხილოთ როგორც ახლო, ისე გრძელვადიან გეგმებზე დაფუძნებული **მოლოდინები** (Keynes, 1936, p. 29).

კეინზის თეორიაში ინვესტიციებს სპეციფიკური ხასიათი აქვთ, რადგან მათი მოცულობა პირდაპირ უკავშირდება მოსალოდნელ ეკონომიკურ კრიზისებსა და სხვა სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს. აქ იგულისხმება, რომ იმ შემთხვევაში, თუ ჰორიზონტზე გამოჩნდება ეკონომიკური კრიზისის სილუეტი, ამან შეიძლება განაპირობოს ინვესტიციების მოცულობის კლება, ასევე – დივიდენდებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება (Keynes, 1936, p. 35).

მეტად საინტერესოა კეინზის მოსაზრება ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებით. კეინზი კრიზისს განიხილავს, როგორც ახალგაზრდა, დამწყები სპეციალისტების მიერ საკუთარი თავის გამოჩენის უნიკალურ შესაძლებლობას, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი დაბალი ანაზღაურების საფასურად ასრულებენ იმაზე დიდი მოცულობის სამუშაოს, ვიდრე ამას გამოცდილი სპეციალისტი შესრულებდა (Keynes, 1936, pp. 155-156).

ფრენკ ნაითის თეორიის მიხედვით, მეწარმეობა პირდაპირ დაკავშირებულია გაურკვევლობის განცდასთან, მოსალოდნელ რისკებთან და ბუნდოვან მომავალთან. ამრიგად, ნაითის თეორია ერთვარად ფსიქოლოგიური ხასიათისაა. ფრენკ ნაითისთვის მეწარმეობა გარკვეულწილად გაიგივებულია დაუზღვეველ ქონებასთან, რომლის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკების ალბათობა ძალიან მაღალია. სწორედ აქედან გამომდინარე, ნაითის აზრით, შეუძლებელია, რომ მეწარმე გახდეს ნებისმიერი ადამიანი. ნაითის თეორიით, მეწარმეობა პოტენციურად შეუძლიათ მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ რისკფაქტორებთან გამკლავების უნარი (Knight, 2006, p. 197).

ნაითი მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებს რისკის ისეთ კონცეფციაზე, რომლის მიხედვითაც, გამოიყოფა გაზომვადი და არაგაზომვადი რისკის კატეგორია (Knight, 2006, p. 198). ნაითი მიიჩნევს, რომ გაზომვადი რისკის შეფასება შესაძლებელია სტატისტიკური საშუალებებით. ნაითისეული თვალთახედვით, გაზომვადი რისკებია:

1. საქონლის ქურდობის რისკი;
2. საწარმოში ხანძრის გაჩენის რისკი;
3. საწარმოო ტრავმის რისკი;
4. შემთხვევითი სიკვდილის რისკი.

როგორც უკვე აღინიშნა, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი რისკი გაზომვადია, რადგან წინასწარ ხორციელდება მათი შეფასება და ამ რისკების მოსალოდნელი წარმოქმნისგან თავის დაზღვევა (Knight, 2006, pp. 200-201).

არსებობს აგრეთვე რისკების ისეთი კატეგორიაც, რომლის პროგნოზირება მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს. მსგავსი რისკის კატეგორია

დაკაშირებულია პროდუქტებთან, შუალედურ პროდუქტებზე არსებულ ფასებთან და მოთხოვნასა და მიწოდების სფეროში პოტენციურ ცვლილებებთან (Knight, 2006, p. 284).

ფრენკ ნაითის მიერ შემუშავებული თეორიის ძირითად პრინციპებად შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი ფაქტორები (Knight, 2006, p. 285):

- **გაურკვევლობის განცდა** – მომდინარეობს უშუალოდ მეწარმიდან და მიმართულია მის მიერ წარმოებული პროდუქციისკენ, რადგან პასუხი კითხვაზე, გაამართლებს თუ არა პროდუქტი, კონკრეტულ მომენტში არ არსებობს;

- **რისკის გაწევა** – სამეწარმეო საქმიანობა მოითხოვს სხვადასხვა ხარისხის რისკის გაწევას (მაღალი, საშუალო, დაბალი). რაც უფრო მაღალია რისკის ხარისხი, მით უფრო მეტი ფინანსური მოგების მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს მეწარმისთვის.

ძალიან საინტერესო და სპეციფიკურია ვენესუელელი და ბრიტანელი მეცნიერის, კარლოტა პერესის თეორიული მიგნებები, რომელთა მიხედვით, ეკონომიკურ განვითარება მნიშვნელოვნად განპირობებულია ტექნოლოგიური რევოლუციებით. პერესის თეორიულ მიგნებებში ზემოაღნიშნული პროცესი შეფასებულია, როგორც ფინანსური კაპიტალის, ფინანსური ინოვაციისა და სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ასპექტებდან გამომდინარე (Pepec, 2013).

კარლოტა პერესის აზრით, ეკონომიკის რეალური სექტორის გაძლიერების თვალსაზრისით და, იმავედროულად, მაღალი ეკონომიკური ზრდის მიღწევის მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს ინოვაციური ტექნოლოგიური საშუალებების ფართოდ დანერგვას და, აქედან გამომდინარე, მათ ინტენსიურ გამოყენებას (Pepec, 2013, c. 30).

პერესი თავის თეორიულ მიგნებებში ხაზგასმით გამოყოფს ეკონომიკურ-ტექნიკურ პარადიგმას, რომელსაც ახასიათებს, როგორც საუკეთესო ტექნოლოგიურ და ორგანიზაციულ პრინციპებზე დაფუძნებულ მოდელს (Pepec, 2013, c. 40).

კარლოტა პერესის აზრით, ტექნოლოგიურ რევოლუციასთან დაკავშირებული პარადიგმის ინტეგრაცია ეკონომიკის რეალურ სექტორში მომავალში განაპირობებს მომსახურებისა და წარმოების პროცესის მნიშვნელოვან ცვლილებებს (Pepec, 2013, c. 46).

პერესი თავის თეორიაში ეკონომიკურ განვითარებას ადარებს ზღვის ტალღებს. როგორც „ყოველ ახალ ტალღას მოსდევს მომდევნო, ანალოგიურია ეკონომიკური განვითარებაც. განვითარების ახალ ტალღას მუდმივად თან სდევს მომდევნო“ (Pepec, 2013, cc. 98-99).

პერესის თეორიის უმნიშვნელოვანეს ასპექტად შეიძლება მივიჩნიოთ ტექნოლოგიურ ბაზისზე წარმოებული ეკონომიკის განვითარების დაყოფა ორ ძირითად ჯგუფად (Pepec, 2013, c. 100). ესენია: დანერგვის ფაზა და აგრესიის ფაზა. ამ ფაზებიდან პირველი დაკავშირებულია როგორც ახალი იდეების გენერირებასთან, აგრეთვე ახალ ბიზნესპროექტებთან და მათი განხორციელებისათვის აუცილებელი ინვესტიციების მოზიდვასთან. რაც შეეხება მეორე ფაზას, ის მეტწილად ორიენტირებულია შედეგებზე. საგულისხმოა, რომ კარლოტა პერესი აგრესიის ფაზას ყოფს ორ ქვეფაზად. ესენია: „სინერგია“ და „მოწიფულობა“ (Pepec, 2013, cc. 100-113). „სინერგიის“ საშუალებით საზოგადოება იღებს მისი მოთხოვნების შესაბამის პროდუქტს ან/და მომსახურებას, ხოლო „მოწიფულობის“ ქვეფაზაში საზოგადოება აყალიბებს **ახალ მოთხოვნებს**. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს ახალი ტექნოლოგიური ტალღის გამოწვევას (Pepec, 2013, cc. 180-181).

კლაუს შვაბის მიხედვით, დღეს კაცობრიობა დგას ახალი მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის პირისპირ. ამ რევოლუციის უმთავრესი ორიენტირია საინფორმაციო და ტექნოლოგიების საშუალებებით თვისებრივად ახალი საქონელის და მომსახურების შეთავაზება საზოგადოებისთვის. სწორედ აქედან გამომდინარე, კლაუს შვაბის აზრით, ტექნოლოგიური განვითარება გავლენას ახდენს საზოგადოებაში დომინირებულ ეკონომიკურ (ასევე, სოციალურ და ეკონომიკურ) ქცევებზე (Schwab, 2016, p. 31).

კლავს შვაბი თავის მიგნებებში გამოყოფს ორ ძირითად განზომილებას. ესენია: ეკონომიკური ზრდა და სიღარიბის დაძლევა. აქედან გამომდინარე, ცვლილებებმა ტექნოლოგიებში უნდა განაპირობონ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა. ეს კი, თავის მხრივ, სიღარიბის შემცირების წინაპირობად შეიძლება მივიჩნიოთ (Schwab, 2016, p. 32).

მიუხედავად ზემოთქმულისა, ტექნოლოგიურმა განვითარებამ შეიძლება გარკვეული უარყოფითი გავლენაც კი იქონიოს (თუნდაც მოკლე პერიოდში) სამუშაო ძალაზე, რაც ძირითად შემთხვევაში განპირობებული იქნება ახალი ტექნოლოგიებით (მათ შორის, მაღალტექნოლოგიური), გაუმჯობესებული მანქანა-დანადგარებითა და წარმოების რობოტიზაციის ფართოდ დაწერვით. თუმცა, მიუხედავად ამისა, ტექნოლოგიური განვითარების ფარგლებში, დასაქმებულებს უჩნდებათ ახალი სამუშაო უნარ-ჩვევები და ცოდნა (პროფესიული გადამზადების ხარჯზე), რომლებიც აუცილებელია ახალ გარემოში თავის დასამკვიდრებლად (Schwab, 2016, pp. 37-38).

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური მეცნიერება მოიცავს ეკონომიკის რეალურ სექტორსა და მრეწველობასთან დაკავშირებულ უამრავ თეორიულ მიგნებას. ისინი თავისი არსით უნიკალურია. ზემოთ განხილული თეორიების ფარგლებში განსხვავებული მიდგომით ფასდება ძირითადი ობიექტი. მაგალითად, ერთი თეორია უფრო მეტად ორიენტირებულია რეალურ სექტორზე, მეორე – მხოლოდ მრეწველობაზე, ხოლო მესამე თეორიისთვის შეიძლება სულ სხვა მიმართულება იყოს შეფასების ორიენტირი. საბოლოოდ, ყველა ზემოხსენებული თეორია ორიენტირებულია, ახსნას, რა არის საზოგადოების კეთილდღეობისთვის აუცილებელი, რა მიზნებია შესასრულებელი დიდი მოცულობის ხარისხიანი პროდუქტის შესაქმნელად.

როგორც აღინიშნა, კაცობრიობამ ბოლო ასწლეულებში გამოიარა რამდენიმე ინდუსტრიული რევოლუცია. ყოველი ასეთი რევოლუცია განაპირობებდა ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებულ პროცესების ინოვაციური მიდგომების შემუშავებას და განვითარებას. სწორედ აქედან გამომდინარე, ზოგიერთი მეცნიერი უკვე საუბრობს კიდევ უფრო ახალი ინდუსტრიული რევოლუციის შესახებ,

რომლის უმთავრეს მიმართულებას ხელოვნური ინტელექტის განვითარება და მისი შესაძლებლობების გაფართოება წარმოადგენს (Van Erden, 2020, Nahavandi, 2019).

პირველი ინდუსტრიული რევოლუციის ხანგრძლივობამ შეადგინა დაახლოებით 100 წელი. მეორე ინდუსტრიული რევოლუცია კიდევ უფრო ნაკლები დროით – 50 წლით განისაზღვრა. მესამე ინდუსტრიული რევოლუციის ხანგრძლივობაც ასევე 50 წლით განისაზღვრა. ონლაინ და, ზოგადად, ციფრული ტექნოლოგიების განვითარების შედეგად, 2011 წლიდან საუბარი იწყება მეოთხე, ანუ კიდევ უფრო ახალ ინდუსტრიულ რევოლუციაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ტექნოლოგიური განვითარება ისეთი ჩქარი ტემპით მიმდინარეობს, რომ კულუარებში დაწყებულია საუბარი თვით მეხუთე ინდუსტრიულ რევოლუციაზეც. ამ უკანასკნელის მთავარ ორიენტირს კი, როგორც ეს ზემოთ უკვე აღინიშნა, ხელოვნური ინტელექტი და მასთან ასოცირებული ტექნოლოგიური საშუალებები წარმოადგენენ (Nahavandi, 2019), რომელთა შორის განიხილება სხვადასხვა აპლიკაცია, პროგრამული უზრუნველყოფები, „ბლოკჩეინ“ ტექნოლოგიები, სხვადასხვაგვარი დიდი მონაცემები³. შეიძლება ითქვას, 2019 წლის ბოლოს განვითარებულმა პანდემიურმა პროცესებმა და მის შედეგად გამოწვეულმა ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა ხელი შეუწყო და დააჩქარეს მეხუთე ინდუსტრიული რევოლუციის დაბადება. ამ პროცესებმა გვაჩვენა, რომ ის ტრადიციული მეთოდები, რომლებიც გამოიყენებოდა ეკონომიკური განვითარებისთვის, სრულიად უსარგებლო და უსუსური აღმოჩნდა პანდემიური კრიზისისას და, შესაბამისად, საჭიროებენ ძირეულ განახლებას (სანაძე, 2020ა, გვ. 355). სწორედ აქედან გამომდინარე, ის თეორიული მიდგომები, რომლებიც მოცემულია ამ ნაშრომის I თავის 1.2 პარაგრაფში, სულ უფრო არარელევანტური ხდება წარმოქმნილ გარემოებასთან მიმართებით. შესაბამისად, ჩემი აზრით, დღეს მსოფლიოში ისე სწრაფად იცვლება ეკონომიკური ვითარება, რომ ძველი ეკონომიკური მიდგომები ვეღარ აფასებენ არსებულ მდგომარეობას.

³ დიდი მონაცემები, ანუ იგივე Big Data წარმოადგენს მონაცემთა ფართო მასივებს, მიუხედავად მათი შინაარსისა, აგრეთვე ამ მონაცემებში არსებული ინფორმაციის დამუშავების საშუალებებს.

აქედან გამომდინარე, იქმნება საჭიროება ისეთი ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს არსებულ ვითარებას და მასთან ადვილად ადაპტირდება. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა საზოგადოებაში დღეს არსებული მოთხოვნებისა და მიდრეკილებების დაწვრილებით შესწავლა, ამის შემდეგ კი იმ ინოვაციური მიდგომების იდენტიფიცირება, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება ზემოხსენებული მოთხოვნების დაკმაყოფილება. ამასთან, აღნიშნული მოთხოვნები და მიდრეკილებები გარკვეული რაციონალური, ლოგიკური კანონზომიერების ჩარჩოში უნდა მოექცეს. რაც შეეხება აქამდე არსებულ ეკონომიკურ თეორიებს, ჩემი აზრით, ისინი თავისი არსით უნიკალურია. აქედან გამომდინარე, შესწავლილი უნდა იქნეს, როგორც მხოლოდ ისტორიული მოდელები. შესაბამისად, დაუშვებლად მიმაჩნია მათი ეკონომიკაში გაკერპება, მსგავსად, მაგალითად, მარქსიზმისა. დღევანდელი ვითარება გვაფიქრებინებს, რომ საჭიროა ეკონომიკის გადაყვანა ახალ, ინოვაციაზე დაფუძნებულ საწყისებზე, სადაც დიდი მნიშვნელობა მიენიჭება ინდივიდის შემოქმედებობას, ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.

1.3. ადამიანისეული ფაქტორი და ეკონომიკის ინოვაციური განვითარების თეორიული საფუძვლები

ეკონომიკა წარმოადგენს საზოგადოებრივ მოვლენას, ხოლო საზოგადოება არის ადამიანთა სტრუქტურირებული ერთობლიობა. აქედან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, რომ ეკონომიკის განმახორციელებელ აქტორს წარმოადგენს ადამიანი. შესაბამისად, როდესაც საუბარია ეკონომიკის განვითარების, უფრო მეტიც, მისი ინოვაციური მიმართულებით განვითარების შესახებ, იქვე აუცილებლად გასათვალისწინებელია გარკვეული თანმდევი ადამიანისეული ფაქტორები, რომლებიც განხილული იქნება წინამდებარე პარაგრაფში.

ეკონომიკაში ადამიანისეულ ფაქტორებზე საუბრისას აუცილებლად უნდა შევეხოთ ადამ სმიტისეულ ცნებას „Homo Economicus“-ის შესახებ. აღნიშნულ ცნებაში იგულისხმება ადამიანის ის თეორიული კონსტრუქტი (მოდელი), რომლის ძირითადი ორიენტირია მაქსიმალური სარგებლის ან/და მოგების მიღება. ადამ სმიტის თვალთახედვით, აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა წარმოების გაფართოება, რაც შეუძლებელი იქნება შესაბამისი კაპიტალდაბანდებების გარეშე (Heilbroner, Milberg, 2012, p. 48). ამრიგად, შეგვიძლია თამამად დავასკვნათ, რომ „Homo Economicus“-ის თეორიული მოდელი არის სხვადასხვა ტიპის ეკონომიკურ მოგებაზე ორიენტირებული თეორიული მოვლენა. ფრენკ ნაითის აზრით (Knight, 1947, p. 84), „Homo Economicus“-ის მოდელი აერთიანებს ფაქტორთა ისეთ ჯგუფებს, რომლებიც დაკავშირებულია როგორც, ერთი მხრივ, საკუთრივ ადამიანისეულ მიზნებთან და ამ მიზნების მისაღწევ გზებთან, მეორე მხრივ კი, შესაბამის ცოდნასთან. სწორედ ამ უკანასკნელის უშუალო გამოყენებით მიიღწევა საბოლოო მიზანი. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეკონომიკური საქმიანობების განხორციელება „Homo Economicus“-ის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს.

მიუხედავად ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა, „Homo Economicus“-ის თეორიული კონსტრუქტის მისამართით სამეცნიერო წრეებში გარკვეული კრიტიკაცაა მოცემული. მაგალითად, პიტერ დრუკერი მიიჩნევს, რომ „ეკონომიკური ადამიანის“ თეორიული მიდგომა უკვე დიდი ხანია, რაც შეუსაბამო გახდა არსებულ რეალობასთან. დრუკერის თვალსაზრისით, რთულია „ეკონომიკურ ადამიანად“ აღვიქვათ ის მუშახელი, რომელიც მიზერული ხელფასის საფასურად ახორციელებს კოლოსალურ სამუშაოს. უფრო მეტიც, დრუკერი ამბობს, რომ შემოსავლების არათანაბარი განაწილება წარმოადგენს საპროტესტო ტალღის წინაპირობას, რაც კიდევ ერთხელ გვაფიქრებს, რომ „ეკონომიკური ადამიანი“ უფრო პოლიტიკურ პროცესებში ოპონენტების საწინააღმდეგოდ აქტიურად გამოსაყენებელ საგნად გარდაიქმნა (Drucker, 2009, p. 38). თავისი არგუმენტის გასამყარებლად დრუკერს მოჰყავს ცნობილი საბჭოთა მემახტის, ალექსეი სტახანოვის მაგალითი. გადმოცემის თანახმად, სტახანოვმა დაამყარა ქვანახშირის

მოპოვების არნახული რეკორდი, როდესაც დაახლოებით 6 საათის განმავლობაში მოიპოვა 102 ტონა ქვანახშირი, რაც იმ პერიოდის ნორმატივს დაახლოებით 14-ჯერ აღემატებოდა. შედეგად საბჭოთა (კომუნისტურმა) პროპაგანდამ აიტაცა სტახანოვის ეს მიღწევა და სამრეწველო პროდუქციის წარმოებისთვის ახალი ნორმატივები დააწესა, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა მეშახტეთა უკმაყოფილება და მათი ყოფიერების გაუარესება. ცნობილია, რომ სტახანოვის ლეგენდა შეთხზულია და გამოყენებულია პოლიტიკური პიარისა და არა ეკონომიკური მიზნებისთვის (Druker, 2009, pp. 40-43).

იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოებისთვის დამახასიათებელია გარკვეული სახის მერკანტილიზმი, რომელიც მეტწილად ინდუსტრიალიზაციის პროდუქტის მოხმარებაზეა ორიენტირებული, პ. დრუკერი „ინდუსტრიული ადამიანის“ თეორიულ მოდელზე ამახვილებს განსაკუთრებულ ყურადღებას. აღსანიშნავია, რომ ამ მოდელში ადამიანის როლი მკაფიოდ არის განსაზღვრული. აქ იგულისხმება ის ფაქტი, რომ ინდუსტრიალიზაციის მწარმოებელი ყველა სუბიექტი ზედმიწევნით ახორციელებს მათზე დაკისრებულ ფუნქციებსა და მოვალეობებს (მაგალითად, საწარმოს მმართველი ქმნის საწარმოს განვითარების სტრატეგიას, ბანკირი უზრუნველყოფს კრედიტის გაცემას და ა.შ.). ყველა ამ აღნიშნული ქმედების მიზანს კი წარმოადგენს საზოგადოებაში არსებული მოთხოვნების საბოლოო დაკმაყოფილება. დრუკერის თვალთახედვით, მერკანტილური საზოგადოებისთვის ეკონომიკური საქმიანობის განვითარება თავისებური სოციალური პრესტიჟის მატარებელია (Druker, 1995, pp. 48-50).

ეკონომიკაში ადამიანისეულ ფაქტორზე საუბრისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეკონომიკა წარმოადგენს საზოგადოებრივი მეცნიერების ნაწილს და, აქედან გამომდინარე, გერმანელი მეცნიერის, რ. ბლუმის მოსაზრებაზე დაყრდნობით, მსგავსად სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებებისა (სოციოლოგია, ფსიქოლოგია, პოლიტოლოგია, კულტუროლოგია და ა.შ.), მას აქვს თავისი „Homo Logicus“-ი. შესაბამისად, ამ მოცემულობის გათვალისწინებით, ჩვენ წინაშე წარდგებიან შემდეგი თეორიული კონსტრუქტები: „სოციოლოგიური ადამიანის მოდელი“,

„ფსიქოლოგიური ადამიანის მოდელი“, „პოლიტოლოგიური ადამიანის მოდელი“ (Blum, 1991, s. 111; Автономов, 1998, с.9).

დღევანდელ საზოგადოებაში ინოვაციური საქმიანობების მიმართ ინტერესი იზრდება. აქედან გამომდინარე, ინოვაციის ცნების სინონიმად შეიძლება მოგვევლინოს ისეთი ტერმინი, როგორც არის თანამედროვეობა. იმის გათვალისწინებით, რომ ინოვაციური ეკონომიკის მთავარი აქტორი ადამიანია, ავანსცენაზე გამოდის ახალი მოდელი, რომელსაც „ჰომო ინოვატიკუსის“ (Homo Innovaticus), ანუ იგივე „ინოვაციური ადამიანის“ სახელით მოიხსენებენ. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ აღნიშნული თეორიული მოდელის საშუალებით უნდა განხორციელდეს სხვადასხვა ინოვაციური იდეა (Друтова, 2013, с. 58). მეცნიერთა ნაწილი (მაგალითად, Shelton, 2018) ტერმინ „ჰომო ინოვატიკუსის“ ნაცვლად იყენებს აგრეთვე მცირედით განსხვავებულ სახელწოდებას – „ჰომო ინოვატუსი“ (Homo innovatus). მიუხედავად ამისა, აღნიშნული ტერმინები ერთმანეთის სინონიმებია. საგულისხმოა, რომ „ინოვაციური საქმიანობის შემოქმედი“ „Homo Innovaticus“-ის ადამიანის აბსტრაქტული, თეორიული მოდელია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მომავალზეა ორიენტირებული. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, თუ რაოდენ არის გაჯერებული საზოგადოებაში ეკონომიკური ოპტიმიზმი (Балацкий, 2010). თავის მხრივ, საზოგადოებაში ეკონომიკური ოპტიმიზმის გაძლიერება შესაძლებელია მხოლოდ სამართლებრივი, პოლიტიკური და მაკროეკონომიკური სტაბილურობის შემთხვევაში. არასტაბილურობის დროს კი საწარმოს ურჩევნია ისევ და ისევ არსებული, მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენება, რადგან ეს არასტაბილურობა მომავალთან დაკავშირებული რისკის ზრდას უწყობს ხელს (პაპავა, 2018ბ, გვ. 53; პაპავა, 2020ბ, გვ. 14).

თავის თეორიულ მიდგომაში ცნობილი მეცნიერი იოზეფ შუმპეტერი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომლის მიხედვითაც, ეკონომიკის განვითარებისა და საბოლოოდ თვალსაჩინო ეკონომიკური ზრდის მისაღებად ძალზე მნიშვნელოვანია ნოვატორული იდეები და საქმიანობები (Clemence, ed., 2009, p. 234).

და მაინც, რა ძირითადი მახასიათებლები უნდა ჰქონდეს „ჰომო ინოვაციკუსს“ იმისთვის, რომ მოახდინოს საბოლოო ინოვაციური შედეგის მიღწევა? ეს მახასიათებლები რამდენიმეა. დრუგოვას აზრით (Другова, 2013, с. 58), „ჰომო ინოვაციკუსი“ უნდა იყოს:

- ახალ იდეებსა და მათ გენერირებაზე, აგრეთვე ამ იდეების რეალიზაციაზე ორიენტირებული;
- განათლებისა და ცოდნის მიღებაზე მუდმივად მოწოდებული;
- მობილური როგორც გეოგრაფიული, აგრეთვე მენტალური თვალსაზრისით;
- გახსნილი და რისკიანი;
- ჰქონდეს როგორც კონკრეტული სპეციალური მომზადება, ასევე ფართო დიაპაზონის ზოგადი ცოდნა;
- ერთმანეთს უთავსებდეს საპროექტო და კვლევით უნარებს;
- შეეძლოს სტრატეგიულად და ტაქტიკურად აზროვნება;
- შეეძლოს ნდობასა და პარტნიორობაზე დაფუძნებული ურთიერთობების ჩამოყალიბება;
- შეეძლოს კოოპერაციული ტიპის თანამშრომლობა.

თავისთავად ცხადია, ყველა ეს ჩამოთვლილი ნიშან-თვისება შეუძლებელია, ერთ ადამიანს ჰქონდეს. ამ თვისების მატარებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთად აღებული უამრავი ადამიანი, ისეთები, როგორებიც არიან მენეჯერები, მკვლევრები, გამომგონებლები, ანალიტიკოსები და ა.შ. (Другова, 2013).

„ჰომო ინოვაციკუსს“ თავისი არსით უფრო მომავალზე აქვს ორიენტაცია, ხოლო მომავალი, ხატოვნად რომ დახასიათდეს, არის ის „ტერიტორია, რომელიც აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს დაპყრობას და, შესაბამისად, კოლონიზაციას“ (Giddens, 2011, p. 22).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თვალსაჩინო ხდება თანამედროვე საზოგადოებაში „ჰომო ინოვაციკუსის“ როლის განსაკუთრებული მნიშვნელობა. აქედან გამომდინარე, ინოვაციური საქმიანობის უკეთ განხორციელების მიზნით, სასიცოცხლოდ აუცილებელია „ჰომო საპიენსის“ „ჰომო ინოვაციკუსად“ ტრანსფორმირების პროცესის ხელშეწყობა (Shelton, 2018).

თანამედროვე ეპოქაში მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინოვაციური პროდუქტებისა და მომსახურების მიმართ ინტერესი ძალიან დიდია. უნდა აღნიშნოს, რომ 1990-იან წლებამდე ეკონომისტები ინოვაციასთან დაკავშირებულ საკითხებს შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ. თუმცა 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, როდესაც ინტერნეტის მოხმარება სულ უფრო მასობრივ ხასიათს იძენს, ინოვაციური ეკონომიკისადმი დაინტერესება მნიშვნელოვნად იზრდება. გათვალისწინებით იმისა, რომ ინოვაციური ეკონომიკა წარმოადგენს ისეთ თეორიულ მიდგომას, რომლის ფარგლებშიც ეკონომიკის განვითარება ხორციელდება მაღალტექნოლოგიური საშუალებებისა და ცოდნის ინტენსიური გამოყენებით შექმნილი პროდუქციისა და მომსახურების მეშვეობით (Lemanowicz, 2015, p. 61-64), „ჰომო ინოვატიკუსისთვის“ დამახასიათებელი უნარ-ჩვევები საზოგადოებაში მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ პოროდუქციაზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად სულ უფრო არასაკმარისი ხდება არსებული რეალობისთვის.

მეცნიერების ნაწილი ყურადღებას ამახვილებს ისეთ ადამიანისეულ კონსტრუქტზე, რომელიც მოხმარებაზეა ორიენტირებული – *Homo Consumens* (მაგალითად, Давтян, 2020, с. 42). ეს თეორიული მიდგომა, ჩემი აზრით, ორიენტირებულია მომხმარებელი და არა მწარმოებელი საზოგადოების გაძლიერებისაკენ. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით (სანაძე, 2020გ, გვ. 109-117; Sanadze, 2021, pp.23-28), საჭირო ხდება საზოგადოებაში წინა პლანზე გამოვიდეს ახალი თეორიული მოდელი, რომელსაც „მაღალტექნოლოგიური ადამიანი“, ან იგივე „Homo Hi Techicus“ შეიძლება ვუწოდოთ. ზოგადად რომ ვთქვათ, ეს თეორიული კონსტრუქტი გულისხმობს ისეთ ტექნიკური უნარების ერთობლიობას, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც თანამედროვე მაღალ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული საშუალებებისა და სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის შესაქმნელად, ასევე მათ გამოსაყენებლად. ამრიგად, როდესაც საუბარია ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაზე, არ უნდა გამოგვრჩეს იმ უნარ-ჩვევების მნიშვნელობა და როლი, რომლებიც თან ახლავს „Homo Hi Techicus“-ის მოდელს. გარდა ამისა, მივიჩნევ, რომ „Homo Hi Techicus“-ის მოდელი აერთიანებს

ზემოთ ნახსენები „Homo Innovatus“-ის ყველა საუკეთესო თვისებასაც. აღსანიშნავია, რომ მაღალტექნოლოგიური ინოვაციური ეკონომიკის წარმოებისთვის გარკვეული მოსამზადებელი ღონისძიებებია განსახორციელებელი. ამ დროს ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს ქვეყანაში „სამეცნიერო და კვლევითი, აგრეთვე საძიებო და საკონსტრუქტორო სამუშაოების შემსრულებელი პროფესიონალი კადრის მომზადებაზე“ (პაპავა, 2019, გვ. 48). მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საშუალებების შექმნასა და გამოყენებაზე ორიენტირებული საწარმოები პოტენციურ კადრებს სთავაზობენ ისეთ სამუშაოს, რომლის განხორციელება წარმოუდგენელია სპეციალური ცოდნისა და უნარ-ჩვევების გარეშე. თანამედროვე სამუშაო პირობები დასაქმებულებს აძლევს შესაძლებლობებს, ხარისხიანად იმუშაონ არა მხოლოდ ოფისში, არამედ თუნდაც სახლიდან ან კიდევ სხვა კონტინენტიდან (Coyle, 2020).

ინოვაციური ეკონომიკა ხორციელდება იმ საწარმოებისა და კომპანიების მიერ, სადაც უპირატესობა ენიჭება ტექნიკური განათლების მქონე მუშახელს. ინოვაციური ეკონომიკის წარმოება ძირითადად ხდება სამეცნიერო კვლევებსა და დამუშავებებზე (Research and Development)⁴ ორიენტირებული კომპანიების მიერ, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული მოწინავე სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან. ზოგიერთი მეცნიერი (მაგალითად, Fagerberg, Srholec, Verspagen, 2009, pp. 4-8) მიიჩნევს, რომ ინოვაციური ეკონომიკა მიიღწევა არა მხოლოდ მაღალტექნოლოგიურ შესაძლებლობებზე დაფუძნებით, არამედ ის ასევე დაკავშირებულია ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტებისა და პროცესების შექმნასთან.

მაღალ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული პროდუქციის წარმოება ან გამოყენება, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, წარმოადგენს თვისებრივად განსხვავებული მოდელის „Homo Hi Techicus“-ის პრეროგატივას. ამის მიუხედავად, ფიქსირდება აგრეთვე თვალთახედვა (Daneke, 2020, pp. 19-38), რომლის თანახმადაც, მომავლის ინოვაციური ეკონომიკის შემოქმედი შეიძლება იყოს სხვა სახის ადამიანისეული მოდელი, რომლის სახელია „Homo Complexicus“-ი, ან კიდევ

⁴ თარგმნილია ეკონომიკურ საქმიანობათა ეროვნულ კლასიფიკატორის (სეკ 006 2016) შესაბამისად

– „Machina-Economicus“-ი. ზოგადი თვალსაზრისით, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ „მაღალტექნოლოგიურ ადამიანსა“ და „ჰომო კომპლექსიკუსს“ შორის უნდა არსებობდეს ერთგვაროვანი თვისებები. ასევე, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ისინი ერთსა და იმავე მოდელს წარმოადგენენ. თუმცა, აღნიშნული მოდელების სიღრმისეულად გაანალიზების შემდეგ მარტივად ვასკვნით, რომ ხსენებულ ორ მოდელს შორის ძალიან ბევრი განსხვავება ფიქსირდება. ამრიგად, დანეკვს თვალთახედვიდან გამომდინარე, „Homo Complexicus“-ი წარმოადგენს არა ადამიანისეულ ფაქტორს, არამედ ხელოვნურ ინტელექტს (ინგ. Artificial Intelligence). მისი მთავარი მიზანია საზოგადოებაზე კომპლექსური კონტროლის განხორციელება და არა ეკონომიკის გაძლიერება. ამისათვის „Homo Complexicus“-ი აქტიურად იყენებს მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ საშუალებებს. მაშასადამე, თუ „Homo Hi Techicus“-ი ადამიანია, „Homo Complexicus“-ი მხოლოდ ხელოვნური ინტელექტია. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ, ჩემი აზრით, „Homo Complexicus“-ი ვერასდროს გარდაიქმნება ისეთ ფაქტორად, რომელიც უზუნველყოფს ეკონომიკის ინოვაციური გზით განვითარებას. უნდა აღინიშნოს, რომ „Homo Complexicus“-ი მექანიკურ მუშაობაზეა ორიენტირებული და არ ახასიათებს მოქნილობა.

„Homo Hi Techicus“-ის საბოლოო მიზანია საზოგადოებაში გავრცელებული მოთხოვნების მაღალტექნოლოგიური პროდუქციითა და მომსახურებით დაკმაყოფილება.

და მაინც, რა შეიძლება მივიჩნიოთ იმ ძირითად და, იმავდროულად, სპეციფიკურ ნიშან-თვისებებად, რომლებიც უნდა ახასიათებდეს „მაღალტექნოლოგიურ ადამიანს“? ვფიქრობ, ესენია:

- კრეატიული აზროვნება;
- პროგრამული უზრუნველყოფის ათვისება;
- ანალიტიკური უნარ-ჩვევები;
- ციფრული და ტექსტური მონაცემების დამუშავებისა და ანალიზი-ვიზუალიზაციის უნარი;
- ლოგიკური აზროვნება;

- სისტემური პრობლემების დადგენისა და მათი გადაჭრის უნარები;
- პროფესიული განვითარების უნარები;
- სიახლეების ათვისების უნარები.

ყოველივე თქმულიდან გამომდინარე, ინოვაციური ეკონომიკის მწარმოებლად შეიძლება განვიხილოთ მოდელი „მაღალტექნოლოგიური ადამიანი“, რომელმაც უნდა შეძლოს საზოგადოების უზრუნველყოფა მაღალტექნოლოგიური პროდუქტით, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკის განვითარების წინაპირობაა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება მაღალი ტექნოლოგიების საშუალებით შექმნილი პოდუქციისა და მომსახურების განვითარებზე, ეს უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნისთვის უდიდეს პრესტიჟსა და წარმატებას საერთაშორისო დონეზე; შესაბამისად კი, ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან განვითარებასაც. ამრიგად, არსებული ვითარების გათვალისწინებით, „მაღალტექნოლოგიური ადამიანი“ შეგვიძლია თამამად განვსაზღვროთ, როგორც ამ ეტაპზე ინოვაციური ეკონომიკის განმხორციელებელი ყველაზე ადეკვატური მოდელი.

საინტერესოა, თუ როგორია საკუთრივ ინოვაციის ცნების განმარტება სოციალურ მეცნიერებებში. ცნობილი ამერიკელი მეცნიერი რობერტ მერტონი თავის წიგნში „სოციალური თეორია და სოციალური სტრუქტურა“, ინოვაციას განმარტავს, როგორც დევიაციის (იგივე – საზოგადოებაში გაბატონებული სტანდარტებიდან გადახვევა) ისეთ სანიმუშო ფორმად, რომლის მეშვეობითაც საზოგადოებაში აქცენტირებული და გაბატონებული სოციალურ-კულტურული ღირებულებები პრაქტიკულად ხორციელდება მანამდე არარსებული და, იმავდროულად, ტექნიკურად ეფექტიანი საშუალებების გამოყენებით (Merton, 1968, p. 230).

ეკონომიკის ინოვაციური განვითარების თეორიული საფუძვლები ეკონომიკური საქმიანობის ფართო სპექტრს მოიცავს. ის შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც ეკონომიკის სრულიად ახალი დარგის შექმნასთან,

ასევე არსებული ეკონომიკური დარგის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებასთან. ეკონომიკაში ინოვაციური პროცესი გამოირჩევა თავისი დინამიკური და სპეციფიკური ბუნებით. უპირველეს ყოვლისა, ის ითვალისწინებს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკაში ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორის როლის მნიშვნელოვნად გაზრდას (Kelly, 1998, p. 2).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ინოვაციურ ეკონომიკაზე საუბრისას, ხშირ შემთხვევაში, ვგულისხმობთ ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკას. აღნიშნულ თეორიულ მიდგომაზე პირველად ყურადღება გაამახვილა ზემოთ უკვე ნახსენებმა პიტერ დრუკერმა თავის 1967 წელს გამოცემულ წიგნში „ეფექტიანი მმართველი“, სადაც ის ერთმანეთისაგან განასხვავებს ხელით მომუშავეებსა და ცოდნით მომუშავეებს. დრუკერი ხელით მომუშავეებს „manual worker“-ებად, ხოლო ცოდნით მომუშავეებს „knowledge worker“-ებად მოიხსენებს. „ხელით მომუშავე“ საკუთარი ხელით ქმნის საქონელს და მომსახურებას. რაც შეეხება ცოდნით მომუშავეს, ის საკუთარი ინტელექტით მუშაობს, ქმნის იდეებს, ახალ ცოდნას, პრაქტიკას, მეთოდებს და ინფორმაციას (Drucker, 2002, p. 85).

პიტერ დრუკერის კონცეფციის თანახმად, ეკონომიკის ინოვაციური წარმატებისთვის აუცილებელი კომპონენტია მცოდნე თანამშრომელთა არსებობა. მისი მოსაზრებით, საწარმოსთვის ასეთი თანამშრომლების არსებობა ფასეულ აქტივს წარმოადგენს. დრუკერის მტკიცებით, „მცოდნე თანამშრომელი თანამედროვე ეკონომიკის უმთავრესი შემადგენელი ნაწილია და მსგავსი თანამშრომლის წარმოჩენა მხოლოდ ორგანიზაციის მართვის „ჰიბრიდულ“ მოდელს შეუძლია. დრუკერის ფილოსოფიის მთავარ თეზისს წარმოადგენდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ საწარმოსთვის ყველაზე ფასეულ რესურსს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანები შეადგენენ“. ამრიგად, ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად საწარმოს მმართველებს დასაქმებულთათვის გონივრული ვადა უნდა მიეცათ, რათა შენარჩუნებულიყო სამუშაო ძალის მწარმოებლურობა (Drucker, 2002, p. 85).

ევროკავშირის ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შექმნა და მისი განვითარება წარმოადგენს. აღნიშნული

მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია ევროკავშირის ქვეყნებში ტექნოლოგიური ინოვაციის სისტემის შექმნის ხელშეწყობა. როგორც წესი, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოება დაკავშირებულია ისეთ ინდუსტრიებთან, როგორებიცაა: ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგია, ბიოტექნოლოგია, საჰაერო და კოსმოსური მრეწველობა, ფარმაცევტული ინდუსტრია, ელექტრონიკა და ა.შ. (Papava, 2019, p. 135).

მაღალი ტექნოლოგიები განაპირობებენ ეკონომიკის კიდევ უფრო განვითარებას, რასაც თან სდევს როგორც დიდი მოცულობის ინვესტიციების განხორციელება, ასევე მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მეწარმეობის დაფინანსების სისტემა, შედარებით მაღალი დასაქმების წილი სამეცნიერო კვლევებისა და დამუშავებების კუთხით. საგულისხმოა აგრეთვე ამ სფეროს მზარდი დაფინანსება, დასაქმებულებზე გაწეული ხარჯების ჩათვლით (Papava, 2019, p. 135).

იმისათვის, რომ ქვეყანამ შეძლოს ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკურ მოდელზე გადასვლა, საჭიროა შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომლის ფარგლებშიც ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად იქნება წარმოდგენილი იმ პროფესიონალების მომზადება, რომლებიც განხორციელებენ კვლევებთან და დამუშავებებთან დაკავშირებულ სამუშაოებს (Papava, 2019, p. 138).

გარდა ზემოთქმულისა, ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკურ მოდელზე გადასასვლელად ასევე მნიშვნელოვანია ქვეყნის უნივერსიტეტების განვითარება არა მხოლოდ განათლების დონის ამაღლების, არამედ კვლევებთან და დამუშავებებთან დაკავშირებული საქმიანობების გაფართოების მიმართულებითაც. მიუხედავად ამისა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინოვაციური ეკონომიკის განვითარებამ არ უნდა შეავიწროოს ან უგულვებელყოს ე.წ. „ტრადიციული“ ინდუსტრიები, რომელთა არსებობა განაპირობებს ქვეყანაში კაპიტალის დაგროვებასა და ეკონომიკურ სტაბილურობას (Papava, 2019, p. 139). აგრეთვე გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკურად ისეთ ძლიერ ქვეყანაში, როგორიც არის აშშ, 2021 წელს მიღებულ იქნა ინოვაციისა და კონკურენციის აქტი (United States Innovation and Competetion Act – USICA), რომლის მიხედვით,

სტრატეგიულად მნიშვნელოვან ინდუსტრიულ მიმართულებებს მთავრობამ უნდა შეუწყოს ხელი, რადგან კერძო სექტორს არ გააჩნია ამის შესაძლებლობა. აღნიშნული ხელშეწყობა გულისხმობს ინდუსტრიების სხვადასხვა ინფრასტრუქტურული საშუალებით უზრუნველყოფას კვალიფიციური მუშახელით. ხსენებულ აქტში ძირითად ორიენტირს წარმოადგენენ ტექნიკური დარგები. ამგვარად, საშუალოვადიან პერიოდში ეს მიდგომა აშშ-ისთვის დადებითი შედეგის მომტანი იქნება (Kruger, 2021).

როგორც ცნობილია, ინოვაციური საქმიანობის დასახასიათებლად გამოიყენება გლობალური ინოვაციების ინდექსი. ის ასახავს ინოვაციის სხვადასხვა ასპექტს, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ მართებული ორიენტირების შექმნას გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისა და რესურსების მწარმოებლურობის ამაღლებისათვის, ასევე ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ გლობალური ინოვაციების ინდექსის დონე 2019 წლის მდგომარეობით ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: ბულგარეთი, ლატვია, ლიეტუვა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია და უნგრეთი, მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ისინი მსოფლიო მასშტაბით წარმატებული ქვეყნების მეოთხე ათეულში შედიან. ამასთან ერთად, ისინი ევროკავშირის არაპოსტკომუნისტური ქვეყნებიდან საბერძნეთსაც კი უსწრებენ. გლობალური ინოვაციების ინდექსის დონის მიხედვით, ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შორის შედარებით ჩამორჩენილი ქვეყნებია ხორვატია და რუმინეთი, რომლებიც მსოფლიო მასშტაბით, შესაბამისად, 44-ე და 50-ე ადგილებს იკავებენ. საინტერესოა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისა და რუსეთის რეიტინგი 2019 წლის მდგომარეობით. გლობალური ინოვაციების ინდექსის შესაბამისად, რუსეთი, უკრაინა და საქართველო 46-ე, 47-ე და 48-ე პოზიციებზე იმყოფებიან და უსწრებენ ევროკავშირის მხოლოდ ერთ პოსტკომუნისტურ ქვეყნას – რუმინეთს, რომელსაც 50-ე ადგილი უკავია რეიტინგში. აღმოსავლეთ პარტნიორობის დანარჩენი ქვეყნებიდან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა მოლდოვაში (58-ე პოზიცია). რაც შეეხება ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა: სომხეთი, ბელორუსი და აზერბაიჯანი, ისინი 2019 წლის რეიტინგში

64-ე, 72-ე და 84-ე ადგილებზე არიან წარმოდგენილნი (Dutta, Lanvin, Wunsch-Vincent, eds., 2019, pp. xxxiv-xxxv).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ინოვაციური ეკონომიკა წინა პლანზე აყენებს კომპიუტერიზებულ, პროგრამულ უზრუნველყოფებზე დაფუძნებულ სხვადასხვა საქმიანობას. ამ მიდგომას, სხვა სიტყვებით რომ დავახასიათოთ, ციფრული ეკონომიკაც შეიძლება ეწოდოს. ეს არის სრულიად ახალი ინდუსტრია, რომელიც სხვადასხვა შეფასებითა და მასშტაბურობით აღემატება ტრადიციული სახეობის ეკონომიკას (Kelly, 1998, p.2).

საზოგადოდ, მიიჩნევა, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სხვა არაფერია, თუ არა ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ხერხემალი და როგორც ეს ბოლო პერიოდში აღიარებულია, ის წარმოადგენს ეფექტიან ინსტრუმენტს ეკონომიკური ზრდისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის (Chen, Dahlman, 2006, p. 5).

ამრიგად, ინოვაციური ეკონომიკა დაფუძნებულია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევებზე. მისი ინფრასტრუქტურის შემადგენელი ელემენტები ერთმანეთთან დაკავშირებულია კომპიუტერების, ტელეფონების, ტელევიზიისა და რადიოს ქსელების საშუალებით, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით (Chen, Dahlman, 2006, p. 5).

ინოვაციური ეკონომიკის შესაძლებლობების შეფასებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ბრიტანელი მეცნიერის, ფრენკ უებსტერის თვალთახედვა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. კერძოდ, უებსტერი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს ახასიათებს, როგორც ექსპლუატაციის შედარებით ნაკლები ხარჯის მქონე საშუალებას, ხარჯეფექტიანობის⁵ პრინციპებიდან გამომდინარე (Shafritz, Hyde, 2017, p. 24).

⁵ ტერმინი გულისხმობს ხარჯეფექტიანობის ანალიზს (Cost-Effectiveness Analysis), რომლის დროსაც ფასდება ერთმანეთის მსგავსი პროექტების ან პროგრამების მახასიათებლები და ირჩევა მხოლოდ საუკეთესო (რომელსაც მეტი ეფექტი და ნაკლები დანახარჯი აქვს). ანალიზის აღნიშნული მეთოდი მიზნად ისახავს ყველაზე ნაკლებხარჯიანი მეთოდის გამოვლენას განსაზღვრული ამოცანების მისაღწევად.

ფრენკ უებსტერის თვალთახედვით, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს შესწევთ ძალა და უნარი, სივრცული თვალსაზრისით დიდ მანძილზე სწრაფად და ეფექტიანად განახორციელონ სხვადასხვა ტიპისა და მოცულობის მონაცემის ან ინფორმაციის გადატანა (Webster, 2006, p. 8). სწორედ აქედან გამომდინარე, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება ხელს უწყობს სრულიად ახალი ტიპის საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელსაც ციფრული საზოგადოებაც შეიძლება ეწოდოს (Webster, 2006, pp. 9-10).

ინოვაციური ეკონომიკის ერთ-ერთ მიმართულებად შეიძლება ე.წ. ციფრული ეკონომიკა მივიჩნიოთ. კერძოდ, ციფრულ საზოგადოებას როგორც თავისი არსებობისთვის, ასევე თავისი პოზიციების გასამყარებლად, ესაჭიროება ციფრული ეკონომიკისა და ციფრული ინდუსტრიის შექმნა. გასული ათწლეულის განმავლობაში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება მჭიდროდ უკავშირდება ეკონომიკურ ზრდას. ამასთან, ის ასევე განაპირობებს ქვეყანაში მეტი ინვესტიციის მოზიდვას და შრომის მწარმოებლურობის კიდევ უფრო გაუმჯობესებას (Webster, 2006, pp. 9-10).

თავის თეორიულ მიგნებებში უებსტერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეკონომიკური პირობის დაკმაყოფილებას იმ მიზნით, რომ იარსებოს ციფრულმა საზოგადოებამ. იგი მიიჩნევს, რომ ციფრული საზოგადოება ზრდის როგორც ციფრული ეკონომიკის მნიშვნელობას, ასევე მის ეკონომიკურ ღირებულებას (Webster, 2006, p. 13).

და მაინც, როდის შეიძლება ვთქვათ, რომ ციფრული ეკონომიკა არსებობს? ამ კითხვაზე ფრენკ უებსტერი ასე პასუხობს: თუ ინდივიდს შეუძლია უზრუნველყოს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ბიზნესის წილის ზრდა მთლიან სამამულო პროდუქტში, აქედან გამომდინარე, ჩვენ ლოგიკურად ვასკვნით, რომ ეკონომიკა გახდა ციფრული. სხვა სიტყვებით, როდესაც საინფორმაციო და საკომუნიკაციო სექტორის აქტიურობა აღემატება სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის აქტიურობას, სწორედ მაშინ შეიძლება

საუბარი ინფორმაციულ და ციფრულ ეკონომიკაზე, შესაბამისად კი, ინფორმაციულ საზოგადოებაზე (Webster, 2006, p. 17).

ამრიგად, როგორც ზემოთ აღინიშნა, ინოვაციური ეკონომიკა თავისი განვითარების რთულ გზაზე სულ უფრო მეტად ეყრდნობა ინდივიდის ცოდნასა და მის შესაბამის უნარ-ჩვევებს. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ინოვაციური ეკონომიკის მთავარ მამოძრავებელ ძალას და გულისხმობს ახალი ცოდნის, ახალი გამოცდილების, ახალი უნარ-ჩვევების შექმნას, მათ გავრცელებასა და, აქედან გამომდინარე, ეფექტიანად გამოყენებას ეკონომიკის შემდგომი განვითარებისთვის (Chen, Dahlman, 2006, p. 6).

ჩენის და დალმანის მოსაზრებით, ინოვაციური ეკონომიკა აუცილებლად უნდა ემყარებოდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს (Chen, Dahlman, 2006, p. 4):

1. ინვესტიციებს განათლების სექტორში;
2. განათლების სექტორში ინოვაციური შესაძლებლობების შემუშავებასა და განხორციელებას;
3. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური გარემოს უზრუნველყოფას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩენისა და დალმანის თვალთახედვით, ინოვაციური ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების გატარება (Chen, Dahlman, 2006, p. 4):

- განათლების სექტორის ეკონომიკური სტიმულირება და შესაბამისი ინსტიტუციური მიდგომის შემუშავება, რამაც საბოლოოდ უნდა უზრუნველყოს რესურსების ეფექტიანი განაწილება ცოდნის მიღებისა და მისი გამოყენების ხელშეწყობისთვის;
- იმ განათლებული და გამოცდილი მუშაკების რაოდენობის ზრდა, რომელთაც შეუძლიათ ეფექტიანად გამოიყენონ თავიანთი ცოდნა;
- იმ კომპანიების, კვლევითი და საკონსულტაციო ცენტრების, უნივერსიტეტების და სხვა ორგანიზაციების ხელშეწყობა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ცოდნის დაგროვება და რეალიზაცია, საზოგადოებაში არსებული საჭიროებების შესაბამისად;

- თანამედროვე და ადეკვატური საინფორმაციო ინფრასტრუქტურის შემუშავება.

განათლების საერთო ხარისხის ამაღლებაზე საუბრისას აქვე ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომლის მიხედვითაც, უმაღლესი განათლების სისტემა აუცილებლად უნდა დაეფუძნოს თანამედროვე ტექნიკური უნარ-ჩვევების განვითარებასა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე აგებულ კურიკულუმს. ეს, თავის მხრივ, სტუდენტს ჩამოუყალიბებს შრომით ბაზრზე არსებული მოთხოვნების შესაბამის ცოდნას. ამ ეტაპზე საქართველოში სტუდენტებში პოპულარობით სარგებლობს ისეთი პროფესიები, როგორებიცაა იურისტი და ეკონომისტი, ხოლო ტექნიკური სპეციალობები, სამწუხაროდ, მეორე და მესამე პლანზეა გადასული. ეს, გარკვეულწილად, იმითაა განპირობებული, რომ ტექნიკური სპეციალობების კურიკულუმები არ არის მორგებული თანამედროვე შრომით ბაზარზე. აქვე არ უნდა გამოგვრჩეს ისეთი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ დამსაქმებლებთან. კერძოდ, დამსაქმებლები პოტენციურ სამუშაოს მაძიებლებში მეტწილად ეძებენ უმაღლესი განათლების მქონე კადრებს იმ დროსაც კი, როდესაც არსებული ვაკანსიის სპეციფიკა ამას არ საჭიროებს (ბენიძე, 2021, გვ. 146).

ინოვაციური ეკონომიკის შემადგენელი თითოეული ნაწილი ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება შესაბამისი მაღალტექნოლოგიური საშუალებებით. თანამედროვე ტექნოლოგიური რევოლუცია გულისხმობს ციფრული კომუნიკაციის მნიშვნელობის გაფართოებას, რაც სხვა არაფერია, თუ არა სრულიად ახალი ტიპის (ანუ, იგივე ინოვაციური) ეკონომიკა, რომლის მსგავსი აქამდე არ არსებობდა (Kelly, 1998, p. 104).

ამგვარად, სწორედ ზემოთ მოცემულმა ტენდენციებმა უნდა უზრუნველყოს ინოვაციური, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის წარმატება თანამედროვე, კონკურენტუნარიან გლობალიზებულ მსოფლიო ეკონომიკაში (Kelly, 1998, p. 115).

ინოვაციური ეკონომიკა არ შეიძლება მივიჩნიოთ ლოკალურ მოვლენად, რომელიც მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყნისთვის არის დამახასიათებელი. ის

გლობალური ხასიათისაა და ხელს უწყობს ისეთი არამატერიალური ატრიბუტების განვითარებას, როგორებიცაა:

- იდეები;
- ციფრული ინფორმაცია;
- კომუნიკაცია.

ზემოთ აღნიშნული სამი ატრიბუტი უზრუნველყოფს ახალი ტიპის ბაზრისა და საზოგადოების შექმნას ელექტრონულ ქსელში. ეჭვგარეშეა, რომ ქსელები არსებობდა ყველა ტიპის ეკონომიკაში, თუმცა ინოვაციური ეკონომიკის ქსელები ძირეულად განსხვავებულია და გაჯერებულია მაღალი ტექნოლოგიით (Kelly, 1998, p. 12).

ინოვაციური ეკონომიკის ქსელები ღრმად აღწევს ჩვენს ცნობიერებაში, იპყრობს ჩვენს აზროვნებასა და ეკონომიკას. იმ შემთხვევაში, თუ ინდივიდი ვერ აუღებს ალღოს ქსელების პრინციპს, ის ვერ მიიღებს ვერანაირ დოვლათს ცოდნაზე დაფუძნებული ახალი ეკონომიკისგან. ბუნებრივია, ახალი ეკონომიკა აყალიბებს ახალ ფინანსურ წესრიგს, რომელიც მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია (Kelly, 1998, p. 13).

დღევანდელი მდგომარეობით, მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითადი ტენდენცია გლობალიზაციასთან ასოცირდება. გლობალიზაცია და ინოვაციური ეკონომიკის სრულყოფა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პროცესებია და რიგ შემთხვევაში შეიძლება სინონიმადაც იგულისხმებოდეს. ინოვაციური ეკონომიკა გავლენას ახდენს ცალკეული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაზე (Beardsley, Bonini, Sandoval, Brun, 2010, p. 61).

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე სხვადასხვა ტრანსნაციონალურმა კორპორაციამ, მსოფლიო საფინანსო ბაზარმა, ელექტრონული ქსელით ურთიერთდაკავშირებულმა ტრანსნაციონალურმა ბანკებმა, სადაზღვევო კომპანიებმა, საინვესტიციო და საპენსიო ფონდებმა ქვეყნები უფრო მჭიდროდ დაუკავშირეს ერთმანეთს. ხშირად ტრანსნაციონალური კომპანიები ახორციელებენ სხვა ქვეყანაში საწარმოო პროცესით დაკავშირებულ ადგილობრივ საწარმოებში

მოწინავე ტექნოლოგიებისა და თანამედროვე მმართველობითი უნარ-ჩვევების დანერგვას. ისინი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, იძულებულნი ხდებიან, იზრუნონ ადგილობრივი საწარმოების კონკურენტუნარიანობის გაძლიერებასა და მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, ვინაიდან ამაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მათი ფილიალების საქმიანობის ეფექტიანობა. თუმცა, ამ მიდგომას მეორე უკიდურესობაც ახასიათებს; კერძოდ, ადგილობრივი საწარმოების გამოდევნა გაცილებით კონკურენტუნარიანი უცხოური ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ (Beardsley, Bonini, Sandoval, Brun, 2010, p. 61).

თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში ეროვნული კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის მთავარ და მამოძრავებელ ძალას თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინოვაციებზე ორიენტირებული ეროვნული ბიზნესი წარმოადგენს. კონკურენტული უპირატესობის მოპოვების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია, თუ რამდენად აქვს ქვეყანას ექსპანსირებული ან ტრანსნაციონალიზებული საკუთარი ბიზნესი (Beardsley, Bonini, Sandoval, Brun, 2010, p. 61).

ამგავრად, ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებასთან დაკავშირებულ თეორიებში რამდენიმე ძირითადი მიმართულება იკვეთება. იმისთვის, რომ ეკონომიკა მივიჩნიოთ ინოვაციურად, ის უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე მნიშვნელოვან პირობას. უწინარეს ყოვლისა, ის უნდა იყოს ცოდნაზე დაფუძნებული და თავისი არსებობისთვის, უმეტესწილად, ეყრდნობოდეს საინფორმაციო და საკომუნიკაციო, მაღალი ტექნოლოგიების უკანასკნელ მიღწევებს. ინოვაციური ეკონომიკის რეალიზაციისთვის აუცილებლად საჭიროა შესაბამისი პოლიტიკური ნება, რათა განხორციელდეს ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობა, მისი თანამედროვე გლობალურ საერთაშორისო კონკურენტუნარიან ბაზარზე უკეთ წარმოჩენის მიზნით. შესაბამისად, სწორედ პოლიტიკურმა ნებამ უნდა უზრუნველყოს ინფორმაციულ ტექნოლოგიაზე, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი.

თანამედროვე პირობებში მდგრადი ეკონომიკური განვითარების მისაღწევად უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, საჭიროა შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, რათა მოხდეს ქვეყანაში სწორედ ამ ტიპის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა. სწორედ ცოდნაზე დაფუძნებულმა ეკონომიკამ უნდა უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი ინოვაციური პროდუქციისა ან/და მომსახურების შექმნა.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარება დიდად არის დამოკიდებული იმ ტექნოლოგიურ საშუალებებზე, რომლებიც გამოიყენება პროდუქციის ან მომსახურების შესაქმნელად. ამრიგად, რაც უფრო თანამედროვეა ტექნოლოგიური საშუალება, მით უფრო დადებით ეფექტს ახდენს ის ეკონომიკურ წინსვლაზე. ამასთან, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ტექნოლოგიურ განვითარებას შეუძლია გამოიწვიოს საზოგადოებაში გავრცელებული ნორმების, ღირებულებებისა და ტრადიციების ფუნდამენტური ცვლილებები. გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ საზოგადოებაში არსებული მოთხოვნები ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, განიცდიან ძირეულ სახეცვლილებას და, შესაბამისად, მათი დაკმაყოფილებისთვის საჭირო ხდება სრულიად განსხვავებული, მაღალ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული ინოვაციური საშუალებების შემუშავება.

სოციალური ქსელების შექმნამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ტექნოლოგიურ განვითარებაზე. სოციალური ქსელი არის საშუალება, რომელიც აყალიბებს ახალ, სრულიად განსხვავებულ ინდუსტრიებს. გარდა აღნიშნულისა, ბოლო პერიოდში ხშირად საუბრობენ ე.წ. „ბლოკჩეინ ტექნოლოგიასა“ და მის პერსპექტივებზე. ონლაინ ტექნოლოგიების საშუალებით ვითარდება სხვადასხვა ინდუსტრია, რაც განსაკუთრებით აქტუალური გახდა 2019 წლის ბოლოს და 2020 წლის დასაწყისში, როდესაც მსოფლიოში გავრცელდა COVID-19 ახალი კორონავირუსის პანდემია. სწორედ ამიტომ ონლაინ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინდუსტრიების განვითარება სულ უფრო აქტუალური ხდება (Bobilev, Grigoriev, 2020 pp. 4-24). ამ თვალსაზრისით, მეტად საინტერესოდ ვითარდება ე.წ. ონლაინ აპლიკაციებსა და პლატფორმებზე დაფუძნებული

საკომუნიკაციო საშუალებები (Zoom, MS. Teams, Facebook Room და ა.შ.), რომელთა გამოყენებით შესაძლებელია ლექციების, კონფერენციების, ტრენინგების, შეხვედრებისა და კომუნიკაციის სხვა ფორმების ორგანიზება და განხორციელება. ეს კი, თავის მხრივ, დროითი და მატერიალური რესურსის დაზოგვის უნიკალურ შესაძლებლობას გვთავაზობს.

1.4 ინდუსტრიალიზაციის მნიშვნელობა და პერსპექტივები გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში

ინდუსტრიალიზაცია ფუნდამენტურ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პროცესზე. ის გულისხმობს ყველა იმ ძირეულ სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესს, რომლებიც ემსახურება „სასოფლო-სამეურნეო და ხელოსნურ წარმოებაზე აგებული ეკონომიკის გარდასახვას ისეთ ეკონომიკად, სადაც მოწინავე პოზიციაზე „მრეწველობის ავტომატიზებული ფორმა“ იქნება წარმოდგენილი (Dean, 1979, p. 10). აქედან გამომდინარე, ინდუსტრიალიზაცია არის იმ პროცესების ზოგადი სახელწოდება, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია გაბატონებული მოთხოვნის შესაბამისი პროდუქციის შექმნასთან (Kitchin, Thrift, eds., 2009, p. 419).

ინდუსტრიალიზაციის ეფექტიანობაზე დაკვირვება და მისი დეტალური ანალიზი ჯერ კიდევ იმ დროს დაიწყო, როდესაც ასპარეზზე გამოვიდა პირველი ინდუსტრიული რევოლუცია. ინდუსტრიალიზაციასთან მიმართებით აუცილებლად გასათვალისწინებელია ყველა ის ფუნდამენტური ცვლილება, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკის ზრდასთან და, შესაბამისად, მის განვითარებასთან. ინდუსტრიალიზაცია ითვალისწინებს არა ცალკეული ქარხნის აშენებას, არამედ ის აგრეთვე მოიცავს წარმოების განვითარების ფართო მასშტაბებს (Kitchin, Thrift, eds., 2009, p. 419).

ამრიგად, ყველა ზემოთ წარმოდგენილი გარემოების გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ინდუსტრიალიზაციის პროცესი თავისი არსით გლობალური შინაარსისაა და სწორედ აქედან გამომდინარე, გლობალიზაციის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

გლობალიზაცია წარმოადგენს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასა თუ რეგიონში არსებული ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, კულტურული, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროცესების ერთ სისტემაში მოქცევას (ასათიანი, 2010, გვ. 8).

გლობალიზაციის წარმოშობასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი აზრი არსებობს. ყველაზე უფრო გავრცელებული შეხედულებით, გლობალიზაციის მსგავსი მახასიათებლების მქონე მოვლენები ფიქსირდება პირველი ინდუსტრიული რევოლუციის პერიოდში. ალტერნატიული ვერსიით, გლობალიზაცია თავს იჩენს მხოლოდ ბოლო რამდენიმე ათეული წლიდან მოყოლებული (Steger, 2003, p. 17). ჩემი აზრით, გლობალიზაცია ფიქსირდება უკვე ანტიკური პერიოდიდან, როდესაც მაშინდელ მსოფლიოში ვრცელდება ელინისტური კულტურა (სანაძე, 2020ბ). ამრიგად, გლობალიზაცია – ეს არის კონკრეტულ ეპოქაში წარმოქმნილი ისეთი მიმართულება, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო, მისაღები აღმოჩნდა იმავე ეპოქის საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის. ყურადსაღებია ისიც, რომ გლობალიზაცია სხვა არაფერია, თუ არა მსოფლიო პოლიტიკის მიმართულების განმსაზღვრელი უმთავრესი მოვლენა (დავითაშვილი, 2003, გვ. 189).

გლობალიზაციის ფარგლებში ინდუსტრიული პროცესების ავტომატიზაციაზე დაფუძნებამ, ენერგორესურსების სრულიად ახალი წყაროებისა და ბიოტექნოლოგიური საშუალებების გამოყენების შესაძლებლობის განვითარებამ, მიკროელექტრონიკის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიურმა მიღწევებმა თვისებრივად ახალი ეტაპი შექმნეს ეკონომიკურ განვითარებაში. აქედან გამომდინარე, ტექნოლოგიურმა პროგრესმა განაპირობა კაპიტალიზმის ტრანსფორმაცია, რაც ვლინდება კიდევ როგორც ეკონომიკური

ზრდის ტემპების ამალღების, ასევე ეკონომიკის რეალური სექტორის სწრაფი განვითარების მხრივ (ასათიანი, 2010, გვ. 16).

ინდუსტრიალიზაციის ეფექტიანობა განუზომელია იმ თვალსაზრისით, რომლის მიხედვითაც, ის განაპირობებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. მიუხედავად ამისა, მეოცე საუკუნის შუა წლებიდან, მსოფლიოს ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მრეწველობის სექტორში დასაქმებულ პირთა წილი საგრძნობლად შემცირდა. ეს ფენომენი საზოგადოების დიდი ნაწილითვის ცნობილია **დეინდუსტრიალიზაციის** სახელით. აღნიშნულ პროცესს, როგორც წესი, ადგილი აქვს მოწინავე ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნებში. ეს პროცესი სამრეწველო სექტორის ნაცვლად მეტწილად ორიენტირებულია მომსახურების სექტორის ხელშეწყობაზე. ზოგიერთი მეცნიერი დეინდუსტრიალიზაციას პოსტინდუსტრიულ პერიოდადაც მოიხსენებს (მაგალითად, Atolia, Loungani, Marquis, Papageorgiou, 2018, p. 26).

დეინდუსტრიალიზაციის პროცესი უმეტესად აშშ-ისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ის აგრეთვე ფიქსირდება აღმოსავლეთ აზიაში (Rowthorn, Ramaswamy, 1997, p. 21).

მაინც რა არის დეინდუსტრიალიზაციის გამომწვევი მიზეზები? აღნიშნულ კითხვაზე გაცემული პასუხები არაერთგვაროვანია. უმეტეს შემთხვევაში, დეინდუსტრიალიზაციის გამომწვევ მიზეზად სახელდება მეტი ფინანსური მოგების მიზნით ინდუსტრიული პროცესის გადატანა ისეთ გეოგრაფიულ არეალში, სადაც დანახარჯები სამუშაო ძალაზე მნიშვნელოვნად დაბალია. ეს მიდგომა, თავის მხრივ, საგრძნობლად ამცირებს წარმოებული პროდუქტის თვითღირებულებას და, შესაბამისად, განაპირობებს მაღალ დამატებულ ღირებულებას (Rowthorn, Ramaswamy, 1997, p. 21).

დეინდუსტრიალიზაციის გამომწვევი ფაქტორების სიღრმისეული შესწავლა ცალკე კვლევის საგანად შეიძლება ჩაითვალოს. საზოგადოდ აღიარებული აზრის თანახმად, დეინდუსტრიალიზაცია გამოწვეულია იმ სხვადასხვა შინაარსის პროცესებით, რომლებიც ახასიათებს კაპიტალისტურ ეკონომიკას. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს წარმოებულ პროდუქტზე ფასების ზრდა (შუალედური ხარჯის

ზრდიდან გამომდინარე). პროდუქტზე ფასის ზრდამ შეიძლება განაპირობოს მოთხოვნის შემცირება. აქედან გამომდინარე, საჭიროა ფასების რეგულირება. ამის ეფექტიანი საშუალება კი არის წარმოების ისეთ ადგილზე გადატანა გეოგრაფიული თვალსაზრისით, სადაც შუალედური ხარჯი მაღალი არ იქნება (Rowthorn, Saraswami, 1999, p. 20). ამრიგად, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ გლობალური ეკონომიკა წარმოებულ პროდუქტზე საბაზრო ფასის მნიშვნელოვანი ცვლილების გარეშე ვითარდება (Cruiz, 2015, p. 116).

ეკონომისტებში გავრცელებულია მოსაზრება, რომლის თანახმად, დეინდუსტრიალიზაცია განაპირობებს საზოგადოების წევრთა შემოსავლების არათანაბარ განაწილებას და უმუშევრობის საერთო დონის ზრდას. გარდა ამისა, ასევე მიჩნეულია, რომ დეინდუსტრიალიზაცია სხვა არაფერია, თუ არა ბაზრის გლობალიზაციის შედეგი, რომელიც კრიტიკოსთა გარკვეული ნაწილის მოსაზრებით, ამცირებს განვითარებულ ქვეყნებში დასაქმებულთა რაოდენობას და, შესაბამისად, ამღიერებს განვითარებად ქვეყნებს (Rowthorn, Ramaswamy, 1997, p. 22).

უნდა აღინიშნოს, რომ დეინდუსტრიალიზაციის ფარგლებში, სამრეწველო სექტორი კარგავს ეკონომიკის ზრდის მთავარი მამოძრავებელის სტატუსს. ეს კი, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) შემცირებასა და ხელფასების სტაგნაციაზე. გარდა ამისა, დეინდუსტრიალიზაცია განაპირობებს უმუშევრობის დონის ზრდას (Cruiz, 2015, p. 114). აქედან გამომდინარე, მოწინავე ეკონომიკის მქონე ქვეყნებში არსებულ სამრეწველო საწარმოებში დასაქმებულთა წილის რაოდენობის მკვეთრი შემცირება ფიქსირდება. მაგალითად, დენი როდრიკის მოსაზრებით, 1950-იანი წლებიდან 1970 წლამდე აშშ-ში სამრეწველო სექტორში დასაქმებულთა წილი შემცირდა 25%-ით. როდრიკის დასკვნით, დეინდუსტრიალიზაციის ეფექტი, უპირველეს ყოვლისა, დასაქმებულთა რაოდენობაზე აისახება (Rodrik, 2015, pp. 2-4). სხვადასხვა კვლევაზე დაფუძნებით, დეინდუსტრიალიზაციის გამომწვევ ფაქტორად განიხილავენ მრეწველობაში შრომის მწარმოებლურობის ზრდას, რაც განპირობებულია ჭარბი საქონლის წარმოებით. ამ თეორიის მიმდევრები ხმამაღლა

აღნიშნავენ, რომ დეინდუსტრიალიზაციის შეფასება უნდა მოხდეს წარმოების ზრდის ტემპის გათვალისწინებით (Svilokos, Vojinić, Tolić, 2019, pp. 386-387).

გლობალიზაცია, თავისი შინაარსის გათვალისწინებით, საწარმოებისთვის სრულიად ახალ დღის წესრიგს განაპირობებს, რაც გულისხმობს სრულიად ახალი მიწოდების გლობალური ჯაჭვის შექმნას. ეს, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ცენტრალური ოფისებიდან პერიფერიულ ოფისებში (ან პირიქით) ნებისმიერი საწარმო პროცესების ყოველგვარი შეფერხების გარეშე განხორციელებას (Matthews, 2006, p. 314). საწარმოო პროცესის სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ გატანა თანამედროვე გლობალურ სამყაროში გავრცელებულ მიდგომას წარმოადგენს. საწარმოო პროცესი, როგორც წესი, გააქვთ ისეთ ქვეყნებში, სადაც არის საკმარისი ადამიანისეული კაპიტალი, თუმცა დაბალია მათზე გასაცემი ანაზღაურების საშუალო ტარიფი. ამრიგად, ხსენებული მიდგომის წარმატებით განხორციელების საწინდარია ადამიანისეული კაპიტალი, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკის რეალური სექტორის საძირკველს. აქედან გამომდინარე, ადამიანისეული კაპიტალის ფლობა – ეს არის დიდი კაპიტალი ქვეყნისთვის (Gershuny, 2005, p. 5).

თუმცა დეინდუსტრიალიზაცია თანამედროვე მოვლენად ფასდება და ფეხს იკიდებს იდეა იმის შესახებ, რომ ფინანსური და ეკონომიკური კრიზისების შემდგომ პერიოდში ცხოვრების დონის ხელახალი ამაღლებისთვის აუცილებელია სულ სხვა მიდგომის განვითარება. ამ მიდგომას რეინდუსტრიალიზაციასაც უწოდებენ (Svilokos, Vojinić, Tolić, 2019, p. 384).

პოსტკრიზისულ პერიოდებში შეინიშნება პროგრესირებადი ინტერესი ინდუსტრიალიზაციისადმი. ამ პროცესს, როგორც ეს უკვე აღნიშნა, რეინდუსტრიალიზაციად მოიხსენებენ. რეინდუსტრიალიზაციის განსაკუთრებულ როლზე ამახვილებენ ყურადღებას ევროკავშირის წვერ ქვეყნებში, იქ, სადაც მიჩნეულია, რომ რეინდუსტრიალიზაცია წარმოადგენს დამატებული ღირებულების ზრდის ყველაზე ეფექტიან საშუალებას (Konstattinova, Konarev, 2015, p. 358).

ჯერ კიდევ ბარაქ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციამ საზოგადოებას გააცნო გეგმა, რომლის მიხედვითაც, სხვადასხვა

ქვეყანაში არსებული ამერიკული კაპიტალით შექმნილი წარმოებები კვლავ უკან, ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა დაბრუნებულიყო. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ნაწილი არ იზიარებდა ამ მიდგომას, რადგან მიიჩნევდა, რომ მაგალითად, ჩინეთიდან ინდუსტრიის უკან დაბრუნება არანაირად არ იქნებოდა ეკონომიკურად მოგებიანი ამერიკისთვის. ამის ნაცვლად ისინი მხარს უჭერდნენ აშშ-ის ტერიტორიაზე ინოვაციური წარმოების განვითარების იდეას (Бузмакова, 2017, с. 8).

როგორც ფინანსური, ისე ეკონომიკური კრიზისების გავლის შემდგომ პერიოდში საჭიროა ისეთი დამხმარე ძალა, რომელიც ხელახლა უზრუნველყოფს ეკონომიკის წინსვლას და, შესაბამისად, მრეწველობის წილის ზრდას ქვეყნის მთლიან დამატებულ ღირებულებაში (მაგალითად, Svilokos, Vojinić, Tolić, 2019, p. 384).

სანამ უშუალოდ რეინდუსტრიალიზაციის საკითხებზე ვისაუბრებთ, ვფიქრობთ, ნიშანდობლივი იქნება ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის ზოგადი მიმოხილვა და მისი თავისებურებების მოკლე შეფასება.

ჩემი აზრით, კრიზისი, აღნიშნული ცნების ზოგადი ახსნის თვალსაზრისით, წარმოადგენს გარკვეული სოციალური შინაარსის მოვლენას და, შესაბამისად, საჭიროებს განსაკუთრებული ყურადღების მიპყრობას. 2008 წელს განვითარებულმა ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა სწრაფად და მნიშვნელოვნად დააზარალა ბევრი ქვეყნის ეკონომიკა. მსგავსი კრიზისი მუდამ განიხილება, როგორც დიდი გამოწვევა ეკონომიკური თეორიისა და პოლიტიკისთვის. 2008 წლის კრიზისმა დაგვანახა კაპიტალისტურ ეკონომიკაში ის ღრმა კოლაფსი, რომელიც გამოიწვეული იყო არარეგულირებული ბაზრის მიერ (Hadziahmetovic, Halebic, Colakovic-Prguda, 2018, p. 48).

ეკონომიკურ და ფინანსურ კრიზისზე საუბრისას აუცილებლად უნდა გავეცნოთ ისეთი ცნობილი ეკონომისტის თვალთახედვას, როგორც არის ნობელის პრემიის ლაურეატი ჯოზეფ სტიგლიცი. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმ შეცდომებზე თანამედროვე კაპიტალიზმში, რომლებიც

გამოწვეულ იქნა ულტრალიბერალური მოძღვრების ფარგლებში (Stiglitz, 2006, p. 74-76).

ეკონომიკური კრიზისი ყოველთვის მთავარი გამოწვევა იყო ეკონომიკური თეორიისა და პოლიტიკისთვის. 2008 წლის კრიზისმა თეორიკოსებსა და პრაქტიკოსებს მიუთითა, რომ მათ უნდა შექმნან ეკონომიკური ზრდის ახალი მოდელი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება დომინანტური თეორიული პარადიგმის შეცვლა (Hadziahmetovic, Halebic, Colakovic-Prguda, 2018, p. 48).

კაცობრიობას თავისი ისტორიის განმავლობაში გაუვლია სხვადასხვა კრიზისი, მათ შორის, როგორც რელიგიური, ასევე ეთნიკური, პოლიტიკური და, რა თქმა უნდა, ეკონომიკური. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კრიზისის არსებობა ერთგვარ ნორმას წარმოადგენს საზოგადოებისთვის და ის თავს იჩენს საზოგადოებაში გაბატონებული მდგომარეობის (Mainstream) მსუბუქი ან მძიმე დარღვევის დროს. ამრიგად, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ კრიზისი ეკონომიკაში უმეტეს შემთხვევაში განპირობებულია არასაკმარისი (მწირი) ან გადაჭარბებული წარმოების (ზედმეტი პროდუქციის) დროს წარმოქმნილი მდგომარეობის გამო. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი სხვა არაფერია, თუ არა ბაზრის უუნარობის შედეგი. რეალურ სექტორში ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს შორის დისბალანსითაც შეიძლება აიხსნას (Hadziahmetovic, Halebic, Colakovic-Prguda, 2018, p. 50).

გლობალურ ეკონომიკურ და ფინანსურ კრიზისთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო მიმართულებაზე მახვილდება ყურადღება ცნობილი ეკონომისტის, ჯოზეფ სტიგლიცის მიერ. მის მიერ წარმოდგენილი მაგალითის მიხედვით, საკუთარ სახლში ადამიანები, მიუხედავად იმისა, აქვთ ამის ვალდებულება თუ არა, მუდამ იღებენ პასუხისმგებლობას ყველა იმ ქმედებაზე, რომლებსაც ისინი ახორციელებენ, მაგრამ როდესაც სიტუაცია ვითარდება საკუთარი სახლის გარეთ, იგივე ადამიანები საერთოდ ვერ გრძნობენ პასუხისმგებლობას თავიანთი ქმედებისა და ჩადენილი საქციელის გამო. ეს გამოწვეულია იმით, რომ მსგავს სიტუაციაში მორალური პასუხისმგებლობის ხარისხი მათში შესუსტებულია.

შესაბამისად, ნამდვილად აღარ არის გასაკვირი, რომ საწარმოს მმართველი, რომელსაც აქვს მაღალი ანაზღაურება, არ დარდობს, თუ რა ვითარებასა და გარემოებაშია დასაქმებული ის ადამიანი, ვინც მინიმალური სახელფასო განაკვეთის საფასურად ახორციელებს ტიტანური მოცულობის სამუშაოს. ეს განპირობებულია იმით, რომ მმართველის ოფისი გაცილებით შორსაა ამ მუშის სამუშაო ადგილიდან. მსგავსი ტიპის მმართველების აზრით, ასეთ ადამიანებს გაუმართლათ, რომ იპოვეს შესაბამისი სამუშაო ადგილი. ამ ტიპის მმართველებს ნამდვილად არ ანაღვლებთ ის პირობები, რომლებშიც ხსენებული დასაქმებულები შრომობენ (Stiglitz, 2006, p. 196).

ევროკავშირთან ახლოს მდებარე პოსტკომუნისტური წარსულის მქონე ქვეყნებისთვის მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულში ძალზე მნიშვნელოვანი იყო იმ ინვესტიციების მოცულობა, რომლებიც განხორციელდა სხვადასხვა მსხვილი საერთაშორისო კომპანიის მიერ, რომელთა შორის ბევრი ევროპული იყო. ამ კომპანიებისთვის ფინანსურად მომგებიანი აღმოჩნდა ადგილობრივი მაღალი კვალიფიკაციის მქონე მეცნიერებისა და ინჟინრების შრომითი ანაზღაურების შედარებით დაბალი ტარიფი, განსხვავებით მათი დასავლეთევროპელი კოლეგებისგან. ამ გარემოებებმა შესაძლებელი გახადა, ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევა და საექსპორტო პოტენციალის განვითარება. მაინც რით არის ეს განპირობებული? დიდი ალბათობით ამის მიზეზია ის, რომ მბრძანებლური ეკონომიკიდან შემორჩენილი ინოვაციური პოტენციალი ზემოთ უკვე ხსენებულმა ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა მხოლოდ საკუთარი მოგებისა და ინტერესის მიზნით გამოიყენეს (პაპავა, 2018ა, გვ. 16-17).

ევროკავშირის პოსტკომუნისტური წარსულის მქონე ქვეყნებში განსაკუთრებული ინტენსივობით იჩინა თავი ე.წ. კომბინატორული წანამატის პროცესმა (პაპავა, 2018ა, გვ. 17), რომელიც გულისხმობს ისეთი ახალი კომბინაციის შექმნას, რომელიც არანაირად არ არის დამოკიდებული ძველი კომბინაციის რესურსებზე, რადგან ის თვისებრივად ახალ რესურსებს ეფუძნება (Сухарев, 2014, сс. 38-43). კომბინატორული წანამატის პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინო

გახდა მაშინ, როდესაც ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნები ხშირ შემთხვევაში შედარებით უფრო ძველი ტექნოლოგიური საშუალებებით იქნა უზრუნველყოფილი. რაც შეეხება ახალ ტექნოლოგიურ საშუალებებს, მათი კონცენტრირება, პირიქით, ძირითადად დასავლეთის ქვეყნებში განხორციელდა. ამ მიდგომამ მნიშვნელოვნად გაზარდა პოსტკომუნისტური ქვეყნების დამოკიდებულება დასავლეთევროპული ქვეყნებიდან მანქანა-დანადგარების იმპორტზე. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკა ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის საკმაოდ კარგ და მიმზიდველ პოლიგონს წარმოადგენს როგორც რეტროეკონომიკის შესანარჩუნებლად, აგრეთვე კომბინატორული წანამატის პროცესის განსახორციელებლად (პაპავა, 2018ა, გვ. 17).

უმუშევრობა წარმოადგენს ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებელს. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, როგორ უზრუნველყოფს ტრანსნაციონალური კომპანია განვითარებად ქვეყანაში ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას, თუ ის ორიენტირებულია მაქსიმალურად ნაკლები ხარჯის გაწევაზე სამუშაო ძალასთან მიმართებით? ამ შემთხვევაში, სტიგლიცის აზრით, გამოსავალია კორპორაციულობაზე დაფუძნებული სოციალური დანახარჯები და სხვა სარგებელი (Stiglitz, 2006, p. 196).

2008 წელს განვითარებულმა ფინანსურმა კრიზისმა გვაჩვენა იმ მოსაზრების სიმცდარე, რომლის თანახმად, ფინანსურ ბაზარს დამოუკიდებლად, თვითონ შეუძლია კრიზისული გარემოებების დარეგულირება. ხაზგასასმელია, რომ რთულმა ფინანსურმა რეგულაციებმა გზა გაუკაფა სხვადასხვა სპეკულაციას, რომელთა მკაფიო მაგალითად გამოდგენა სავალუტო ბირჟები და ვალუტის გაცვლითი კურსი. უნდა აღინიშნოს, რომ სავალუტო ბირჟებზე ნაკლებად აღელვებთ პრობლემების შეფასება მაკროეკონომიკურ გარემოში და, აგრეთვე, ამ პრობლემების ეკონომიკური შეფასება. სავალუტო ბირჟაზე მოღვაწე პირების მთავარ ამოსავალ წერტილს მაქსიმალური ფინანსური მოგების მიღება წარმოადგენს. სწორედ აქედან გამომდინარე, წარმოიქმნება კრიზისის ის ფონი,

რაც, საბოლოოდ, ეკონომიკურ და ფინანსურ კრიზისამდე მიგვიყვანს (Dullien, Kotte, Marquez, Priewe, eds. 2010, p. 308).

ეკონომიკური და ფინანსური შინაარსის კრიზისზე საუბრისას აქვე აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზოგიერთი მეცნიერი „ზომბი-ეკონომიკის“ სახელით ცნობილ მოვლენაზე ამახვილებს ყურადღებას (Caballero, Hoshi and Kashyap, 2008; Smith, 2003). ტერმინი „ზომბი-ეკონომიკა“ არის ნაზავი სიტყვებისა „ზომბი“ და „ეკონომიკა“. ზომბი – ეს არის კარიბის ზღვის კუნძულების ქვეყნების მითოლოგიის პერსონაჟი, რომელიც პრაქტიკულად სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის გვამი, გადაადგილებისა და ინსტინქტის დონეზე პრიმიტიული მანიპულაციების განხორციელების უნარით. აქედან გამომდინარე, „ზომბი-ეკონომიკა“ თავისი შინაარსით არის ეკონომიკა სიცოცხლის ფუნქციის გარეშე. „ზომბი-ეკონომიკის“ შიგნით შექმნილი ეკონომიკური სუბიექტები საზრდოობენ იმ ხელისუფლების მხარდაჭერით, რომლის მმართველობის საზღვრებშიც არსებობენ. მსგავსი ეკონომიკური სუბიექტების მიერ წარმოებულ პროდუქტზე კი საზოგადოებაში მოთხოვნა ძალზე მცირეა, ზოგ შემთხვევაში, საერთოდ არ არის. „ზომბი-ეკონომიკა“ ფინანსურად საზრდოობს „ზომბი-ბანკების“ მეშვეობით. ეს ბანკები სხვადასხვა შეღავათიანი სესხის საშუალებით (სესხები დაბალი საპროცენტო განაკვეთით) ინარჩუნებენ და აძლიერებენ აღნიშნულ ეკონომიკურ სისტემას. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მსგავსი მიდგომით ხელისუფალნი ხელოვნურად ცდილობენ, შეინარჩუნონ არსებული მდგომარეობა, რათა არ მოხდეს უმუშევრობის რიცხოვნობის გაზრდა, რამაც, საბოლოოდ, გავლენა არ იქონიოს არჩევნების შედეგებზე (Caballero, Hoshi and Kashyap, 2008; Smith, 2003).

გარკვეულ პირობებში (მაგალითად, სტაგნაციის) მრეწველობისა და ვაჭრობის დარგებს შესაძლოა ახასიათებდეთ უმუშევრობის საერთო დონის ზრდა, აგრეთვე ცხოვრების დონის, ხელფასების მოცულობის შემცირება. ასეთი მდგომარეობისგან თავის არიდებას ქვეყნის ხელისუფლება საბიუჯეტო სახსრებით ცდილობს. ფინანსური კრიზისის დასრულების შემდეგ ეკონომიკას მემკვიდრეობით წილად ხვდება ფუნქციის გარეშე დარჩენილი ელემენტები,

რომლებიც განაპირობებენ კიდევ „ზომბი-ეკონომიკის“ დაბადებას და მისი განვითარების ხელშეწყობას (პაპავა, 2010, გვ. 21-22).

„ზომბი-ეკონომიკა“ მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველია პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის, რადგან მათთვის დამახასიათებელი ეკონომიკური მოდელი ფუნდამენტურად განსხვავდება დასავლეთის ქვეყნებში გავრცელებული მოდელისგან (Papava, 2010a, p. 35).

პოსტკომუნისტური წარსულის მქონე ქვეყნებმა საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა მიიღეს მბრძანებლური ტიპის ეკონომიკისგან „მკვდარი“ საწარმოების სახით. ეს უკანასკნელი იმაზე მეტად სიცოცხლისუნარიანები აღმოჩნდნენ, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ფინანსური და ეკონომიკური კრიზისების გამწვავებამ პოსტკომუნისტური ქვეყნების მთავრობები იძულებული გახადა, შეემუშავებინათ გაკოტრებულ საწარმოთა დაფინანსების პროგრამა, რამაც ხელი შეუწყო „ზომბი-ბანკების“ და „ზომბი-ფირმების“ ქსელის გაძლიერებას (Papava, 2010b, p. 67).

მბრძანებლური ეკონომიკისთვის დამახასიათებელი პრინციპების შესაბამისად, საბჭოთა კავშირში არ არსებობდა კონკურენცია, როგორც მოვლენა. ამან ცხადია, ნეგატიური გავლენა იქონია ამ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. საბჭოთა კავშირში შექმნილი პროდუქცია ხასიათდებოდა დაბალი ხარისხით, ხოლო რაც შეეხება ფასს, მისი შენარჩუნება ხორციელდებოდა ხელოვნურად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდიების მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის ბიუჯეტის უმთავრეს წყაროს შეადგენდა ალკოჰოლური სასმელების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები. რაც შეეხება ნავთობს, მის ექსპორტს მიიჩნევდნენ უცხოური ვალუტის შემოდინების ძირითად და, იმავდროულად, საიმედო საშუალებად (Papava, 2010a, p. 37).

ფინანსურ და ეკონომიკურ კრიზისთან ერთად, ძალიან დიდ ყურადღებას ითხოვს კრიზისის ისეთი სახეობა, რომლის გამომწვევი ფაქტორი შეიძლება გახდეს პანდემიური დაავადებები. ტერმინ პანდემიაში გაერთიანებულია ყველა ის ვირუსული დაავადება, რომელთა გავრცელების არეალი გაცდება სულ მცირე ერთ კონტინენტს (Auzan, 2020, p. 4).

სხვადასხვა სახელმწიფოსა და იმპერიის ფორმირებას ყოველთვის თან ახლდა პანდემიური ხასიათის დაავადებები. მაგალითად, რომის იმპერიაში, რომელიც, პრაქტიკულად, მოიცავდა იმ პერიოდის მთელ მსოფლიოს, გავრცელდა „ანტონინის ჭირით“ ცნობილი დაავადება. დიდი ალბათობით, ის რომში შემოიტანეს ახლო აღმოსავლეთიდან დაბრუნებულმა ლეგიონერებმა. არის მოსაზრება, რომ ეს დაავადება შესაძლოა ყოფილიყო ან წითურა, ან ჩუტყვავილა, მაგრამ დღეს ამის დადასტურება შეუძლებელია. მეორე მაგალითად გამოდგება შავი ჭირი, რომელიც მონღოლთა ურდოებმა შემოიტანეს ევროპაში.

COVID-19 ახალმა კორონავირუსმა მყარად დაიკავა მსოფლიო ისტორიაში თავისი „საპატიო“ ადგილი, ისევე როგორც ეს მოხდა მეოცე საუკუნის დასაწყისში გავრცელებული „ისპანკის“ („ესპანური გრიპი“) შემთხვევაში. ყოველი მსგავსი მასშტაბის დაავადება ძირეულ გავლენას ახდენს ქვეყნების ეკონომიკაზე, რადგან მათთან ბრძოლის ერთ-ერთ ეფექტიან საშუალებას იზოლაცია წარმოადგენს (Auzan, 2020, pp. 6-13).

კორონავირუსის მასშტაბურმა გავრცელებამ განაპირობა თვისებრივად ახალი თეორიული მოდელების შემუშავების აუცილებლობა და აქტუალური გახდა სრულიად ახალი პრობლემა. კერძოდ, რომელი კონკრეტული ღონისძიებების გატარება იქნებოდა ეფექტიანი კრიზისულ პერიოდში ეკონომიკის არსებობისათვის. COVID-19 ახალი კორონავირუსის ეკონომიკური ეფექტის ძირეული შესწავლის საშუალებას იძლევა პროფესორ აჯით დე ალვისის (Ajith De Alwis) მიერ წარმოდგენილი აწ უკვე კორონომიკის სახელით ცნობილი ტერმინი (პაპავა, 2020გ; Papava, 2020).

პროფესორ დე ალვისის მიგნებით, კორონავირუსმა მსოფლიოში გავრცელებული პანდემიის გამო, მსოფლიო ეკონომიკა მნიშვნელოვნად დააზარალა. აქედან გამომდინარე, ხელი შეუწყო ახალი ეკონომიკური მოდელების განვითარებას (Alwis, 2020).

კორონავირუსთან დაკავშირებული პანდემიური მოვლენების ფართოდ გავრცელების გამო, თანდათანობით იზრდება კორონომიკის, როგორც თეორიული მიდგომის აქტუალურობაც. უნდა აღნიშნოს, რომ ასეთი მასშტაბის რისკები

მუდმივად იქნება დღის წესრიგში (პაპავა, 2020გ; პაპავა, ჭარაია, 2020, გვ. 4-5; Papava, 2020). დაავადების გავრცელების შიშით მნიშვნელოვნად შემცირდა საგარეო ვაჭრობა, შემცირებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიც (Grigoryev, 2020, pp. 18-25).

პანდემიასთან დაკავშირებული კრიზისები, საბოლოო ჯამში, განაპირობებენ ახალი და განსხვავებული ტექნოლოგიებისა და ბიზნესმოდელების შექმნას. ჩინეთში COVID-19 ახალი კორონავირუსის გავრცელების შემდეგ საგრძნობლად განვითარდა მიწოდების სერვისი, გაიზარდა და უფრო მრავალფეროვანი გახდა ონლაინ მაღაზიების დატვირთვის მაჩვენებელი, ფიზიკურმა ფულმა ადგილი დაუთმო უკონტაქტო გადახდებს (Buklemishev, 2020, p. 13).

კორონომიკაში წარმოიშვა საკმაოდ საინტერესო აზრი იმის თაობაზე, რომ მსხვილმა საწარმოებმა შესაძლოა საკუთარი ქარხნები ჩინეთიდან გადაიტანონ ისეთ ქვეყნებში, სადაც არსებობს თავისუფალ ვაჭრობასთან დაკავშირებული შეთანხმება როგორც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, აგრეთვე ევროკავშირის ქვეყნებთან. ასეთი ქვეყნების კატეგორიას განეკუთვნება საქართველოც. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მართებული ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, შესაძლოა ძალიან მომგებიან მდგომარეობაში აღოჩნდეს (პაპავა, 2020გ).


გამომდინარე იქიდან, რომ პანდემია გლობალური მოვლენაა, კორონომიკასთან დაკავშირებული კრიზისი მსოფლიოს საფრთხეს წარმოადგენს. იზოლაციონიზმი და დეგლობალიზაცია მსოფლიო ეკონომიკისთვის აშკარად არ არის გადარჩენის გზა. კორონომიკული კრიზისის შემდგომ პერიოდში აუცილებელი გახდება ღირებულებათა ჯაჭვების დივერსიფიკაცია, რამაც, თავის მხრივ, უნდა განაპირობოს შესაძლო რისკების შემცირება (Derviş, Strauss, 2020).

COVID-19 ახალი კორონავირუსის გავრცელებამ გარკვეული გავლენა მოახდინა იმ თეორიულ მიდგომებზე, რომლებიც ცალსახად ეწინააღმდეგება თავისუფალი ვაჭრობის ცნებას. უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი ქვეყნები, რომლებიც არ იზიარებენ გლობალიზაციას, უფრო დიდი მოცულობის ეკონომიკურ ზარალს ნახულობენ პანდემიის პირობებში (Frankel, 2020b).

COVID-19 ახალი კორონავირუსის გავრცელების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიკური სტაგნაცია, ან სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, კორონომიკა, უარყოფითად აისახა საქართველოს ეკონომიკაზეც. აღნიშნული შემთხვევის უკეთ დასახასიათებლად ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს საქართველოში დამატებული ღირებულების გადამხდელ (VAT) საწარმოთა მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ – შემოსავლების სამსახურში წარმოდგენილი VAT დეკლარაციების მონაცემთა ბაზის ანალიზი 2019-2020 წლების თვეების მიხედვით (სფს, 2019; სფს, 2020), რომელიც უშუალოდ ჩვენ მიერაა ჩატარებული.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკში (იხ. გრაფიკი 1) წარმოდგენილია ყველა იმ საწარმოს ბრუნვის მაჩვენებლის დინამიკა, რომელთაც 2019 წლის იანვრიდან იმავე წლის დეკემბრის ჩათვლით და 2020 წლის იანვრიდან მაისის⁶ ჩათვლით პერიოდში ჩააბარეს თვიური დეკლარაცია.

⁶ COVID-19 ახალ კორონავირუსთან დაკავშირებული საკარანტინო ღონისძიებები განხორციელდა 2020 წლის მარტი-მაისის პერიოდში.



2020 წლის მაისში VAT-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვა გასული წლის ანალოგიურ თვესთან შედარებით მნიშვნელოვნად, კერძოდ, 51,6%-ით არის შემცირებული. კლების დონე კიდევ უფრო თვალშისაცემია 2020 წლის აპრილის ბრუნვის მოცულობის 2019 წლის იმავე თვის მაჩვენებელთან შედარებისას, რომელიც შეადგენს 55,9%-ს, რაც, ჩემი აზრით, ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს, რადგან COVID-19 ახალი კორონავირუსის გავრცელების შეზღუდვის მიზნით ჩატარებული საკარანტინო ღონისძიებების უდიდესი ნაწილი სწორედ 2020 წლის აპრილ-მაისშია განხორციელებული. აღნიშნული გარემოების უფრო თვალსაჩინოდ დახასიათების საშუალებას იძლევა ქვემოთ მოცემული ცხრილი (იხ. ცხრილი 1), სადაც წარმოდგენილია 2019-2020 პირველ ხუთ თვეში VAT-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ზრდის/კლების ტემპის შედარებითი ანალიზი:

VAT-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვა 2019-2020 წლების პირველ 5 თვეში
(მლნ. ლარი) ზრდის/კლების ტემპის (%) მითითებით⁷

	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
2020	11614,3	10513,5	9770,6	6126,6	6535,3
2019	9878,1	11288,8	13210,1	13882,6	13509,9
ზრდის ტემპი					
2020/2019 (%)	17,6	-6,9	-26,0	-55,9	-51,6

და მაინც, რომელ ეკონომიკურ სექტორში ფიქსირდება საქართველოში VAT-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ყველაზე საგრძნობი კლება COVID-19 ახალი კორონავირუსის გავრცელების პერიოდში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია ქვემოთ მოცემული ცხრილის (იხ. ცხრილი 2) მეშვეობით, სადაც წარმოდგენილია VAT-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის ზრდის/კლების ტემპი პროცენტული გამოსახულებით, 2020 წლის პირველ 5 თვეში, 2019 წლის პირველ 5 თვესთან შედარებით, ზოგიერთი (შერჩეული) ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით. ეკონომიკურ საქმიანობათა სახეობების დასაზუსტებლად გამოყენებულია საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის სექციის დონე (საქსტატი, 2016). რაც შეეხება უშუალოდ ეკონომიკური საქმიანობის სახეობებს, მათი შერჩევასა გათვალისწინებულ იქნა ერთი უმთავრესი კრიტერიუმი – შერჩეული საქმიანობები უნდა ყოფილიყო ბიზნესსექტორის ნაწილი. ამ მიდგომის საშუალებით სულ შეირჩა 8 ეკონომიკური საქმიანობის სახეობა, ეკონომიკურ საქმიანობათა კლასიფიკატორის შესაბამისად.

⁷ დამუშავებულია ავტორის მიერ, სსიპ – შემოსავლების სამსახურის დამატებული ღირებულების გადამხდელთა დეკლარაციების მონაცემთა ბაზის ანალიზის საფუძველზე.

VAT-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვა ზრდის/კლების ტემპი 2020 წლის პირველ 5 თვეს, 2019 წელთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეობის მიხედვით (%)⁸

ეკონომიკური საქმიანობა (სეკ 006-2016)	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
განთავსების საშუალებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობები	-1.7	-4.9	-52.1	-75.5	-78.1
დამამუშავებელი მრეწველობა	0.4	-22.0	-16.7	-6.6	-37.0
ინფორმაცია და კომუნიკაცია	-1.9	-24.3	-20.5	-41.0	-40.6
მშენებლობა	-57.5	-52.3	-24.1	-73.1	-75.9
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილებისა და მოტოციკლეტების რემონტი	16.0	15.3	-11.9	-40.7	-34.1
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	59.6	-7.1	79.8	3.1	9.7
ტრანსპორტი და დასაწყობება	-11.0	-45.1	-53.8	-64.8	-63.7
წყალმომარაგება და კანალიზაცია, ნარჩენების	-33.6	-43.6	-45.4	-30.1	-64.3

⁸ დამუშავებულია ავტორის მიერ, სსიპ – შემოსავლების სამსახურის დამატებული ღირებულების გადამხდელთა დეკლარაციების მონაცემთა ბაზის ანალიზის საფუძველზე.

ეკონომიკური საქმიანობა (სეკ 006-2016)	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
მართვა, დაბინძურებისგან გასუფთავება					

როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, 2020 წლის მაისში, 2019 წლის ანალოგიურ თვესთან შედარებით, ბრუნვის მაჩვენებელი ყველაზე მეტად (78,1%) შემცირებულია VAT-ის გადამხდელ იმ საწარმოებში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობასთან (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქ იგულისხმება სასტუმროები და რესტორნები). უნდა აღინიშნოს, რომ იმავე საქმიანობის საწარმოთა ბრუნვის კლების ტემპი აპრილში, 2019 წლის აპრილთან შედარებით, შეადგენდა 75,5%-ს, ხოლო მარტში – 52,1%-ს. რაც შეეხება სხვა ეკონომიკურ სექტორებს, აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი კლება ფიქსირდება მშენებლობის, ტრანსპორტისა და დასაწყობების სექტორშიც. რაც შეეხება დამამუშავებელ მრეწველობას, აღნიშნულ სექტორში კლების ტემპი შედარებით დაბალია და 2020 წლის მაისში შეადგენდა 37,0%-ს, აპრილში – 6,6%-ს, მარტში – 16,7%-ს, თებერვალში – 22,0%-ს. ვაჭრობის სექტორში (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილებისა და მოტოციკლეტების რემონტი) კარანტინის პერიოდში მიტანის სერვისის განვითარების ხარჯზე ბრუნვის კლება ასევე შედარებით ნაკლებია და 2020 წლის მაისში, 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შეადგინა 34,1%-ს, აპრილში – 40,7%-ს, მარტში – 11,9%-ს, ხოლო თებერვალსა და იანვარში ვაჭრობის დარგში ბრუნვის ტემპი 2020 წელს, 2019 წლის შესაბამის თვეებთან შედარებით, მატებით ხასიათდებოდა. ამრიგად, ზემოთ მოცემული ცხრილის ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ტურიზმდამოკიდებულმა მომსახურების დარგებმა (განთავსების საშუალებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობები, ნაწილობრივ – ტრანსპორტი) კოლოსალური ზარალი განიცადეს კორონომიკის პერიოდში, ხოლო რეალური სექტორის დარგებმა (დამამუშავებელი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა) „შედარებით

იოლად“ გაუძლეს კრიზისულ პერიოდს. რაც შეეხება ვაჭრობას, ამ დარგს, ჯერ ერთი, ნაკლებად შეეხო კარანტინის პერიოდში დადგენილი აკრძალვები, ამასთან, ძალიან განვითარდა მიტანის სერვისი. აქედან გამომდინარე კი, ზარალის დონე შედარებით მცირე მოცულობით დაფიქსირდა. ამრიგად, VAT-ის დეკლარაციების მონაცემთა ბაზის ანალიზმა თვეების მიხედვით ნაწილობრივ დაასაბუთა ამ ნაშრომის წინა პარაგრაფებში წარმოდგენილი მოსაზრებები, რომელთა მიხედვით, კრიზისის (ამ შემთხვევაში კორონომიკული კრიზისის) დაძლევის საუკეთესო და ეფექტიანი საშუალება სწორედ ინდუსტრიალიზაციის განვითარებაა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ინდუსტრიალიზაციის პროცესები დაეფუძნება ინოვაციურ მიდგომებს, ეს თამამად შეიძლება შეფასდეს, როგორც ქვეყნის ეკონომიკის კრიზისის შემდგომი განვითარების საუკეთესო ალტერნატივა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ეკონომიკურ ზრდას, არამედ უმუშევრობის დონის შემცირებასაც.

თავი 2. საქართველოს მრეწველობა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებში

2.1 საბჭოთა საქართველოში მრეწველობის განვითარების ძირითადი ტენდენციები მეორე მსოფლიო ომამდელ და ომის შემდგომ პერიოდებში

ხარისხიანი და, ამავედროულად, კონკურენტუნარიანი სამრეწველო პროდუქციის შესაქმნელად აუცილებელია როგორც შუალედური მასალა (პროდუქციის შექმნისთვის საჭირო ნედლეული), ასევე შესაბამისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები. მეცნიერთა ნაწილი (მაგალითად, გარუჩავა, სოსელია, 1998, გვ. 5) მიიჩნევს, რომ მრეწველობა ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკის გაძლიერებისთვის და, აქედან გამომდინარე, „ყველა ქვეყანა უნდა ცდილობდეს მის განვითარებას და ხელშეწყობას“. გარდა ამისა, არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვით, მრეწველობის განვითარება ხელს უწყობს შრომის მწარმოებლურობის საერთო დონის ამაღლებასაც (მაგალითად, გუნია, 1972, გვ. 6-7; ბაქრაძე, 2000, გვ. 15).

იმისათვის, რომ გაიზარდოს მრეწველობის სექტორში შრომის მწარმოებლურობა, ზოგიერთი მეცნიერი (მაგალითად, ბაქრაძე, 2000, გვ. 15) ამის აუცილებელ პირობად და საშუალებად დასაქმებულთა მატერიალური წახალისებისათვის ზრუნვას მიიჩნევს.

ჩემი აზრით, საბჭოთა საქართველოში მრეწველობის განვითარების ძირითადი ტენდენციები შესაძლებელია ორ ეტაპად განვიხილოთ:

- პირველი ეტაპი დაკავშირებულია მეორე მსოფლიო ომამდელ პერიოდთან (1921-1941⁹);

⁹ მეორე მსოფლიო ომის დაწყების თარიღად მიჩნეულია 1939 წლის 1 სექტემბერი, როდესაც ნაცისტური გერმანია თავს დაესხა პოლონეთს. საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომში ოფიციალურად ჩაერთო 1941 წლის 22 ივნისს, როდესაც ნაცისტური გერმანიის არმიამ გადმოკვეთა

- მეორე ეტაპი კი – ომის შემდგომ წლებთან (1945 წლიდან საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, 1991 წლამდე).

შესაბამისად, წინამდებარე პარაგრაფში ჩვენ შევეცდებით საქართველოში მრეწველობის განვითარების ზემოთ აღნიშნული ეტაპების დეტალურად განხილვას.

ამრიგად, მას შემდეგ, რაც 1921 წლის თებერვალს ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოს ანექსია მოახდინა, ქვეყნის ეკონომიკა დიდი საბჭოთა იმპერიის ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი გახდა. ჯერ კიდევ საბჭოთა მმართველობის დასაწყისში, XX საუკუნის 20-იან წლებში, საქართველოს ეკონომიკა ძირითადად ორიენტირებული იყო აგრარულ სექტორზე, ხოლო რაც შეეხება უშუალოდ მრეწველობას, ის მეტწილად ეფუძნებოდა შედარებით მოძველებულ ტექნიკურ საშუალებებს. ცხადია, ეს, თავის მხრივ, ნამდვილად ვერ უზრუნველყოფდა აღნიშნული დარგის განვითარებას. შეიძლება ითქვას, მოძველებულ საწარმო-ტექნიკურ საშუალებაზე დაფუძნებული მრეწველობა წარმოადგენდა წარმოების განვითარების შეფერხების ერთ-ერთ ძირითად წინაპირობას (კაჭარავა, რედ., 1976, გვ. 207-208). აქედან გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ სამრეწველო პროდუქცია ომამდელ და ომის შემდგომ პერიოდშიც, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ, არ გამოირჩეოდა დიდი კონკურენტუნარიანობით (Papava, Beridze, 1996/1997, pp. 67-68).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მეორე მსოფლიო ომამდელ საბჭოთა საქართველოში, მსგავსად საბჭოთა კავშირში შემავალი სხვა სოციალისტური რესპუბლიკებისა¹⁰, მიზნად დაისახა ამოცანა, რომელიც ითვალისწინებდა მრეწველობის სწრაფ ხელშეწყობას და განვითარებას, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მესვეურთა შეხედულებით,

მისი საზღვრები. აქედან გამომდინარე, ნაშრომში მეორე მსოფლიო ომამდელ პერიოდად მითითებულია 1921-1941 წლები და არა 1921-1939.

¹⁰ საბჭოთა კავშირი აერთიანებდა 15 რესპუბლიკას, მათ შორის, რუსეთის ფედერაციას, უკრაინას, ბელორუსს, მოლდოვას, ლიეტუვას, ლატვიას, ესტონეთს, საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანს, ყაზახეთს, ყირგიზეთს, თურქმენეთს, უზბეკეთსა და ტაჯიკეთს.

გამოიწვევდა საბჭოთა კავშირში ინდუსტრიალიზაციის გაძლიერებას (Поспелов, 1969, c. 81).

საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია გარკვეულ ცენტრალიზებულ გეგმურ საწყისებს ეფუძნებოდა (Поспелов, ред., 1970, c. 445), რაც, შესაბამისად, ინდუსტრიულ პროცესებში სახელმწიფოს მხრიდან აქტიურ ჩარევას გულისხმობდა. ანალოგიური მიდგომა იყო საბჭოთა საქართველოშიც. ეს კი, სხვა არაფერია, თუ არა მბრძანებლური ეკონომიკის¹¹ ერთ-ერთი ძირითადი ნიშან-თვისება.

საქართველოში სამრეწველო პროდუქციის წარმოების ტემპის ზრდამ განაპირობა მოთხოვნა კვალიფიციურ პროფესიულ კადრებზე. თუმცა, აქვე უნდა აღნიშნოს, რომ განვითარებადი მრეწველობა პოტენციურ მუშახელს ისეთ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უყენებდა, რომელთა დაკმაყოფილება ომამდელ პერიოდში ხშირ შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ყოველივე აღნიშნული კი განაპირობებდა ქვეყანაში შრომის საერთო დონის დაქვეითებას (ცესს, 1934, გვ. XXVI).

საბჭოთა საქართველოში ომამდელ წლებში მრეწველობის პოტენციალის გასაძლიერებლად ერთ-ერთ უმთავრეს აუცილებლობად მიიჩნიეს მძიმე ინდუსტრიის, კერძოდ, სამთო-მომპოვებელი და მეტალურგიული მრეწველობის განვითარება. ამ მიზნის მისაღწევ გზად მაშინდელი ხელისუფლება განიხილავდა როგორც მოქმედ საწარმოთა ტექნიკური აღჭურვილობის განახლებას, აგრეთვე ახალი ფაბრიკების, ქარხნების, ელექტროსადგურების მშენებლობას. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო უხვია ბუნებრივი რესურსით (სხვადასხვა წიაღისეული მადანი, ქვანახშირის ჩათვლით, ჰიდროენერგორესურსები და ა.შ.), საბჭოთა ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ მძიმე ინდუსტრიის დანერგვა და მისი შემდგომი გაფართოება სავსებით შესაძლებელი იყო (ავაქოვი, 1927, გვ. 10-14).

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მეორე მსოფლიო ომამდელ პერიოდში საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდებოდა ისეთი საწარმოების

¹¹ დეტალურად იხ. ამ ნაშრომის 1.4 პარაგრაფი.

მშენებლობაზე, რომლებიც გამოუშვებდნენ შედარებით მარტივ პროდუქციას, როგორცაა (თევზაძე, 1968, გვ. 49):

1. აბრეშუმი;
2. ხე-ტყე;
3. ყურძენი;
4. შაქრის ჭარხალი;
5. ხილი;
6. თამბაქო;
7. მეცხოველეობისა და მემცენარეობის დანარჩენი ნაწარმი.

ინდუსტრიალიზაცია საბჭოთა კავშირში მოითხოვდა ელექტროფიკაციის პოლიტიკის გატარებას, რაც ნათლად იყო კიდევ წარმოდგენილი ვლადიმერ ლენინის მიერ შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში. იმის გათვალისწინებით, რომ საბჭოთა კავშირში ინდუსტრიალიზაციის პროცესები ითვალისწინებდა სამრეწველო სექტორის სწრაფ განვითარებას, ვლადიმერ ლენინი გარკვეულ პარალელსაც ავლებდა მანქანურ ინდუსტრიასა და მთელი ქვეყნის ელექტროფიკაციას შორის და ამბობდა, რომ მსხვილი მანქანური ინდუსტრია ნიშნავს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაციას და სხვას არაფერსო (ლენინი, 1952, გვ. 628). სწორედ ლენინის დირექტივებიდან გამომდინარე, საქართველოს კომუნისტური პარტიის მესვეურებმა თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ენერგეტიკის სექტორის განვითარებას. მიუხედავად ამისა, აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ქვეყანაში ინდუსტრიალიზაცია სწორედ ელექტროფიკაციის განვითარებით დაიწყო, როდესაც ჯერ კიდევ 1922 წელს საბოლოოდ გადაწყდა ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. მომდევნო წლებში განხორციელდა რიონის ჰიდროელექტროსადგურისა და ასევე სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის, მათ შორის, სასოფლო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაც. ამგვარად, 1926-1929 წლებში საქართველოში განხორციელდა ისეთი დიდი მასშტაბის პროექტები, როგორებიცაა, მაგალითად, ზაჰესი, რიონის ჰიდროელექტროსადგური, აწჰესი, აბჰესი ალაზანჰესი (თევზაძე, 1968, გვ. 105). უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა

კავშირის მეორე მსოფლიო ომში ჩართვის წინა, 1940 წელს, საქართველოში მთლიანად წარმოებული ელექტროენერგია შეადგენდა 741,7 მლნ. კვ.საათს (ИЦУ, 1957, с. 471), რაც 86,7%-ით ნაკლებია ომის შემდგომ – 1950 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (1384,9 მლნ. კვ.საათი) (ИЦУ, 1961, сс. 66-84).

გარდა ენერგეტიკის სექტორისა, საქართველოში ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა ჭიათურის მანგანუმის მრეწველობას. მეორე მსოფლიო ომამდელ პერიოდში მანგანუმზე მზარდმა მოთხოვნამ განაპირობა აღნიშნული მადნის მოპოვების გაფართოების აუცილებლობა. ომამდელი პერიოდის საბჭოთა საქართველოში ერთ-ერთ მთავარ სამრეწველო მიმართულებას წარმოადგენდა აგრეთვე სათბობმრეწველობა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არ არსებობდა შესაბამისი ბაზა, საბჭოთა ხელისუფლებამ გაატარა გარკვეული ღონისძიებები ქვანახშირის მოპოვების შემდგომი განვითარებისთვის. ამ მიზნის მისაღწევად დიდი ყურადღება გამახვილდა ტყიბულში არსებულ მადარობზე. აქედან გამომდინარე, ქვანახშირის მოპოვების მთლიანმა მოცულობამ საქართველოში მნიშვნელოვნად გადააჭარბა პირველ მსოფლიო ომამდელ მთლიან მოცულობას. მიუხედავად ამისა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტყიბულის მოქმედ მადარობში არსებული არასაკმარისი ტექნიკური საშუალებების გამო, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო შესაბამისი მოცულობის ქვანახშირის მოპოვება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, საჭირო გახდა გარკვეული მოცულობის კაპიტალდაბანდებების განხორციელება, რომლის ფარგლებშიც თანდათან გაიზარდა მუშათა როგორც ხელფასი, ასევე გაუმჯობესდა ტექნიკური აღჭურვილობა, შრომის ორგანიზაცია. გარდა ამისა, მომზადდა ახალი კვალიფიციური კადრები. იმ პერიოდისთვის საგულისხმო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე 1927 წელს ქვანახშირის გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობა (იწარმოებოდა ფხვიერი ქვანახშირის ბრიკეტები), რამაც განაპირობა წარმოების ელექტროფიკაცია და მექანიზაცია. აღსანიშნავია, რომ გადამამუშავებული ქვანახშირი საკავშირო მნიშვნელობისა იყო და განსაკუთრებული მოთხოვნით სარგებლობდა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში (თევზაძე, 1968, გვ. 108-110).


ომამდელი პერიოდის საქართველოში განსაკუთრებით მნიშვნელოვან მიმართულებები იყო მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების სექტორები, რომელთა შექმნა საქართველოს ინდუსტრიისთვის უდავოდ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. შეიძლება ითქვას, ზემოთ აღნიშნული სექტორების განვითარებამ განაპირობა ლითონდამუშავებელი მრეწველობის სტრუქტურის ძირეული ცვლილება, რაც განხორციელდა კიდევ ძველი ტექნიკური საშუალებების ახლით ჩანაცვლების გზით. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საგრძნობლად გაიზარდა სექტორში მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდებები. ასევე, წარმოებაში დაინერგა იმ პერიოდისთვის უახლესი ოპერაციები, „ისეთები, როგორებიცაა: შედუღება ავტოგენის საშუალებით, ტვიფრვის პროცესი და მექანიზაცია“ (თევზაძე, 1968, გვ. 111). აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის მეორე მსოფლიო ომში ჩართვის წინა, 1940 წელს, საქართველოში მთლიანად წარმოებული ლითონსაჭრელი ჩარხების წარმოების მოცულობამ შეადგინა 41 ათასი ტონა (ИЦУ, 1957, с. 471), რაც, სხვათა შორის, დაახლოებით 4,8%-ით ჩამოუვარდება 1950 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (43 ათასი ტონა).

ყოველივე ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით, საქართველოში ძალიან სტრაფი ტემპით იწყო განვითარება მანქანათმშენებლობის დარგმა, რაც აისახა კიდევ ლითონის მთლიან წარმოებაში თავისი მსხვილი ხვედრითი წონით. ამრიგად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მანქანათმშენებლობის განვითარებამ საქართველოში განაპირობა სრულიად ახალი ინდუსტრიული მიმართულების – მსუბუქი მრეწველობის შექმნა და გაფართოება. მანქანათმშენებლობის ფარგლებში ასევე დაიწყო ჩაის წარმოებისთვის საჭირო მანქანების წარმოება, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ჩაის მეურნეობის განვითარება საქართველოში (კოჭლავაშვილი, 1966, გვ. 172).

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება, ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მსუბუქი კვების მრეწველობის გაფართოებას და, აქედან გამომდინარე, შესაბამისი საწარმო-ტექნიკური ბაზის შექმნას. მსუბუქ მრეწველობას ჰქონდა მეტად საპატიო მიზანი. მას უნდა დაეკმაყოფილებინა მოსახლეობის პირველადი მოთხოვნები და


განემტკიცებინა კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის, ეკონომიკური თვალსაზრისით. ამასთან, მას უნდა აღმოეჩინებოდა უმუშევრობის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემებიც (სკს, 1931, გვ. 17-18). საგულისხმოა, რომ კვების მრეწველობის განვითარება წრფივ რეგრესულ დამოკიდებულებაში იყო სოფლის მეურნეობის განვითარებასთან. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, საინტერესოა საქართველოში ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებით მიღებული პროდუქციის (იხ. გრაფიკი 2), აგრეთვე ხორცისა და ხორცპროდუქტის (იხ. გრაფიკი 3), რძისა და რძის პროდუქტის (იხ. გრაფიკი 4) წარმოების მოცულობის დინამიკა 1940-1990 წლებში. უნდა აღინიშნოს, რომ ქვემოთ წარმოდგენილი გრაფიკების შესაქმნელად შეგროვდა და დამუშავდა მონაცემები 1957-1990 წლებში გამოცემული სტატისტიკური კრებულებიდან – «Народное хозяйство СССР» (ЦСУ, 1957, с. 471; ЦСУ, 1961, сс. 66-84; ЦСУ, 1965, сс. 70-75; ЦСУ, 1970, сс. 60-90; ЦСУ, 1975, сс. 90-92; ЦСУ, 1980, сс. 56-85; ЦСУ, 1985, сс. 55-90; ЦСУ, 1990, сс. 55-90):

გრაფიკი 2



როგორც გრაფიკი 2-დან ჩანს, საქართველოში 1940 წელს (მეორე მსოფლიო ომამდელ პერიოდში) გადამუშავდა 160 ათასი ტონა ხილი და 55 ათასი ტონა ბოსტნეული. 1945 წელს 1940 წელთან შედარებით შეიქმნა 62%-ით ნაკლები პროდუქცია. რაც შეეხება ბოსტნეულს, ამ შემთხვევაში ფიქსირდება წარმოების ზრდა და მისი ტემპი შეადგენს 36.3%-ს. მთლიანობაში, 1940-1990 წლებში ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებით მიღებული პროდუქციის მოცულობის დინამიკა მნიშვნელოვნად იზრდება 1965 წლიდან და ყველაზე მაღალ მაჩვენებელს აღწევს 1985 წელს, რომლის შემდეგ, 1990 წლისთვის, ანუ საბჭოთა კავშირის დაშლის წინა წელს, იწყებს შემცირებას.


გრაფიკი 3



როგორც გრაფიკი 3-დან ჩანს, საქართველოში 1940 წელს აწარმოეს 75 ათასი ტონა ხორცი და ხორცპროდუქტი (იგულისხმება სხვადასხვაგვარი ძეხვეული,

სოსისი, შაში და ა.შ.). 1945 წელს, 1940 წელთან შედარებით, შეიქმნა 49,3%-ით ნაკლები პროდუქცია, თუმცა უკვე 1955 წლისთვის წარმოების ზრდის ტემპი თვალშისაცემი ხდება. მთლიანობაში, 1940-1990 წლებში როგორც ხორცის, ასევე ხორცპროდუქტის წარმოების მოცულობის დინამიკა მნიშვნელოვნად იზრდება 1965 წლიდან და ყველაზე მაღალ მაჩვენებელს აღწევს 1985 წელს, რომლის შემდეგ, 1990 წლისთვის, ანუ საბჭოთა კავშირის დაშლის წინა წელს, იწყებს შემცირებას.

გრაფიკი 4



როგორც ცხრილი 4-დან ჩანს, საქართველოში 1940 წელს აწარმოეს 358 ათასი ტონა რძე და რძის პროდუქტი. 1945 წელს, 1940 წელთან შედარებით, შეიქმნა 74,3%-ით ნაკლები პროდუქცია, თუმცა უკვე 1955 წლისთვის წარმოების ზრდის ტემპი თვალშისაცემი ხდება. მთლიანობაში, 1940-1990 წლებში როგორც რძის, ასევე რძის პროდუქტის წარმოების მოცულობის დინამიკა მნიშვნელოვნად

იზრდება 1960 წლიდან და ყველაზე მაღალ მაჩვენებელს აღწევს 1985 წელს, რომლის შემდეგ, 1990 წლისთვის, ანუ საბჭოთა კავშირის დაშლის წინა წელს, იწყებს შემცირებას.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება სახსრებს არ იშურებდა ახალი შესაბამისი საწარმოების ასაშენებლად. კვების მრეწველობის ფარგლებში საგრძნობლად გაიზარდა ღვინის წარმოება. 1940 წელს, ანუ ომამდელი პერიოდისთვის, საქართველოში აწარმოეს 29,1 მლნ. დეკალიტრი ყურძნის ღვინო. რაც შეეხება შუმხუნა ღვინოს (იგივე შამპანური ღვინო), მისი წარმოების მოცულობა 1940 წლისთვის 2,2 მლნ. ბოთლით განისაზღვრა, რაც ომის შემდგომი პერიოდისთვის დაახლოებით 2-ჯერ გაიზარდა და შეადგინა 4,8 მლნ. ბოთლი (ИЦУ, 1957, с. 471). ღვინო მეტწილად როგორც რესპუბლიკის, ასევე საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთაც გადიოდა. იგივე შეიძლება ითქვას ისეთ პროდუქტებზე, როგორებიცაა: ბრენდი (იგივე კონიაკი), სპირტი და არაყი. ცალკე აღნიშვნის ღირსია თამბაქოსა და კონსერვების წარმოებაც, რომლის საბოლოო პროდუქცია საექსპორტო დანიშნულების იყო. 1940 წელს საქართველოში წარმოებული კონსერვის მოცულობა 9,5 მლნ. პირობითი ქილით განისაზღვრა, ხოლო პაპიროსისა და სიგარეტის წარმოება იმავე პერიოდში 11,1 ათას ტონას შეადგენდა (ИЦУ, 1957, с. 471). ომამდელი პერიოდის საქართველოში გაფართოვდა ქიმიური მრეწველობა, რომლის ფარგლებშიც იწარმოებოდა ისეთი პროდუქცია, როგორებიცაა: საპონი, ნახშირმჟავა გაზი, ფარმაცევტული პროდუქცია, ლაქსაღებავები, ბარიტი და ა.შ. ომამდელი პერიოდის საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიალიზაციის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საგარეო ვაჭრობის გაფართოებასაც (Беридзе, 1970, с. 57-60).

ამრიგად, ომამდელი პერიოდის საბჭოთა საქართველოს მრეწველობის ძირითადი ტენდენციები დაკავშირებული იყო როგორც მსხვილ ინდუსტრიულ პროექტებთან, მანქანათმშენებლობის ჩათვლით, ასევე მსუბუქი მრეწველობის, მათ შორის, კვების მრეწველობის განვითარებასთან.

მეორე მსოფლიო ომმა მნიშვნელოვნად დააზარალა საბჭოთა კავშირის, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკა. მიუხედავად ამისა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ

ომის პერიოდში ასევე საგრძნობლად განვითარდა ისეთი სამრეწველო დარგები, რომლებიც დაკავშირებული იყო სამხედრო ტექნიკის წარმოებასთან (Вознесенский, 1948, с. 53).

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, გარდა იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის სამრეწველო პოტენციალი მიმართული იყო სამხედრო პროდუქციის წარმოებისკენ, ასევე გაიზარდა მოპოვებული ქვანახშირის მოცულობა, ელექტროენერჯის წარმოება, ბამბეული ქსოვილის, დაკონსერვებული საკვებისა და სხვა პროდუქტების წარმოება. სამხედრო პროდუქციის წარმოებიდან გამომდინარე, ასევე საგრძნობლად იზრდება მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება (ИСУ, 1957, с. 42-47).


მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საყოველთაო სამხედრო მრეწველობა კვლავ ჩანაცვლდა სამოქალაქო მრეწველობით. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მრეწველობამ შეიცვალა თავისი სტრუქტურა. შესაბამისად, საქართველოს მრეწველობაში აღმოცენდა მანამდე არარსებული მიმართულებები (დარგები). ამ შემთხვევაში, უწინარესად, იგულისხმება ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებლობის მრეწველობა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის გახსნა, რომელმაც უკვე 1957 წლის ბოლოს გამოუშვა სამაგისტრალო ელმავალი (სტურუა, ნათმელაძე, 1980, გვ. 37).

გარდა ზემოთქმულისა, საბჭოთა საქართველოს მეორე მსოფლიო ომის მრეწველობის ტენდენციებზე საუბრისას აუცილებლად უნდა გამოვარჩიოთ ისეთი სამრეწველო მშენებლობები, როგორებიც იყო მეტალურგიული, აგრეთვე – საავტომობილო ქარხნები, ბამბეულის კომბინატი (ქ. გორში), ხრამჰესი, საწარმო „ჭიათურმანგანეცის“ ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკა (სტურუა, ნათმელაძე, 1980, გვ. 266).

ომის შემდგომ პერიოდში შენდებოდა მსხვილი საწარმო-ქარხნები. გარდა ამისა, მრეწველობაში ხორციელდებოდა მსხვილი კაპიტალდაბანდებები, რაც, თავის მხრივ, როგორც უკვე აღინიშნა, უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენდა მთლიანი სამრეწველო პოტენციალის გაფართოებაზე (ИСУ, 1961, с. 374).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ინტერესმოკლებული არ იქნება, განვიხილოთ, როგორი იყო მეორე მსოფლიო ომამდელი და ომის შემდგომი პერიოდის (იგულისხმება 1940-1990 წლები) ცალკეული სამრეწველო მიმართულების (სამშენებლო პროდუქცია, ტრიკოტაჟის ნაწარმი) მოცულობის დინამიკა (იხ. გრაფიკი 5 და 6). ამ მიზნით, შეგროვდა და დამუშავდა მონაცემები 1957-1990 წლებში გამოცემული სტატისტიკური კრებულებიდან – «Народное хозяйство СССР» (ЦСУ, 1957, с. 471; ЦСУ, 1961, сс. 66-84; ЦСУ, 1965, сс. 70-75; ЦСУ, 1970, сс. 60-90; ЦСУ, 1975, сс. 90-92; ЦСУ, 1980, сс. 56-85; ЦСУ, 1985, сс. 55-90; ЦСУ, 1990, сс. 55-90).


გრაფიკი 5



როგორც ცხრილი 5-დან ჩანს, საქართველოში 1940-1990 წლებში სამშენებლო პროდუქციის (აგური, ცემენტი) წარმოების მოცულობის დინამიკა განსაკუთრებით

თვალსაჩინოდ იწყებს ზრდას 1950 წლიდან და ყველაზე მაღალ მაჩვენებელს აღწევს 1985 წელს, რომლის შემდეგ, 1990 წლისთვის, ანუ საბჭოთა კავშირის დაშლის წინა წელს, იწყებს შემცირებას.

გრაფიკი 6



როგორც გრაფიკი 6-დან ჩანს, საქართველოში 1940-1990 წლებში ცალკეული ტრიკოტაჟის პროდუქციის წარმოების მოცულობის დინამიკა მნიშვნელოვნად იწყებს ზრდას 1950 წლიდან და ყველაზე მაღალ მაჩვენებელს აღწევს 1985 წელს აბრეშუმის ქსოვილისა და ტრიკოტაჟის თეთრეულის მხრივ. რაც შეეხება შალის

ქსოვილის წარმოებას, მისი უმაღლესი მაჩვენებელი ფიქსირდება 1980 წელს. დინამიკა შემცირებას იწყებს 1990 წლისთვის.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში საქართველოს მრეწველობაში უმთავრესი აქცენტი კეთდებოდა როგორც საკვები პროდუქტის მრეწველობაზე, ასევე მძიმე მრეწველობაზე. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ომის შემდგომ პერიოდში სამრეწველო მიმართულებით ათვისებულ იქნა მრავალი ახალი დარგი (სულავა, 1973, გვ. 157), მათ შორის, გამოსარჩევია თბომავლების, მცურავი მიწასაწოვების, თვითმავალი მცურავი სატუმბავი სადგურების, ამწე კომპურების, სხვადასხვა სახარატო და ხრახნსაჭრელი ჩარხის, ჩაის საკრეფი მანქანების, მინერალური სასუქის, სამშენებლო საშუალებების, პლასტმასის ნაკეთობებისა და მრავალი ახალი ტიპის, სახეობისა და მარკის სამრეწველო პროდუქცია (ԼԿԿ, 1957, с. 471; ԼԿԿ, 1961, сс. 66-84). აქვე ცალკე აღნიშვნას მოითხოვს კვების მრეწველობა, რადგან ომის შემდგომ პერიოდში შეინიშნებოდა არასაკმარისი საქონლის წარმოება ისეთი მიმართულებებით, როგორებიცაა რძე და ხორცპროდუქტი (სანთელაძე, 1965, გვ. 24-28). ომის შემდგომ პერიოდში, სამრეწველო პროდუქციის მწარმოებლურობის გაფართოებისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ჩატარდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ტექნოლოგიური სამუშაო (თეთრაული, 1976, გვ. 29). ჩემი აზრით, საქართველოში მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის მრეწველობის ტენდენციები 1991 წლამდე, ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, მეტ-ნაკლები ერთგვაროვნებით ხასიათდებოდა. როგორც წინამდებარე პარაგრაფში მოცემული მასალიდან ჩანს, საბჭოთა პერიოდის საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ქვეყანაში ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებისთვის საჭირო პროცესებს. შედეგად, იქმნებოდა დიდი მოცულობის სამრეწველო პროდუქცია. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვანთ, რომ ქვეყანაში გვაქვს ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებული არცთუ ისე ცუდი ტრადიცია, რომლის აღორძინება თანამედროვე ტექნოლოგიებისა და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მეშვეობით დადებით გავლენას მოახდენს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. პასუხი იმ

რიტორიკულ კითხვაზე, თუ რეალურად რას წარმოადგენდა საბჭოთა საქართველოში შექმნილი სამრეწველო პროდუქცია, რაოდენ იყო ის კონკურენტუნარიანი, რატომ მოხდა ისე, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში დაეცა სამრეწველო პოტენციალი, გაცემული იქნება მოცემული თავის მომდევნო პარაგრაფში.

2.2 ნეკროეკონომიკა და პოსტსაბჭოთა საქართველოში

სამრეწველო პოტენციალის დაცემის

ძირითადი მიზეზები

საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო სრულიად ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. შექმნილი გარემოებებისა და არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, საჭირო გახდა თვისებრივად განსხვავებული სოციალური და ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება, რაც საკმაოდ რთულ და, ამასთან ერთად, ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილი კრიზისიდან სწრაფად გამოსვლა მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული იმ სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების თავისებურებებზე, რომლებიც გავრცელდა ჩვენს ქვეყანაში (ზახტაძე, 2006, გვ. 4).

პოსტკომუნისტური ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესმა მრავალ პრობლემას ახადა ფარდა. როგორც აღმოჩნდა, ის ეკონომიკური მიდგომები, რომლებიც მიღებული და გავრცელებული იყო საბჭოთა კავშირში, სრულიად გამოუსადეგარი გახდა საბაზრო ეკონომიკის პირობებში. პოსტკომუნისტური ეკონომიკური თეორია, როგორც ეკონომიკის სპეციფიკური ფენომენი, განსხვავებული მიდგომით შესწავლას საჭიროებდა. თავისი შინაარსით, საბჭოთა კავშირის ეკონომიკა და, აქედან გამომდინარე, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიკაც, მბრძანებლური ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი იყო. არსებული მიდგომის შესაბამისად, ხელისუფლება

პირდაპირ ერეოდა როგორც წარმოების, ასევე მოხმარების საკითხებში, იმის გათვალისწინებით, რომ, პრაქტიკულად, წარმოების დიდი ნაწილი, სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენდა (Papava, 2005, p. 28).

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მბრძანებლურ ეკონომიკაზე საუბრისას არ უნდა გამოგვრჩეს ისეთი მოვლენის შეფასება, რომელსაც **ჩრდილოვან ეკონომიკასაც** უწოდებენ. ეს არის ისეთი ფენომენი, რომელიც, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, არ ექვემდებარებოდა სახელმწიფოს კონტროლს. ჩრდილოვანი ეკონომიკა პირდაპირ იყო დაკავშირებული მიკროეკონომიკასთან და მიუხედავად თავისი აღურიცხაობისა, მაინც შეიმჩნეოდა მისი ჩრდილოვანი ეფექტი ქვეყნის მთლიან ეკონომიკაში (Papava, 2005, p. 29). აღსანიშნავია, რომ ხშირ შემხვევაში ჩრდილოვანი ეკონომიკის გამოვლინება ხდებოდა იმ პროდუქციის მითვისების ხარჯზე, რომლის წარმოება ევალეობდა ამა თუ იმ საამქროს ან ქარხანას (Papava, 2005, p. 7).

მბრძანებლური ეკონომიკის ძირითადი ნიშან-თვისებების კიდევ უფრო სიღრმისეულად დასახასიათებლად საინტერესოა პოლონელი ეკონომისტის, ადამ ლიპოვსკის (Adam Lipowski) მოსაზრება. მისი შეფასებით, მსოფლიო დაყოფილია ორ კატეგორიად, სადაც ერთი მოიცავს ე.წ. „განვითარებულ“, ხოლო მეორე – „განივითარებად“ ქვეყნებს. აღნიშნულ ლოგიკაზე დაფუძნებით, ლიპოვსკი ამბობს, რომ მბრძანებლური ეკონომიკა სხვა არაფერია, თუ არა განვითარებული ეკონომიკა (Lipowski, 1998, p. 9).

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიკა დიდი საბჭოთა კავშირის ეკონომიკის სისტემის ნაწილს წარმოადგენდა. მისთვის, მსგავსად საბჭოთა კავშირის ეკონომიკისა, დამახასიათებელი იყო სახელმწიფო საკუთრება. აქედან გამომდინარე, კერძო საკუთრების ფორმა უგულებელყოფილ მოვლენად განიხილებოდა. კოოპერატივები და კოლექტიური საკუთრების საწარმოები ასევე დაქვემდებარებული იყვნენ სახელმწიფოზე. იმ პერიოდის რეალობიდან გამომდინარე, როდესაც სახელმწიფო საკუთრება დომინირებდა ქვეყანაში, ბაზრის არსებობის აუცილებლობა სრულიად არ იყო საჭირო. ასეთ დროს ქვეყანას

ავითარებს ისეთი ეკონომიკა, სადაც ეკონომიკურ ერთეულებს შორის ურთიერთობა დაფუძნებულია სახელმწიფოს მიერ რეგულირებული გაცვლის საფუძველზე (Papava, 2005, p. 7).

სახელმწიფო საკუთრების ფარგლებში, სოფლის მეურნეობის დარგში ფართოდ გავრცელებული იყო ე.წ. კოლექტიური ფერმები, რომლებსაც კოლმეურნეობებსაც უწოდებდნენ. გარდა ამისა, არსებობდა სახელმწიფო ფერმები, რომლებიც „საბჭოთა მეურნეობის“ სახელით იყვნენ ცნობილი. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მასობრივად დაიწყო კოლექტიური ფერმების სახელმწიფო ფერმებად ჩამოყალიბების პროცესი, რაც, თავის მხრივ, სოფლის მეურნეობის ერთგვარ ნაციონალიზაციადაც შეიძლება შეფასდეს. ამრიგად, **სახელმწიფო საკუთრება** მბრძანებლური ეკონომიკის ერთ-ერთ უმთავრეს მახასიათებლად შეიძლება მივიჩნიოთ. სწორედ აქედან გამომდინარე, თავს იჩენს კონკურენციის არარსებობა, რადგან თუ ყველა საწარმო სახელმწიფო საკუთრებაშია, ის განაგებს მთელ ეკონომიკას და იღებს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, ამ შემთხვევაში ეკონომიკაში არ არის გათვალისწინებული კონკურენციის ცნება, რის გარეშეც წარმოებული პროდუქციის ხარისხს, საბოლოო ჯამში, დიდი ზიანი ადგება. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია შეზღუდული საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და, შესაბამისად, ნაკლები წვდომა იმპორტულ საქონელზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოებას თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილება მდარე ხარისხის ადგილობრივი საქონლის მოხმარებით უწევს. ამრიგად, მბრძანებლური ეკონომიკის მეორე მთავარ თვისებას **ბაზრის არარსებობა** წარმოადგენს. ეკონომიკის მიმართ ასეთი მკაცრი მონოპოლისტური მიდგომა, რომელმაც, სხვათა შორის, საერთოდ გააქრო კონკურენცია, უარყოფითად აისახა როგორც მთლიანად ეკონომიკაზე, ასევე – მრეწველობაზე. მიუხედავად ამისა, აქვე უნდა აღნიშნოს, რომ იმავეს თქმა შეუძლებელია კოსმოსის ათვისებასა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მიმართულებით. ამ დარგში საბჭოთა კავშირის მთავარ კონკურენტად დასავლეთის ქვეყნები, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატები მიიჩნეოდა და ამის გათვალისწინებით, საბჭოთა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი მაღალხარისხიანი პროდუქციისა და

ტექნოლოგიური საშუალებების წარმოებას უზრუნველყოფდა. მონოპოლისტური პოზიცია მბრძანებლური ეკონომიკის მესამე მთავარი თვისებაა. ეკონომიკის ცენტრალიზებულად მართვა და პოლიტიკური ძალაუფლების ბერკეტების გამოყენება კი მბრძანებლური ეკონომიკის შემადგენელ მეოთხე მთავარ თვისებად შეიძლება მივიჩნიოთ (Papava, 2005, p. 7).

გეგმიანი ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა, თავიანთი ეკონომიკური პოტენციალის განვითარების მიზნით, აირჩიეს საბაზრო ეკონომიკისკენ მიმავალი გზა. ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს არსებული ეკონომიკის ძირეულ ცვლილებას. აქ, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება გათავისუფლება იმ არასიცოცხლისუნარიანი საწარმოებისგან, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებენ და ხელს უშლიან ეკონომიკური საქმიანობების განვითარებას (ბახტაძე, 2006, გვ. 5).

პოსტკომუნისტური ეკონომიკის დეტალურად შესწავლის დროს ვაწყდებით კიდევ ერთ სპეციფიკურ ფენომენს, რომელიც განსაკუთრებული ყურადღების მიპყობას საჭიროებს. აღნიშნული ფენომენი ნეკროეკონომიკის სახელითაა ცნობილი.

ნეკროეკონომიკის წარმოშობა პირდაპირ დაკავშირებულია მბრძანებლურ ეკონომიკასთან, განსხვავებით ზომბი-ეკონომიკისგან, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირმშოს წარმოადგენს (Papava, 2009, p. 201).

ზემოთქმულის შესაბამისად, უნდა აღნიშნოს, რომ ნეკროეკონომიკას, თავისი თვისებებიდან გამომდინარე, არაფერი აქვს საერთო ზომბი-ეკონომიკასთან. ამ მხრივ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნეკროეკონომიკა არ წარმოადგენს ფინანსური ან ეკონომიკური კრიზისის თანმდევ მოვლენას, განსხვავებით ზომბი-ეკონომიკისგან. ის უფრო პოლიტიკური გარემოების (იგულისხმება საბჭოთა პოლიტიკურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული მბრძანებლური ეკონომიკა) პირმშოა. ნეკროეკონომიკა საზრდოობს სახელმწიფოს მხრიდან წამოსული სუბსიდიებით, განსხვავებით ზომბი-ეკონომიკისგან, რომლის საზრდო სხვა არაფერია, თუ არა ე.წ. ზომბი-ბანკების (ზომბი-ეკონომიკის შესახებ დეტალურად იხ. I თავის IV პარაგრაფი) მიერ გაცემული შეღავათიანი კრედიტები (Papava, 2009, p. 201).

ტერმინი ნეკროეკონომიკა შედგენილია ორი სიტყვის – „ნეკრო“ (რაც ბერძნულად მკვდარს ნიშნავს) და „ეკონომიკა“ გაერთიანებით. ამრიგად, ტერმინი ნეკროეკონომიკა სიტყვასიტყვით „მკვდარ“ ეკონომიკას აღნიშნავს (Papava, 2005, p. 32).

ნეკროეკონომიკას აქვს უარყოფითი ზემოქმედება პოსტკომუნისტური ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს ეკონომიკაზე. ნეკროეკონომიკის გავლენის შემცირების თვალსაზრისით, აუცილებელია იმ ღონისძიებების განსაზღვრა და ამოქმედება, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება ე.წ. „მკვდარ“ საწარმოებთან დაკავშირებული პრობლემის დაძლევა, რათა, საბოლოოდ, უზრუნველყოფილ იქნეს საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება (პაპავა, 2002, 163; პაპავა, 2020ა, გვ. 127).

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში საჭიროა, სახელმწიფომ შესაბამისი ყურადღება მიაქციოს ახლად შექმნილ კერძო სექტორს, რათა ხელი შეეწყოს მის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვას და, შესაბამისად, მოთხოვნადი ხარისხიანი პროდუქციისა და მომსახურების შექმნას. აქედან გამომდინარე, კარგად ჩანს, რომ სახელმწიფომ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს სტაბილური პოლიტიკური და მაკროეკონომიკური გარემოს შექმნას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს კერძო ინვესტიციების მეშვეობით ახალი ფირმების შექმნას. ნეკროეკონომიკა მანამ იქნება აქტუალური პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ვიდრე საბჭოური საქმოსნური მიდგომა არ ჩანაცვლდება მეწარმეობრივი მიდგომით (პაპავა, 2002, გვ. 161-163).

ნეკროეკონომიკაზე საუბრისას არ უნდა დაგვავიწყდეს მასთან ასოცირებული მეორე ფენომენიც, რომელიც „ვიტაეკონომიკის“ სახელით არის ცნობილი. საკუთრივ ტერმინი „ვიტაეკონომიკა“ შედგენილია ლათინური სიტყვებისგან „ვიტა“ (რაც ლათინურად სიცოცხლეს ნიშნავს) და „ეკონომიკის“. შესაბამისად, ვიტაეკონომიკის სწავლობს ეკონომიკის „სიცოცხლისუნარიან“ ნაწილს (პაპავა, 2002, გვ. 157; პაპავა, 2020ა, გვ.119; Papava, 2005, p. 32; Papava, 2009, p. 199). ნეკროეკონომიკისა და ვიტაეკონომიკის თვისებებს შორის არის გარკვეული იგივეობა და განსხვავება (იხ. ცხრილი 3):

ნეკროეკონომიკისა და ვიტაეკონომიკის ძირითადი თვისებების შედარება¹²

თვისების სახელწოდება	ნეკროეკონომიკა	ვიტაეკონომიკა
საქონლის წარმოება	X	X
საქონლის მიწოდება	X	X
საქონელზე მოთხოვნა	-	X
საქონლის ყიდვა-გაყიდვა	-	X

ცხრილ 1-ში, „X“ სიმბოლოთი მონიშნულია ის თვისებები, რომლებიც ახასიათებს ნეკროეკონომიკასა და ვიტაეკონომიკას. როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, საქონლის წარმოება და მიწოდება არის იმ თვისებათა კატეგორია, რომლებიც საერთოა ორივე ფენომენისთვის. რაც შეეხება საქონლის მოთხოვნას და მის ყიდვა-გაყიდვას, ეს კატეგორიები უცხოა ნეკროეკონომიკისთვის, რადგან „ნეკროეკონომიკაში წარმოებულ საქონელზე მისი უხარისხობის, ან (და) სიძვირის გამო მოთხოვნა პრაქტიკულად აღარ არსებობს. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ნეკროეკონომიკა გამორიცხავს ყიდვისა და გაყიდვის ნებისმიერ ნებაყოფლობით აქტს, რის გამოც, პრინციპში, შეუძლებელია „წონასწორული ფასის“ არსებობა (პაპავა, 2002, გვ. 157).

კომუნისტურ ეკონომიკურ სისტემაში მრავალი წლის განმავლობაში ყალიბდება ის გარემოება (სხვა სიტყვებით, „რუტინა“), რომელიც უზრუნველყოფს მკვდარი საწარმოების მუდმივ ფუნქციონირებას, რაც თავისთავად განაპირობებს კონკურენტუნარო პროდუქციის გამოშვებას. იმის გამო, რომ შეუძლებელია საზოგადოებაში ასეთი პროდუქტის რეალიზაცია, საწარმოს ფუნქციონირების

¹² შემუშავებულია შემდეგი ნაშრომის მიხედვით: (პაპავა, 2002, გვ. 157).

შენარჩუნება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის, სპეციალური ფონდებისა და სხვა საშუალებებით (Ослунд, 1996, сс. 256-264).

საქართველოში მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკის სისტემაზე გადასვლის პროცესი გარკვეული სირთულეებით დაიწყო. ამის მიზეზი, უწინარეს ყოვლისა, იყო ის პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც თავი იჩინა დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე წლებიდან. ამ კრიზისს ოდნავ მოგვიანებით დაემატა ჯერ სამოქალაქო ომი, ხოლო შემდგომ – სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომები (ბახტაძე, 2006, გვ. 29). საქართველოს ეკონომიკა არ იყო მზად იმ ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციებისთვის, რომლებსაც ადგილი ჰქონდა აფხაზეთში 1992 წლის აგვისტოდან 1993 წლის სექტემბრის ჩათვლით პერიოდში. აღნიშნულმა მდგომარეობამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა საქართველოს მაშინდელ ბიუჯეტს. 1993-1994 წლებში საქართველოს ბიუჯეტში არსებული დეფიციტისგან დაღწევის ერთადერთ საშუალებად ფულის ემისია მიიჩნიეს, რასაც თან დაერთო მზარდი ინფლაცია (Papava, 2005, p. 129).

საქართველოს ეკონომიკაში განვითარებულ რთულ ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებდა დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში გაზრდილი კრიმინალური მდგომარეობა, რომელიც გამოწვეული იყო 1992 წლის ზამთარში გამოცხადებული საყოველთაო ამნისტიით. შესაბამისად, ქვეყანაში გაიზარდა ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, რამაც, უპირველეს ყოვლისა, ავნო საქართველოს ეკონომიკასა და, აქედან გამომდინარე, მის საზოგადოებას. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება საქართველოს სამრეწველო პოტენციალის დაცემის ძირითადი ეტაპი. ამასთან ერთად, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, თუ რამდენს შეადგენდა ინფლაციის მაჩვენებელი 1993-1994 წლებში. მიიჩნევა, რომ აღნიშნულ დროს ადგილი ჰქონდა ე.წ. ჰიპერინფლაციას, რაც გულისხმობდა თვეში დაახლოებით 50-70%-იანი ინფლაციის მაჩვენებელს. აქედან გამომდინარე, იმ პერიოდში შემოღებული ეროვნული ვალუტის შემცველი „ქართული კუპონი“, გაუფასურების მაღალი მაჩვენებლის გამო, პრაქტიკულად, არც გამოიყენებოდა კომერციული მიზნებისთვის (Papava, 2005, p. 130).

დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, ანუ 1991 წლამდე, საქართველოს ეკონომიკის უმთავრეს მიმართულებებს მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი წარმოადგენდნენ. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მრეწველობის სექტორში მნიშვნელოვანი წილით (60%) იყო წარმოდგენილი კვებისა და მსუბუქი მრეწველობის დარგები. ეს კი, თავის მხრივ, მართალია ზრდიდა შრომის მწარმოებლურობას, თუმცა მნიშვნელოვნად აფერხებდა მანქანათმშენებლობის და სხვა პროგრესული, ტექნიკაზე ორიენტირებული დარგების განვითარებას (ბასილია, სილაგაძე, ჩიკვაძე, 2001, გვ. 62).

საქართველო, ტურისტული თვალსაზრისით, პოპულარობით სარგებლობდა, განსაკუთრებით – რუსეთში. საქართველო საბჭოთა კავშირისთვის კვების მრეწველობის პროდუქტის ერთ-ერთი უმთავრესი მიმწოდებელი იყო. გარდა ამისა, საქართველოში იქმნებოდა სხვადასხვა დანიშნულების ინდუსტრიული პროდუქცია, რომელიც დაკავშირებული იყო როგორც საავიაციო, ისე სამანქანო და ქიმიურ მრეწველობასთან. საბჭოთა საქართველოს მოწინავე ეკონომიკურ დარგს სოფლის მეურნეობაც წარმოადგენდა. ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობდა გადამამუშავებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, განსაკუთრებით, ალკოჰოლური სასმელები, მათ შორის, ღვინო. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მრეწველობა იყო ერთიანი, საბჭოთა კავშირის ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი და, აქედან გამომდინარე, არ წარმოადგენდა ცალკე ერთიან მთლიან ეროვნულ ეკონომიკას. სწორედ ამის გამო, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ეკონომიკა და მასში შემავალი მრეწველობა პრაქტიკულად გაჩერდა. შეწყდა მრეწველობისთვის აუცილებელი ნედლეულის შემოტანა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, მათ შორის, უმთავრესად რუსეთიდან. ყოველივე ამას დაერთო ის გარემოებაც, რომ საქართველოში შექმნილი პროდუქცია არ იყო კონკურენტუნარიანი საბაზრო ეკონომიკისათვის. შესაბამისად, კატასტროფულად იკლო ექსპორტის მოცულობამ და ქვეყანაში ვალუტის შემოდინებამ. იმ მიზნით, რომ მომხდარიყო ქვეყნის შიგნით არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილება, საჭირო გახდა იმპორტის

გაზრდა, რამაც საგრძნობლად დააზიანა ისედაც განადგურებული ადგილობრივი მრეწველობა. შეიქმნა გარემოება, რომ უცხოეთიდან პროდუქციის შემოტანა უფრო იაფი ჯდება, ვიდრე მისი წარმოება. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ანალოგიური კრიზისი წარმოიქმნა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში, რადგანაც ამ ქვეყნების ინდუსტრია შორს აღმოჩნდა იმ პერიოდის სტანდარტებიდან (Baumann, 2012, p. 262).


საქართველოს ეკონომიკაში მრეწველობის წილის შემცირებამ განაპირობა მოსახლეობის გადართვა ვაჭრობისა და სასოფლო-სამეურნეო სექტორის მცირე ბიზნესში. ისინი უპირატესად წარმოადგენდნენ თვითდასაქმებულებს. გარდა სოფლის მეურნეობისა, მრეწველობის ადგილი ასევე დაიკავეს მომსახურების დარგებმა. ყოველივე აღნიშნული გვიჩვენებს, თუ როგორ შეიცვალა საქართველოს ინდუსტრიული ეკონომიკის ძირითადი სტრუქტურული ელემენტები (Baumann, 2012, p. 264).

მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით¹³, საქართველოში დამამუშავებელ მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულების წილის დროითი მწკრივის ანალიზის დროს, 1996-2018 წლებში, მზარდი ტენდენცია იკვეთება (იხ. გრაფიკი 7). აღნიშნული მონაცემები დაფუძნებულია მსოფლიო ბანკის ვებგვერდზე განთავსებულ მონაცემთა ბაზაზე და სტატისტიკურად დამუშავებულია ავტორის მიერ. მოცემული გრაფიკული გამოსახულების მიხედვით, 2018 წელს დამამუშავებელ მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულების წილი ქვეყნის მთლიან სამამულო პროდუქტში დაახლოებით 2-ჯერ არის შემცირებული. უნდა აღინიშნოს, რომ კლების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2016 წელს ფიქსირდება, როდესაც მან შეადგინა 7,8%. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 1996 წლის შემდეგ, 2003 წელს დაფიქსირდა და ის 13,0%-ით განისაზღვრა. მიღებული მონაცემების მიხედვით, 2011-2014 წლების პერიოდი მეტ-ნაკლებად თანაბარი ტენდენციით ხასიათდებოდა, რომლის მიხედვით, დამამუშავებელ მრეწველობაში

¹³ მონაცემები დამუშავებულია ავტორის მიერ, მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზის დამუშავების საფუძველზე: <<http://data.worldbank.org/country/georgia>>.

შექმნილი დამატებული ღირებულების წილი ქვეყნის მთლიან სამამულო პროდუქტში დაახლოებით 9%-ის ფარგლებში მერყეობდა (WB, 2020).

გრაფიკი 7



საქართველოს მთლიანი სამამულო პროდუქტის სტრუქტურის ანალიზისას, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ეროვნული ანგარიშების 2019 წლის მონაცემებზე დაყრდნობით (საქსტატი, 2019ა), მეტად საინტერესო ტენდენცია იკვეთება. როგორც ქვემოთ მოცემულ გრაფიკულ გამოსახულებაში¹⁴ (იხ. გრაფიკი 8) წარმოდგენილი, სტრუქტურის შედარებით უფრო დიდი ნაწილი, კერძოდ, 37,9% მომსახურების დარგებზე ნაწილდება, სადაც საქართველოს ეკონომიკურ საქმიანობათა კლასიფიკატორის სექციის (კლასიფიკატორის ყველაზე მსხვილი ჯგუფი) მიხედვით, შედის ისეთი ეკონომიკური საქმიანობის სახეები, როგორებიცაა:

- ვაჭრობა და სატრანსპორტო საშუალებების შეკეთება;


¹⁴ მონაცემები დამუშავებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის საფუძველზე.

- ტრანსპორტთან და დასაწყობებასთან დაკავშირებული საქმიანობები;
- სასტუმროებთან და რესტორნებთან დაკავშირებული საქმიანობები;
- ადმინისტრაციული, ასევე სხვა დამხმარე მომსახურების საქმიანობები;
- უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები;
- სხვა სახეობის მომსახურებები (უმეტეს შემთხვევაში, ითვალისწინებს სპორტულ-განმაჯანსაღებელ და სილამაზის სალონებთან დაკავშირებულ საქმიანობებს).

რაც შეეხება დანარჩენ დარგებს, ამ კატეგორიაში გაერთიანებულია ისეთი საქმიანობები, როგორებიცაა:

- ხელოვნება, გართობა, დასვენება;
- შინამეურნეობები, როგორც დამქირავებლის, საქმიანობები;
- შინამეურნეობების მიერ მხოლოდ საკუთარი მოხმარებისათვის არადიფერენცირებული საქონლის ან მომსახურების წარმოება.

როგორც ქვემოთ მოცემულ გრაფიკულ გამოსახულებაშია ნაჩვენები (იხ. გრაფიკი 8), დამამუშავებელ მრეწველობას შედარებით მოკრძალებული წილი აქვს საქართველოს მთლიანი სამამულო პროდუქტის სტრუქტურაში – 10,4%. რაც შეეხება მშენებლობის დარგს, მისი წილი 7,3%-ით არის განსაზღვრული. სტრუქტურაში დაახლოებით ანალოგიური წილით (7,4%) წარმოდგენილია სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობებთან დაკავშირებული საქმიანობები. რაც შეეხება პროფესიულ, სამეცნიერო და ტექნიკურ საქმიანობებს, მათი წილი 3,0%-ით შემოიფარგლება, ხოლო ინფორმაცია და კომუნიკაციის დარგის წილი 3,2%-ს შეადგენს. როგორც აღნიშნულ განაწილებაში ჩანს, საქართველოს ეკონომიკა სხვა არაფერია, თუ არა **მომსახურების ეკონომიკა**, რაც, თავის მხრივ, ადასტურებს ზემოთ ნახსენებ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ მრეწველობის მიმართულებებმა გზა დაუთმო ახალ, მომსახურებაზე ორიენტირებულ საქმიანობებს.



მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან უკვე სამი ათეული წელია გასული, საქართველოს ეკონომიკა კვლავ მომსახურებისა და ვაჭრობის დარგებზეა ორიენტირებული. იმასთან დაკავშირებით, თუ რა გზებით შეიძლება ქვეყნის ეკონომიკის განვითარება, აზრთა სხვადასხვაობა იკვეთება. მიუხედავად ამისა, ყველა აღიარებს იმ ფაქტს, რომ ცენტრალიზებული, ხუთწლედის გეგმებზე (ასევე შეიძლება ვუწოდოთ მბრძანებლური) დაფუძნებული ეკონომიკა წარსულს ჩაბარდა და მისი ადგილი მყარად დაიკავა საბაზრო ეკონომიკის სისტემამ. მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოს ეკონომიკა,

მსგავსად პოსტკომუნისტური ქვეყნების ე.წ. გარდამავალი ეკონომიკისა, მაინც შორს არის სრულყოფისგან, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაბალი დონიდან გამომდინარე (ბახტაძე, 2006, გვ. 20).

საბჭოთა კავშირში გაბატონებული სამრეწველო და ტექნოლოგიური მიდგომები თვისებრივად განსხვავდებოდა განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების შესაბამისი მიდგომებისაგან. ამის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის შიგნით არსებული იზოლაციური გარემო და კონკურენციის არარსებობა. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საქართველოს მაშინდელი ეკონომიკა საბჭოთა კავშირის ეკონომიკის ნაწილი იყო. აქედან გამომდინარე, მას ჰქონდა ყველა ის ნიშან-თვისება, რომლებიც დამახასიათებელი იყო საბჭოთა კავშირის ეკონომიკისთვის. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს მრეწველობის სექტორმა „ფეხი ვერ აუწყო თავისუფალი ბაზრის პრინციპებს, რასაც კიდევ უფრო აძლიერებდა წარმოებული პროდუქციის დაბალი ხარისხი“ (Papava, Beirdze, 1996/1997, pp. 67-68).

სამრეწველო პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე საუბრისას აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიკაში ნებადართულ მოვლენას წარმოადგენდა კონკურენციის მხოლოდ და მხოლოდ ერთი ფორმა, კერძოდ, კონკურენცია დასავლეთის ქვეყნებთან, ისიც სამხედრო-სამრეწველო, ატომური და კოსმოსური ტექნოლოგიების წარმოების ფარგლებში (პაპავა, 2002, გვ. 154).

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საჭირო გახდა იმ გარკვეული ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფდა ქვეყნის ეკონომიკურ რეფორმებს. XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლო პერიოდი, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა უფრო ძლიერდებოდა საზოგადოებაში, შეიძლება განიხილებოდეს საქართველოში პოსტკომუნისტური რეფორმების საწყის ეტაპად (Suny, 1994, pp. 317-335). პოსტკომუნისტური პერიოდის რეფორმების გარკვეული ნაწილი პოპულისტური შინაარსის იყო. ამ მხრივ ცალკე აღნიშვნას საჭიროებს ე.წ. „მოკური თერაპიის“ მოდელი. მას შემდეგ, რაც დაირღვა კომუნისტური რეჟიმი, ეს მეთოდი პირველად იქნა გამოყენებული

პოლონეთში. აქედან გამომდინარე, პოლონეთი მიიჩნევა პირველ ქვეყანად, რომელმაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად სწორედ „შოკური თერაპიის“ მეთოდი გამოიყენა. ამ რეფორმის სულისჩამდგმელი იყო პოლონელი მეცნიერი, ეკონომისტი ლეშეკ ბალცეროვიჩი. ამრიგად, მისი ხელმძღვანელობით შექმნილ გეგმას „ბალცეროვიჩის გეგმასაც“ უწოდებენ (პაპავა, 2015, გვ. 42). რაც შეეხება უშუალოდ „შოკური თერაპიის“ მეთოდს, ის პირველად შემუშავდა და გამოყენებულ იქნა II მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ გერმანიაში. შემდგომ პერიოდში აღნიშნულმა მეთოდმა ახალი სიცოცხლე შეიძინა პოსტკომუნისტურ პოლონეთში, სადაც ის შემოთავაზებულ იქნა, როგორც ლეშეკ ბალცეროვიჩის გეგმის ნაწილი 1990 წელს (Balcerowicz, 1994; Schaffer, 1992).

„შოკური თერაპიის“ მეთოდი 1992 წლის დასაწყისში ჯერ რუსეთში, ხოლო ერთი თვის შემდეგ საქართველოში დაიწყო. აღსანიშნავია, რომ საქართველოში „შოკური თერაპიის“ მეთოდის რუსული ვერსიის განხორციელება დაიგეგმა, მისი ყოველგვარი სახეცვლილების გარეშე (Papava, 2013, p.8; პაპავა, 2015. გვ. 42-43).

საქართველოში „შოკური თერაპიის“ მეთოდის დანერგვა, მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიზნით, საჭიროებდა რამდენიმე სახელმწიფო უწყების ჩართულობას, რომელთა გარეშეც წარმატების მიღწევა წარმოუდგელი იყო. ბალცეროვიჩისეული „შოკური თერაპია“ მოიცავდა 11-პუნქტიან გეგმას, საიდანაც 8 მათგანის შესრულება ვერ მოხერხდა სხვადასხვა მიზეზიდან, მათ შორის, დამოუკიდებელი მონეტარული სისტემის არარსებობიდან გამომდინარე (Papava, 2013, pp. 9-13).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ საქართველოს ეკონომიკის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად შეიძლება ასევე განხილულ იქნეს გარემოებები, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია იმ პერიოდში გამეფებულ სამოქალაქო დაპირისპირებებთან და, აქედან გამომდინარე, ქვეყანაში გავრცელებულ არასტაბილურ გარემოებებთან, რასაც თან დაერთო კრიმინალის დონის მომატება (მაგალითად, ჭითანავა, 2018, გვ. 42). გარდა ამისა, პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკის ეფექტიანობის შეფასების პროცესში ასევე აუცილებლად გასათვალისწინებელია ისეთი გარემოებებიც, რომლებიც

უმუალოდ უკავშირდება სახელმწიფო ქონების პრივატიზაციას, ანუ მის კერძო მფლობელობაში გადაცემას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ის საწარმოები, რომლებიც ადრე სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდნენ, პრივატიზაციის მეშვეობით კერძო პირების მფლობელობაში აღმოჩნდა. აღნიშნული მიდგომა დამახასიათებელი იყო არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ სხვა პოსტსაბჭოთა და პოსტსოციალისტური ბანაკის ქვეყნებისთვისაც (პაპავა, 2002, გვ. 170-172; (პაპავა, 2002, გვ. 174) ზემოთქმულის შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ პრივატიზაციის პროცესს ჰქონდა გარკვეული ნაკლოვანებები. კერძოდ, ბუნდოვანი იყო, თუ ვის რა მოცულობის წილი და კრიტერიუმების გათვალისწინებით უნდა რგებოდა სახელმწიფო კაპიტალიდან. საკითხავი იყო ისიც, თუ რა სახით უნდა რგებოდათ წილი, ან კიდევ – ხომ არ უნდა ყოფილიყო ეს წილი წლების განმავლობაში გაწეული შრომის ანაზღაურების პროპორციული? გარდა ამისა, არსებობდა გარკვეული სირთულეც, კერძოდ, შრომითი კოლექტივის ზოგიერთი წევრი უკვე ან აღარ მუშაობდა, ან აღარ იყო ცოცხალი. მაშასადამე, რა პრინციპით უნდა გადანაწილებულიყო წილი? განსაკუთრებით რთული იყო გარდაცვალების შემთხვევაში მემკვიდრეებისათვის კუთვნილი აქციების (წილის) მეტ-ნაკლებად თანაბრად განაწილება (პაპავა, 2002, გვ. 174).

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული გარემოებებისა, საქართველოში პრივატიზაციის პროცესის ფარგლებში სახელმწიფო კაპიტალი შრომითი კოლექტივის წევრებს უსასყიდლოდ გადაეცათ. ყოველივე მოცემულისა და ასევე იმ პერიოდში ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონის გათვალისწინებით, კოლექტივის წევრების უდიდესმა ნაწილმა უსასყიდლოდ მიღებული ქონება თავიანთ ყოფილ დირექტორებს, რომლებიც იმჟამად უკვე მათი თანამესაკუთრეები იყვნენ, მინიმალურ ფასებში მიჰყიდა, რის შედეგადაც შრომითი კოლექტივები კაპიტალის რეალური მესაკუთრენი არ გამხდარან (პაპავა, 2002, გვ. 174).

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოს სამრეწველო პოტენციალის დაცემის

ძირითადი მიზეზები უმთავრესად დაკავშირებულია იმ მძიმე მემკვიდრეობასთან, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიიღო საქართველომ და ასევე იმ ეკონომიკურ პოლიტიკასთან, რომელიც ხორციელდება დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში საქართველოს ეკონომიკა წარმოადგენდა მრეწველობაზე ორიენტირებული საბჭოთა კავშირის ეკონომიკის მხოლოდ შემადგენელ ნაწილს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ საქართველოში თითქმის სრულად შეჩერდა სამრეწველო დარგების ფუნქციონირება და როგორც ზემოთ აღინიშნა, მათ ნაცვლად აღმოცენდა მნიშვნელოვნად „მარტივი“, მომსახურების სფეროსთან დაკავშირებული საქმიანობები (უპირატესად, იგულისხმება საცალო და საბითუმო ვაჭრობა იმპორტირებული საქონლით). ზოგიერთი ეკონომისტი მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის შემცირების მიზეზები მნიშვნელოვნად დაკავშირებულია არაკვალიფიციური და არაკომპეტენტური კადრების ჭარბ რაოდენობასთან; აქედან გამომდინარე, არსებული პრობლემის დაძლევის გზად განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა (მაგალითად, ყუფუნია, ჩიკვაიძე, 1990) და ეკონომიკური პოლიტიკის მართებულად წარმართვას განიხილავენ (მაგალითად, ყუფუნია, ჩიკვაიძე, 1990; ჩიკვაიძე, ჭანია, 2004). ამ მიზნის მისაღწევად აუცილებლობას წარმოადგენს სახელმწიფოს სხვადასხვა ინსტიტუტის ერთმანეთთან კოორდინირებული მოქმედება (ჭითანავა, 2018, გვ. 59). ამასთან, ჩემი აზრით, ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვისას აქცენტი უნდა კეთდებოდეს გრძელვადიან და არა მოკლევადიან სტრატეგიულ გეგმებზე, რაც გულისხმობს იმის აუცილებლობას, რომ ეკონომიკურმა გუნდმა წარმოადგინოს ეკონომიკური განვითარების დეტალური **გრძელვადიანი** სტრატეგიული გეგმა, რადგან მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები არ ხორციელდება შედარებით მოკლევადიან (მაგალითად, 4-წლიან) პერიოდში. სტრატეგიის ფორმირების პროცესში აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული შესაბამისი მიმართულების მეცნიერები, პროფესიონალები; აქედან გამომდინარე, არ უნდა მოხდეს ამ სამუშაოს დილექტანტურ დონეზე შესრულება. როგორც წესი, ის ქვეყანა ვითარდება განსაკუთრებით სწრაფი ტემპით, სადაც დაფასებულია მეცნიერების შრომა.

სწორედ ისინი არიან უმთავრესი ექსპერტები და კონსულტანტები, როდესაც დღის წესრიგშია ამა თუ იმ საჭირობოროტო საკითხის გადაჭრა ან სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღება.

2.3 საქართველოს მრეწველობაში რეტროეკონომიკის დაძლევის ძირითადი მიმართულებები

ტერმინი რეტროეკონომიკა წარმოქმნილია ორი სიტყვის შერწყმის შედეგად. ეს სიტყვებია: „რეტრო“, რაც ლათინურად „უკან, წარსულიკენ მიჰყვრებილს“ ნიშნავს და „ეკონომიკა“. შესაბამისად, აღნიშნული ცნება გულისხმობს ჩამორჩენილ ტექნოლოგიაზე დაფუძნებულ ეკონომიკას. აქედან გამომდინარე, იმ ეკონომიკურ თეორიას, რომელიც ასახავს ეკონომიკის ტექნოლოგიურ ჩამორჩენას, თავისუფლად შეიძლება ეწოდოს რეტროეკონომიკის (პაპავა, 2016, გვ. 409; Papava, 2017a, pp. 455-462; Papava, 2017b; Папава, 2017, сс. 148-159).

ამრიგად, როდესაც საუბარია რეტროეკონომიკასა და მისთვის დამახასიათებელ ძირითად თვისებებზე, შეიძლება დაიბადოს შემდეგი რიტორიკული კითხვა: და მაინც, რაში მდგომარეობს რეტროეკონომიკასა და ნეკროეკონომიკას¹⁵ შორის ძირითადი იგივეობა/განსხვავება? დავიწყით იმით, რომ ორივე ტიპის (როგორც რეტრო, ისე – ნეკრო) ეკონომიკაში ინტენსიურად გამოიყენება მოძველებული ტექნოლოგიური საშუალებები. ეს კი, თავის მხრივ, უდავოდ უმთავრეს იგივეობად უნდა მივიჩნიოთ. რაც შეეხება განსხვავებას, ამ შემთხვევაში ნეკროეკონომიკის ფარგლებში არსებულ საწარმოებში „არსებული ტექნოლოგიური საშუალებები აბსოლუტურად არის მოძველებული, ხოლო რეტროეკონომიკის საწარმოებში – შედარებით მოძველებული“ (პაპავა, 2020ა, გვ. 343).

სანამ უშუალოდ საქართველოში რეტროეკონომიკის დაძლევის შესაძლო მექანიზმებზე საუბარს შევუდგებით, საწყის ეტაპზე მიზანშეწონილია

¹⁵ დეტალურად იხ. 2.2 პარაგრაფი.

საქართველოში არსებული მრეწველობის სექტორის ზოგად ტენდენციებთან დაკავშირებული სტატისტიკური მაჩვენებლების მიმოხილვა. ამრიგად, როგორც ეს უკვე ასახულია წინამდებარე ნაშრომის 2.2 პარაგრაფში (იხ. გრაფიკი 8), დამამუშავებელი მრეწველობის წილი მთლიანი სამამულო პროდუქტის სტრუქტურაში, 2019 წლის მონაცემების თანახმად, წარმოადგენს 10,4%-ს(საქსტატი, 2019ა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში იმ აქტიურ საწარმოთა რაოდენობა, რომელთა ძირითადი ეკონომიკური საქმიანობა დაკავშირებული იყო დამამუშავებელ მრეწველობასთან, 14,1 ათასით არის განსაზღვრული, რაც, თავის მხრივ, შეადგენს მთლიანი აქტიური საწარმოების რაოდენობის (185,7 ათასი)) 7,6%-ს (საქსტატი, 2020ა).

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განხორციელებული საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის თანახმად, მთლიანად მრეწველობის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა 2019 წელს 130 ათასით განისაზღვრა, რაც მთლიანად ბიზნესსექტორში დასაქმებულთა 17,2%-ს შეადგენს (საქსტატი, 2019ბ).

საქართველოს დამამუშავებელი მრეწველობის დეტალური ანალიზის ფარგლებში შემდეგი სახის ძირითადი ტენდენციები ვლინდება (ბენიძე, 2021, გვ.47-48):

- დამამუშავებელი მრეწველობის წილი მთლიან სამამულო პროდუქტში მკვეთრად ჩამორჩება მსგავსი ეკონომიკის მქონე ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს;
- დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში შრომის პროდუქტიულობა მზარდია. თუმცა, მიუხედავად ამისა, აღნიშნული ზრდის ტემპი ყოველწლიურად ნელდება. ეს კი, თავის მხრივ, სექტორში გარკვეული ცვლილებების განხორციელების აუცილებლობაზე მეტყველებს;
- დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში არსებული თვითური საშუალო ნომინალური ხელფასი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ეკონომიკის სხვა დარგებში არსებულ ხელფასს. ამასთან ერთად, არსებითი განსხვავებებია ქალებისა და მამაკაცების ხელფასს შორის;

- დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არის მცირე და ჩამორჩება ეკონომიკის სხვა დარგებში (ტრანსპორტი, ენერჯეტიკა, მშენებლობა და საფინანსო) განხორციელებულ ინვესტიციებს;
- დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების ზრდა არ ხასიათდება სტაბილურობით, რაც, თავის მხრივ, იმის ნიშანია, რომ ეს დარგი არ არის სრულად ფორმირებული;

დამამუშავებელი მრეწველობის დარგში შექმნილი პროდუქცია წარმოადგენს საქართველოს ექსპორტის უმთავრეს წყაროს, თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ექსპორტს ექვემდებარება დაბალტექნოლოგიებზე დაფუძნებული პროდუქცია, რაც ასევე დამახასიათებელია დაბალი ეკონომიკური განვითარების ქვეყნისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ დამამუშავებელი მრეწველობის დარგი პოტენციურად მიმზიდველი შეიძლება აღმოჩნდეს უცხოელი ინვესტორებისთვის. 2013-2019 წლებში დამამუშავებელ მრეწველობაში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მთლიანობაში 931 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც იმავე პერიოდში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 9%-ს წარმოადგენს (ბენიძე, 2021, გვ. 34).

საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით, 2019 წელს მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულების მოცულობამ 2,9 მლრდ. ლარი შეადგინა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში (იხ. ცხრილი 4) ნაჩვენებია მრეწველობის სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების მოცულობა ხუთწლიან (2015-2019) დინამიკაში (საქსტატი, 2019ვ):

დამატებული ღირებულების მოცულობა მრეწველობის სექტორში, ეკონომიკური
საქმიანობის სახეების მიხედვით, 2015-2016 წლებში (მლნ. ლარი)


	2015	2016	2017	2018	2019
სულ დამამუშავებელი მრეწველობა	2048,7	2068,3	2594,3	2816,6	2972,4
კვების პროდუქტის წარმოება	367,9	416,1	467,6	450,3	491,1
სასმელის წარმოება	432,5	524,7	630,6	643,9	728,9
თამბაქოს წარმოება	12,8	8,7	9,8	12,1	6,6
ტექსტილის წარმოება	7,1	8,1	12,2	12,4	10,4
ტანსაცმლის წარმოება	57,7	57,3	67,6	73,9	92,5
ტყავი და მასთან დაკავშირებული ნაწარმის წარმოება	11,3	6,2	4,5	2,9	4,0
ხისა და კორპის პროდუქციის წარმოება, ავეჯის გარდა. ნაკეთობების წარმოება ჩალა/ წნული მასალებისგან	38,7	27,9	32,8	40,4	39,5
ქაღალდისა და ქაღალდის ნაწარმის წარმოება	27,8	28,5	32,6	32,0	44,3
ბეჭდვა და მედიაჩანაწერების აღწარმოება	47,5	44,9	54,5	57,5	55,0
კოქსისა და ნავთობპროდუქტის წარმოება	3,1	3,7	4,1	6,0	8,4
ქიმიკატებისა და ქიმიური პროდუქტის წარმოება	157,2	87,3	157,1	159,7	137,0
ძირითადი ფარმაცევტული პროდუქტისა და ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება	54,0	70,1	93,6	97,9	112,3

	2015	2016	2017	2018	2019
რეზინისა და პლასტმასის ნაწარმის წარმოება	62,4	76,4	82,6	85,9	98,6
სხვა არალითონური მინერალური პროდუქტის წარმოება	237,8	319,5	286,1	315,3	409,6
ძირითადი ლითონების წარმოება	295,0	164,6	421,1	518,8	453,4
ლითონის მზა ნაწარმის წარმოება, მანქანებისა და მოწყობილობების გარდა	104,7	77,8	94,7	130,0	93,5
კომპიუტერების, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქციის წარმოება	1,3	1,1	0,7	1,7	0,6
ელექტრული მოწყობილობების წარმოება	15,2	13,6	25,3	23,6	25,6
მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	7,7	3,4	6,2	10,2	8,7
ავტოსატრანსპორტო საშუალებების, მისაბმელებისა და ნახევარმისაბმელების და სხვა სატრანსპორტო მოწყობილობების წარმოება	4,6	13,8	7,3	7,0	29,3
ავეჯის წარმოება	35,8	47,9	38,0	65,5	52,8
სხვა მზა ნაკეთობების წარმოება	4,8	5,3	7,5	9,4	14,1
მანქანებისა და მოწყობილობების რემონტი და დაყენება	61,9	61,5	57,8	60,2	56,2

რაც შეეხება საქართველოში მრეწველობის სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების მოცულობას უფრო ხანგრძლივ (2006-2019 წლები)

დროით მწკრივში, უნდა აღინიშნოს, რომ ის გარკვეულწილად მზარდი დინამიკით გამოირჩევა, რაც თვალნათლივ წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკში (იხ. გრაფიკი 9). ეს მონაცემები დამუშავებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ წარმოებული საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის შედეგების საფუძველზე (საქსტატი, 2019პ):

გრაფიკი 9



ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, თუ როგორია მრეწველობის სექტორში დაუკვირვებად ეკონომიკასთან დაკავშირებული მაჩვენებლები, კერძოდ:

- დაუკვირვებადი ეკონომიკის გამოშვების წილი ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში;

- მრეწველობის სექტორის დაუკვირვებადი დამატებული ღირებულების წილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში.

ამ მიზნით, ავტორის მიერ დამუშავებულ იქნა საქსტატის ეროვნული ანგარიშების შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებლები (იხ. ცხრილი 5) 2014-2018 წლების დინამიკაში¹⁶ (საქსტატი, 2018):

ცხრილი 5


**მრეწველობის სექტორში დაუკვირვებადი ეკონომიკის ძირითადი ტენდენციები
2014-2018 წლებში (%)**

	2014	2015	2016	2017	2018
დაუკვირვებადი ეკონომიკის გამოშვების წილი ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში	12,5%	14,6%	13,7%	13,0%	12,9%
დაუკვირვებადი დამატებული ღირებულების წილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში	12,9%	14,6%	15,4%	13,4%	13,5%

ქვემოთ მოცემული გრაფიკი (იხ. გრაფიკი 10) ნათლად ასახავს საქართველოს სამრეწველო პროდუქციით საგარეო ვაჭრობის ძირითად ტენდენციებს 2015-2019 წლებში (საქსტატი, 2019)¹⁷:

¹⁶ მონაცემები გამოთხოვილ იქნა საქსტატის ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტიდან.

¹⁷ მონაცემები გამოთხოვილ იქნა საქსტატის საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების დეპარტამენტიდან.



როგორც ზემოთ მოცემულ დიაგრამაში ჩანს, 2019 წელს საქართველოს სამრეწველო პროდუქციით საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ 11,0 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, საიდანაც 8,1 მლრდ. აშშ დოლარი იმპორტის, ხოლო 2,9 მლრდ. აშშ დოლარი ექსპორტის წილს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, 2019 წელს სამრეწველო პროდუქციით საგარეო ვაჭრობის სალდო უარყოფითი ნიშნით ხასიათდება და ის შეადგენს 5,2 მლრდ. აშშ დოლარს. უნდა აღნიშნოს, რომ 2019 წელს განხორციელებული სამრეწველო პროდუქციის იმპორტის თანხობრივი მოცულობა 2018 წლის ანალოგიური მაჩვენებლის იდენტურია, ხოლო ექსპორტი 2019 წელს, 2018 წელთან შედარებით 7,4%-ით არის გაზრდილი. სწორედ ამის

ხარჯზე მთლიანი სავაჭრო ბრუნვა 2019 წელს 2,7%-ით აღემატება 2018 წელს დაფიქსირებულ სამრეწველო პროდუქციის მთლიან სავაჭრო ბრუნვას.

საინტერესოა, თუ როგორია საქართველოს სამრეწველო პროდუქციით საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები სამრეწველო პროდუქციის ჯგუფების მიხედვით. ამ მიზნით ავტორის მიერ დამუშავებულ იქნა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის ის მონაცემები, რომლებიც ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების პროდუქციის კლასიფიკატორის (CPA 2008) თანახმად, განეკუთვნებოდა მრეწველობის დარგს (საქსტატი, 2020რ). ამისთვის საგარეო ვაჭრობაში გამოყენებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (HS 2012) შესაბამისი კოდები (საქსტატი, 2012) გადაყვანილ იქნა ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების პროდუქციის კლასიფიკატორის (CPA 2008) კოდებში, სპეციალურად მომზადებული გადაყვანის მეშვეობით. ყოველივე ამის შემდეგ განხორციელდა იმ სამრეწველო პროდუქციის იდენტიფიცირება თანხობრივი გამოსახულებით (აშშ დოლარი), რომლებიც დაფიქსირდა 2019 წელს საქართველოს მთლიანი საგარეო ვაჭრობის ფარგლებში (იხ. ცხრილი 6):

ცხრილი 6

საქართველოს მრეწველობის პროდუქციით საგარეო ვაჭრობა სამრეწველო პროდუქციის ჯგუფების მიხედვით 2019 წელს (მლნ, აშშ დოლარი)

პროდუქციის დასახელება (CPA 2008-ის მიხედვით, ორნიშნა დონეზე დაჯგუფებული ¹⁸)	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	სალდო
კვების პროდუქტი	925,2	177,2	747,9	-570,7
სასმელი	597,3	516,6	80,6	436,0
თამბაქოს პროდუქტი	195,4	70,0	125,5	-55,5
ტექსტილი	160,4	11,3	149,1	-137,8
ტანსაცმელი	335,0	107,2	227,8	-120,6

¹⁸ კლასიფიკატორის სტრუქტურის შესაბამისად, კლასიფიკატორის **სექციის** შემდეგ ყველაზე მსხვილი სტრუქტურული გაერთიანება.

პროდუქციის დასახელება (CPA 2008-ის მიხედვით, ორნიშნა დონეზე დაჯგუფებული ¹⁸)	ბრუნვა	ექსპორტი	იმპორტი	სალდო
ტყავი და ტყავის ნაწარმი	103,3	6,6	96,7	-90,1
მერქანი და მერქნისა და კორპის ნაწარმი, ავეჯის გარდა; ნაკეთობები ჩალისა და წნული მასალისგან	181,9	35,6	146,2	-110,6
ქალაქი და ქალაქის პროდუქტი	194,3	21,1	173,2	-152,1
კოქსი და რაფინირებული ნავთობპროდუქტი	884,1	16,8	867,3	-850,5
ძირითადი ქიმიური ნივთიერებები და ქიმიური პროდუქტი	713,8	182,6	531,2	-348,6
ძირითადი ფარმაცევტული პროდუქტი და ფარმაცევტული პრეპარატები	614,6	194,1	420,4	-226,3
რეზინისა და პლასტმასის ნაკეთობები	404,6	57,6	347,0	-289,4
სხვა არალითონური მინერალური პროდუქტი	333,0	29,6	303,4	-273,8
ძირითადი ლითონები	786,5	459,7	326,8	132,9
ლითონის მზა ნაწარმი, მანქანებისა და მოწყობილობების გარდა	342,8	25,8	317,0	-291,3
კომპიუტერები, ელექტრონული და ოპტიკური პროდუქცია	547,5	43,8	503,7	-459,9
ელექტრომოწყობილობები	437,9	36,1	401,8	-365,8
მანქანები და მოწყობილობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი	773,7	84,3	689,4	-605,2
ავტოსატრანსპორტო საშუალებები, მისაბმელები და ნახევარმისაბმელები	2154,1	789,5	1364,6	-575,0
სხვა სატრანსპორტო მოწყობილობები	73,1	29,5	43,5	-14,0
ავეჯი	113,3	3,2	110,1	-106,9
სხვა სამრეწველო საქონელი	183,1	37,4	145,6	-108,2

როგორც ცხრილი 6-დან ჩანს, დადებითი სალდო 2019 წელს განხორციელებულ მრეწველობის პროდუქციით საგარეო ვაჭრობაში მხოლოდ და მხოლოდ ორ პროდუქტთან მიმართებით ფიქსირდება. ესენია: სასმელები (436,0 მლნ. აშშ დოლარი) და ძირითადი ლითონები (132,9 მლნ. აშშ დოლარი). ყოველივე აღნიშნული მეტყველებს საქართველოში ამჟამად არსებული მრეწველობის სექტორის სუსტ განვითარებაზე. იმისათვის, რომ მოხდეს სამრეწველო პროდუქციით საგარეო ვაჭრობაში ექსპორტის ზრდა, საჭიროა შესაბამისი ხარისხის კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, წარმოების ძირითადი თანამედროვე საშუალებების დანერგვის, ინოვაციური პროდუქტების შექმნისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გზით. თუმცა ეს არ არის საკმარისი, რათა საქართველოში დაძლეულ იქნეს რეტროეკონომიკა. ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა ქვეყანაში გარკვეული კომპლექსური ღონისძიებების გატარება. ეს ღონისძიებები შეიძლება იყოს (პაპავა, 2020ა, გვ. 356-357):

- განათლების მთლიანი სისტემის ხელშეწყობა და გაძლიერება;
- საუნივერსიტეტო განათლების სრულყოფა;
- კომერციული ცოდნის ტრანსფერტის არხის განვითარება;
- შეღავათიანი საბანკო კრედიტის აღების ხელშეწყობა;
- ბაზრის არასიცოცხლისუნარიანი ფორმებისგან გათავისუფლება;
- გადახდისუნარო ფორმების სიცოცხლისუნარიანობის შეფასება;
- ჯანსაღი სამართლებრივი სივრცის შექმნა.

ამ ღონისძიებების განხორციელება წარმოუდგენელია თავად სახელმწიფოს შესაბამისი ნებისა და აქტიური ჩარევის გარეშე. სწორედ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს როგორც განათლების მთლიანი სისტემის, ასევე საუნივერსიტეტო განათლების ხარისხის ამაღლება და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება. საუნივერსიტეტო განათლების გაუმჯობესების ფარგლებში ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობაზე, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს კვლევითი პროექტების შექმნასა და მათ შემდგომ განვითარებას. გარდა ამისა, სახელმწიფომ, შესაბამისი დაინტერესების მქონე

ფირმების ოფიციალური მოთხოვნის საფუძველზე, უნდა განახორციელოს ახალი ტექნოლოგიის პატენტების შექმნა და შემდგომში მათი ამ ფირმებისთვის მიწოდება. სახელმწიფო უნდა იყოს დაინტერესებული, რომ ფირმებმა მოახერხონ თანამედროვე ტექნოლოგიების მოზიდვა და წარმოების გასავითარებლად შესაბამისი შეღავათიანი კრედიტის აღება. ასევე, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზისა და ჯანსაღი სამართლებრივი სივრცის შექმნა, რომლის ფაგლებშიც მოხდება ბაზრის გათავისუფლება არასიცოცხლისუნარიანი ფირმებისგან. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა გამახვილდეს კრედიტორის ინტერესებისა და არასიცოცხლისუნარიანი ფირმების დროულ ლიკვიდაციას შორის ბალანსის დაცვაზე (პაპავა, 2020ა, გვ. 356-357; Papava, 2017a; Papava 2017b).

როგორც რეტრო, ისე ნეკროეკონომიკას თავისი არსებობისთვის აუცილებლად ესაჭიროება სახელმწიფოს შესაბამისი მხარდაჭერა. თუმცა ამ მხარდაჭერითაც ვლინდება განსხვავება რეტროეკონომიკასა და ნეკროეკონომიკას შორის. კერძოდ, „ნეკროეკონომიკას ესაჭიროება სახელმწიფოს ხარჯზე არსებობა“. რაც შეეხება „რეტროეკონომიკას, მისი უმთავრესი მიზანია საერთაშორისო კონკურენციისგან ქვეყნის შიგნით არსებული ბაზრის დაცვა“ (პაპავა, 2020ა, გვ. 343), ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ რეტროეკონომიკის ერთ-ერთ უწინარეს დამახასიათებელ ნიშნად ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა უნდა მივიჩნიოთ (პაპავა, 2020ა, გვ. 343).

თავიანთი ეკონომიკის შესაქმენლად ღარიბი ქვეყნები აქტიურად იყენებდნენ და იყენებენ მოძველებულ ტექნოლოგიურ საშუალებებს. შესაბამისად, ყველა ამ ტიპის ქვეყანა მოკლებულა შესაძლებლობას, გაუჩნდეთ რეალური შანსი, გრძელვადიან პერიოდში მიაღწიონ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზრდას. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოძველებული ტექნიკის მეშვეობით პროდუქციის შექმნამ საწყის ეტაპზე შეიძლება წარმოშვას ილუზია, რომ ქვეყანაში ბიზნესგარემო ვითარდება, მაგრამ საერთაშორისო კონკურენციის დროს აშკარა ხდება, რომ ამ ტიპის სამრეწველო პროდუქციას წარმატების არავითარი შანსი არ გააჩნია. ამგვარად, დამკვიდრებული რეტროეკონომიკა განაპირობებს ეკონომიკის

ბუტაფორიულ ზრდას. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ უშუალოდ სახელმწიფოს როლი რეტროეკონომიკის დაძლევაში ფასდაუდებელია (Papava, 2017a; Papava, 2017b).

კანადელი ეკონომისტის, პიტერ ჰოვიტის მოსაზრებით, მოძველებულ ტექნოლოგიაზე დაფუძნებულმა რეტროეკონომიკამ საწყის ეტაპზე შესაძლოა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, თუნდაც შექმნილი უფრო მეტი დამატებული ღირებულებიდან გამომდინარე. თუმცა, მეორე მხრივ, დროის გრძელვადიან პერიოდში, ის ვეღარ ახერხებს მწარმოებლურობის საერთო დონის შენარჩუნებას, რომლის უწინარესი მიზეზია შექმნილი პროდუქციის/მომსახურების დაბალი ხარისხი და, აქედან გამომდინარე, ამ პროდუქციაზე/მომსახურებაზე საზოგადოებაში არსებული მოთხოვნების შემცირდება (Howitt, 2000, pp, 829-846). ჩემი აზრით, სწორედ ამის გამოა განპირობებული ის, რომ მიუხედავად საქართველოში მრეწველობის სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების მზარდი ტენდენციისა, მისი ეფექტი საგარეო ვაჭრობის მხრივ ძალიან დაბალია, რაც გამოიხატება კიდევ ექსპორტსა და იმპორტს შორის მაღალი უარყოფითი სალდოთი. ის პროდუქციაც კი, სადაც დადებითი სალდო ფიქსირდება (მეტწილად – სასმელი), შეიცავს დაბალ დამატებულ ღირებულებას და, შესაბამისად, ვერ შექმნის ამინდს საქართველოს ეკონომიკაში (იხ. ცხრილი 6).

ზოგიერთი ეკონომისტი მიიჩნევს, რომ ტექნოლოგიური ჩამორჩენა რიგ შემთხვევაში გარკვეული უპირატესობის მოპოვების საშუალებას იძლევა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, რადგან ახალი ტექნოლოგიური საშუალებების დანერგვა ისეთ ქვეყნებში, რომლებიც ეკონომიკურად ჩამორჩენილად მიიჩნევიან, გაცილებით მარტივია (მაგალითად, Глазьев, 2009 сс. 26-38). ამის უმთავრესი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ამ ტიპის ქვეყნებში ნაკლებად არის წარმოდგენილი მოძველებული ტექნოლოგიით შექმნილი კაპიტალი. ის ტექნოლოგიური საშუალებები, რომლებსაც განვითარებული ქვეყნები ნერგავენ ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში, შესაძლოა ამ

ქვეყნებისთვის ახალია, მაგრამ განვითარებული ქვეყნებისთვის მოძველებულად მიიჩნევა (პაპავა, 2018ა, გვ. 17).

როგორც ცნობილია, სხვადასხვა ქვეყანას შორის არსებობს გარკვეული განსხვავებები დაგროვებულ ცოდნასა და მისი პრაქტიკულად გამოყენების თვალსაზრისით. შესაბამისად, განსხვავდება ცოდნა და მისი გამოყენება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორისაც. ეს, თავის მხრივ, განაპირობებს მწარმოებლურობის დიფერენცირებასაც (მაგალითად, Parente, Prescott, 2000). ამრიგად, რეტროეკონომიკის შენარჩუნება შესაძლოა განვიხილოთ, როგორც ტექნოლოგიურად სხვის კმაყოფაზე ყოფნა, ან სხვა სიტყვებით, ტექნოლოგიურ ხაფანგში მოხვედრა (მაგალითად, Дементьев, 2006, сс. 17-32).

არასიცოცხლისუნარიანი ფირმების შენარჩუნება ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ზეგავლენის მქონე ჯგუფის მხარდაჭერით ხორციელდება. სამწუხაროდ, არ არსებობს ისეთი ჯგუფები, რომლებიც ჯერ არარსებული, ახალი დარგების თუ ფირმების ინტერესებს გაატარებდნენ (Anderson, 2004, p. 199). სხვა სიტყვებით რომ დავახასიათოთ, არასიცოცხლისუნარიან ფირმებს ან/და საწარმოებს ჰყავთ შესაბამისი ლობისტები, ხოლო ჯერ არშექმნილ დარგებს ან/და ფირმებს ასეთი სიძლიერის ლობისტი ვერ ეყოლება. ამ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავალია ის, თუ შესაქმნელი დარგების პოტენციური ლობისტი იქნება თავად სახელმწიფო (პაპავა, 2020ა, გვ. 354).

ზოგიერთი მეცნიერი (მაგალითად, Anderson, 2004, pp. 175-176) მიიჩნევს, რომ ამა თუ იმ ფირმის ან საწარმოს სიცოცხლისუნარიანობის მეტ-ნაკლები ობიექტურობით შეფასება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. კერძოდ, აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა, ერთმანეთს დეტალურად შეედაროს საწარმოს ან ფირმის ღირებულება და სალიკვიდაციო ღირებულება. ამ მიდგომის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში, თუ მოქმედი საწარმოს ღირებულება აღემატება სალიკვიდაციო ღირებულებას, ის ჩაითვლება სიცოცხლისუნარიანად. ზემოხსენებული სირთულე კი სწორედ ღირებულების განსაზღვრისას იჩენს თავს, რადგან საჭირო ხდება საწარმოს მომავალი შემოსავლებისა და ხარჯების შეფასებაც, რისი სათანადო სიზუსტით

განხორციელება საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს. გარდა ამისა, ასევე შესაფასებელია, თუ რა მოცულობის შემოსავლის მოზიდვა შეიძლება საწარმოს აქტივების გაყიდვიდან. იმისათვის, რომ ყოველივე აღნიშნული განხორციელდეს, აუცილებელია დეტალური ბიზნესგეგმისა და რეორგანიზაციის გეგმის შემუშავება (Anderson, 2004, pp. 175-176). შესაბამისად, საწარმოს გაკოტრების თაობაზე გადაწყვეტილების მიმღები პირები მეტწილად იხრებიან რეორგანიზაციისა და არა ლიკვიდაციის პროცედურების სასარგებლოდ (White, 2001, pp. 32). ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს ის გარემოებაც, რომლის მიხედვითაც, სიცოცხლის უნარის არმქონე საწარმოების შენარჩუნებას მხარს უჭერს შესაბამისი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ზეგავლენის მქონე სხვადასხვა ჯგუფი. სწორედ ამის გამო, ბაზარზე ადგილს ზომბი-რეტროსაწარმოები, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, ზომბი-ნეკროსაწარმოებიც ინარჩუნებენ (პაპავა, 2020ა, გვ. 354).

რეტროეკონომიკის ზომბირებისგან თავის არიდების ერთ-ერთ უწინარეს წინაპირობად კრედიტორთა ინტერესების დაცვასა და, იმავდროულად, არასიცოცხლისუნარიანი საწარმოების დროულ ლიკვიდაციას შორის ბალანსი შეიძლება მივიჩნიოთ. მეცნიერების ნაწილი ფიქრობს, რომ მსგავსი მიდგომა, თავის მხრივ, გააუმჯობესებს როგორც კონკურენტულ გარემოს ქვეყანაში, ასევე განაპირობებს შესაბამისი მოთხოვნების ზრდას ინოვაციურ პროდუქციაზე ან მომსახურებაზე (პაპავა, 2020ა, გვ. 355). ეს მიდგომა აგრეთვე იძლევა საშუალებას, ბაზარი გათავისუფლდეს ე.წ. არასიცოცხლისუნარიანი ფირმებისგან. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ კონკურენცია არა მხოლოდ უზრუნველყოფს ფირმების მიერ ინოვაციური პროდუქციის ან მომსახურების შექმნაზე ყურადღების გამახვილებას, არამედ ქმნის ისეთ გარემოებას, რომლის ფარგლებშიც თვითონ პოლიტიკოსები და შესაბამისი სახელმწიფო მოხელეები თავიანთი პოლიტიკით მხარს დაუჭერენ მეწარმეების ინტერესებს (Anderson, 2004, pp. 176-178).

საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, დაბალი ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნებში გადახდის უნარის გარეშე მყოფი საწარმოების სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივების საკითხი უწინარესად უნდა გადაწყდეს უშუალოდ საწარმოს მესაკუთრეებისა და კრედიტორებს შორის

რაციონალიზმზე დაფუძნებული შეთანხმების საფუძველზე, ხოლო სახელმწიფოს ჩარევა აღნიშნულ პროცესებში უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ იმ დროს, თუ მესაკუთრეები და კრედიტორები ერთმანეთთან სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ შეთანხმდებიან (Anderson, 2004, pp, 176-178). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებაზე დაყრდნობით (მაგალითად, Бубенко, Гусев, 2016, с. 82-92), ინოვაციების მნიშვნელობისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ განვითარებული იდეები ხშირ შემთხვევაში ვერანაირ ქმედით მხარდაჭერას ვერ ნახულობენ როგორც პოლიტიკოსების, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო მოხელის მხრიდან.

რეტროეკონომიკის დამღევაზე საუბრისას ასევე აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება. კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში წარმოებისთვის გამოიყენება ისეთი ტექნოლოგიური საშუალებები, რომლებიც უკვე მოძველებულად მიიჩნევა, თუმცა, მიუხედავად ამისა, მათ ჯერ კიდევ შესწევთ უნარი, აწარმოონ მეტ-ნაკლებად კონკურენტუნარიანი პროდუქცია (პაპავა, 2020ა, გვ. 342). რეტროეკონომიკის წარმატებით დასაძლევად აუცილებელია ტექნოლოგიური ჩამორჩენის მინიმალიზაცია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია საზოგადოებაში ეკონომიკური ოპტიმიზმის განცდის გაძლიერება, რისთვისაც უნდა იზრუნოს თავად სახელმწიფომ (Балацкий, 2010, сс. 3-20). ეკონომიკური ოპტიმიზმი განსაკუთრებით აუცილებელია ისეთ ქვეყნებში, სადაც შეინიშნება პოლიტიკური, სამართლებრივი და მაკროეკონომიკური არასტაბილურობა (Балацкий, 2012 сс. 48-63).

მეცნიერების გარკვეული ნაწილი რეტროეკონომიკაზე საუბრისას გარკვევით მიუთითებს ისეთ მოვლენაზე, რომელსაც ტექნოლოგიურ მახეს უწოდებენ (მაგალითად, Балацкий, 2003). ეს ტერმინი გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, რომლის მიხედვითაც, ფირმა ან/და საწარმო უპირატესობას ანიჭებს ნაკლებეფექტიან ტექნოლოგიურ საშუალებას, ვიდრე მაღალი ღირებულების თანამედროვე ტექნოლოგიას. შედეგად, იქმნება სათანადო ხარისხის (ანუ დაბალი ხარისხის) პროდუქცია, რომელიც, ცხადია, შესაბამისი ბაზრისთვის არის განკუთვნილი.

საყურადღებოა, რომ როგორც ევროკავშირის, ისე ყოფილი საბჭოთა კავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში განხორციელებული ინვესტიციების შედეგად შემოდის და შემოდის არა მარტო და არა იმდენად უახლესი, არამედ შედარებით მოძველებული (არცთუ იშვიათად – უკვე გამოყენებული) ტექნოლოგიები, რაც ხელს უწყობს ამ ქვეყნებში ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის შენარჩუნებას. ამგვარად კი, ყალიბდება და უფრო ღრმად იდგამს ფესვებს რეტროეკონომიკა (Papava, 2017a; 2017b; Папава, 2020, сс. 34-43).

მიმდინარე ნაშრომის 1.3 პარაგრაფში ჩვენ საუბარი გვქონდა ეკონომიკის წარმოების პროცესში ადამიანისეული ფაქტორის მნიშვნელობასა და თავისებურებებზე. მიუხედავად ამისა, ხსენებულ პარაგრაფში არ შევხებთ ისეთ ადამიანისეულ ფაქტორს, როგორცაა „Homo Soveticus“-ი. შესაბამისად, როდესაც ვსაუბრობთ საქართველოს მრეწველობაში რეტროეკონომიკის დაძლევის ძირითად მიმართულებებზე, არ უნდა გამოგვრჩეს ის ადამიანისეული თეორიული კონსტრუქტი, რომელიც დამახასიათებელი იყო საბჭოთა კავშირის, მაშასადამე, საქართველოს ეკონომიკისთვის. ამრიგად, „Homo Soveticus“-ი სხვა არაფერია, თუ არა საბჭოური ტიპის მბრძანებლური ეკონომიკის პირმშო. „Homo Soveticus“-ი შესაძლოა დახასიათდეს, როგორც სახელმწიფოს მიერ ჩაგრული და მთლიანად მასზე დამოკიდებული ადამიანისეული მოდელი. „Homo Soveticus“-ი სრულად სახელმწიფოზეა დამოკიდებული და აგრეთვე იმაზე, თუ რაოდენ მოწყალე იქნება ამა თუ იმ სახელმწიფო ბიუროკრატიულ აპარატში მომუშავე შესაბამისი მოხელე და რაოდენ დაუკმაყოფილებს მას არსებულ მოთხოვნებს.

რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საბაზრო ეკონომიკის რეალობის წინაშე „Homo Soveticus“-მა იცვალა თავისი ვიზუალური მხარე და გარდაიქმნა, ერთი შეხედვით, სულ სხვა ადამიანისეულ ფაქტორად, რომელსაც „Homo Transformativus“-იც შეიძლება ეწოდოს. თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ „Homo Soveticus“-ის მოდელის ფესვები მაინც ღრმად არის გამჯდარი მბრძანებლური ეკონომიკის წიაღში გავლილი საზოგადოებისთვის. ამ წიაღიდან თავის დაძვრენა საკმაოდ რთულად შესასრულებელ ამოცანას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ის მსოფლმხედველობა, რომელიც აუცილებელია საბაზრო ეკონომიკისთვის

ინოვაციური ეკონომიკის საწარმოებლად, ჯერ კიდევ არ არის საზოგადოებაში საფუძვლიანად გააზრებული (მაგალითად, პაპავა, 2020ა, გვ. 48-50; Papava, Khaduri, 1997, pp. 15-34).

ჩემი აზრით, საბჭოურ მბრძანებლურ ეკონომიკასთან ასოცირებული ადამიანისეული მოდელის – „Homo Sovieticus“-ის ბაზისის ზედნაშენი – „Homo Transformativus“-ი მიჩნეულ უნდა იქნეს იმ ბალასტად (სანაძე, 2021), რომელმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს საქართველოში სრულიად ახალი სახეობის ადამიანისეული ფაქტორის – „Homo High-Techicus“-ის წარმოქმნასა და მის დროულად გაძლიერებას¹⁹. თანამედროვე საქართველოსთვის დამახასიათებელია უკიდურესად ჩამორჩენილი ზრდის მოდელი. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომლის მიხედვითაც, რაც უნდა სამწუხაროდ ჟღერდეს, ეროვნული ინოვაციური სისტემა, პრაქტიკულად, ჩანასახის სტადიაშია. აქედან გამომდინარე, ასეთ შემთხვევაში არათუ ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებაზე, არამედ იმიტაციური, ანუ უკვე შექმნილი ტექნოლოგიების გადმოღება-გამოყენებაზეც კი ზედმეტია საუბარი. ჩამორჩენილი ზრდის მოდელი ხელს უწყობს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ერთმანეთისგან დაშორებას. ამ ტიპის მოდელის შემთხვევაში საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შრომატევადი და რესურსტევადი პროდუქციის წარმოებას (პაპავა, 2018ბ, გვ. 10-16).

ამრიგად, წინამდებარე პარაგრაფში თქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რეტროეკონომიკის დაძლევა თავად სახელმწიფოსთვის უნდა იყოს არსებითად მნიშვნელოვანი. შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა კარგად უნდა გაანალიზონ ის გარემოება, რომლის მიხედვითაც, ქვეყნის მთავრობის აქტიური ჩარევის (თუნდაც – საკანონმდებლო დონეზე) გარეშე წარმოუდგენელია მნიშვნელოვანი ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ მსგავსი ტიპის ცვლილებები ეფექტს იძლევა არა მოკლევადიან, არამედ საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში. გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ საქართველოში ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკისა და

¹⁹ დეტალურად იხ. 1.3 პარაგრაფი

შესაბამისი ღონისძიებების უმთავრეს ორიენტირს უნდა წარმოადგენდეს ტექნოლოგიური ჩამორჩენების დაძლევა. დღეს საქართველოში საკმაოდ ბევრია ისეთი ფირმა ან/და საწარმო, რომლებიც ქმნიან ნაკლებად მოთხოვნად ან მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის გაწევის შესაძლებლობას მოკლებულ პროდუქციას (იხ. ცხრილი 6), იმის გამო, რომ წარმოების პროცესს ახორციელებენ მოძველებული ტექნოლოგიით. იმ შემთხვევაში, თუ რეტროეკონომიკის დაძლევის პროცესი წარმატებით განვითარდება, ეს ერთმნიშვნელოვნად დადებითად აისახება საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე.

თავი 3. საქართველოს მრეწველობის ინოვაციური განვითარება

3.1 საქართველოს მრეწველობაში ინოვაციური ტექნოლოგიების მოზიდვის ეკონომიკური მექანიზმები

საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყანაში მრეწველობის სექტორის გაძლიერება. ეს კი, თავის მხრივ, აუცილებლად უნდა განხორციელდეს ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების მეშვეობით, რადგან მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ქვეყანაში ისეთი კონკურენტუნარიანი და, იმავე დროს, მაღალხარისხიანი პროდუქციის შექმნა, რომლის ექსპორტზე გატანაც შესაძლებელი იქნება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ქვეყანაში შესაბამისი ინოვაციური ტექნოლოგიების მოზიდვა.

საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებისთვის საჭირო გარემოს ხელშეწყობისთვის გარკვეული ინიციატივა განხორციელდა. მაგალითად, საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული 2014 წლის 17 ივნისის №400 დადგენილების ფარგლებში დამტკიცებული საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის („საქართველო 2020“) მიხედვით,

ქვეყანაში ეკონომიკური განვითარების მისაღწევად საჭირო იყო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა ინოვაციებისა და მეწარმეობასთან დაკავშირებული უნარების გაძლიერების და ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესების ხელშეწყობით. ნიშანდობლივია, რომ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება და მათი მხარდაჭერა აღნიშნულ სტრატეგიაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა (საქართველოს მთავრობა, 2014, გვ. 7-16).

გარდა ზემოთქმულისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიით („საქართველო 2020“) ასევე გათვალისწინებული იყო კვლევებისა და დამუშავებების (R&D) მიმართულებით ინვესტიციების მოზიდვა და, ზოგადად, აღნიშნული სექტორის კომერციალიზაცია. გარდა ამისა, ასევე დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობას და ქართული საწარმოების ტექნოლოგიურ მოდერნიზაციას. ეს კი, თავის მხრივ, მომავალში განაპირობებდა როგორც ექსპორტის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას, ასევე მწარმოებლურობის ზრდას (საქართველოს მთავრობა, 2014, გვ. 105). საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას ოფიციალურად 2020 წლის დასასრულს ისე გაუვიდა ვადა, რომ ამ დოკუმენტით გათვალისწინებული დავალებები, პრაქტიკულად, არ შესრულებულა (პაპავა, 2017, გვ. 6). ნაცვლად იმისა, რომ შემუშავებულიყო ხსენებულ დოკუმენტში წარმოდგენილი მიზნების მისაღწევი შესაბამისი დეტალური სამოქმედო გეგმა, ის შემდგომში ჩანაცვლდა მარტივი ე.წ. 4-პუნქტიანი გეგმით, რომლის განხორციელება ნამდვილად ვერ მოუტანდა ქვეყანას ისეთ სარგებელს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა სამომხმარებლო ტიპის ეკონომიკიდან მწარმოებელ ეკონომიკაზე გადასვლა (პაპავა, 2017, გვ. 19).

საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაში დღეს არსებული პრიორიტეტები საჭიროებენ ძირეულ ცვლილებებს. კერძოდ, უმთავრესი აქცენტი გასაკეთებელია ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ხელშეწყობასა და განვითარებაზე. თავის მხრივ, ეს მიდგომა მხოლოდ მაშინ იქნება რეალიზებული, თუ ქვეყნის გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის ამოსავალ წერტილად გადაიქცევა როგორც განათლებისა და მეცნიერების, ასევე ეკონომიკის რეალური სექტორის

განვითარება-ხელშეწყობა. აქედან გამომდინარე, ძალიან სამწუხაროა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგია „საქართველო 2020“ დავიწყებასაა მიცემული (პაპავა, 2018გ).

ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია („საქართველო 2020“) მართებულ დოკუმენტს წარმოადგენდა. მიუხედავად ვადის გასვლისა, ამ დოკუმენტში გათვალისწინებული პუნქტები დღესაც აქტუალურია. ჩემი აზრით, საჭიროა აღნიშნული დოკუმენტის კვლავ წამოწევა, განახლება და, რაც ყველაზე მთავარია, შესამუშავებელია ამ სტრატეგიის შესატყვისი ყოველწლიური სამოქმედო გეგმები. ამასთან ერთად, დოკუმენტში გათვალისწინებული პუნქტების შესრულებისათვის აუცილებლად გასატარებელი იქნება პერიოდული მონიტორინგისა და შეფასების (M&E) პროცედურები. ჩემი აზრით, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ძნელად დასახელდება ამაზე სრულყოფილი დოკუმენტი, რომლის მიზანი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის განვითარება იქნებოდა. აქედან გამომდინარე, ამ მიმართულებით საჭიროა შესაბამისი ძალისხმევა, რათა საქართველომ გაიაროს მრეწველობის განვითარების ის ეტაპები, რომლებიც მანამდე, ევროკავშირში გაწევრიანებამდე, გაიმოიარეს ევროკავშირის პოსტკომუნისტურმა ქვეყნებმა (პაპავა, 2018ბ, გვ. 15-17).

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ხსენებული საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია ამ ეტაპზე შეჩერებულია, მასში წარმოდგენილი საკითხები არ კარგავენ თავიანთ აქტუალურობას არსებულ რეალობასთან მიმართებით. შესაბამისად, ქვეყანაში ინოვაციური ტექნოლოგიების მოზიდვისათვის აუცილებელია მთელი რიგი მოსამზადებელი ღონისძიებების გატარება. კერძოდ, აღნიშნული სტრატეგიის მიხედვით, ეს ღონისძიებები შეიძლება იყოს (საქართველოს მთავრობა, 2014, გვ. 40-48):

- კვლევებისა და განვითარების სექტორისთვის ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება;
- კვლევებისა და განვითარების სექტორის კომერციალიზაციის ხელშეწყობა;

- ინოვაციისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება;
- ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებების დაცვის ხელშეწყობა;
- ICT ტექნოლოგიების მაქსიმალურად ფართოდ გამოყენება ეკონომიკაში და მისი შემდგომი განვითარების ხელშეწყობა;
- თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა.

სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას ქვეყანაში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მოზიდვა და დანერგვა უნდა წარმოადგენდეს. განსაკუთრებული ყურადღება გასამახვილებელია სამრეწველო პროექტებზე. აღსანიშნავია, რომ კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაძლიერების მიზნით, აუცილებელია ხელი შეეწყოს ისეთი მიმართულებების დაფინანსებასა და განვითარებას, როგორებიცაა კვლევები და დამუშავებები. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ სექტორის კომერციალიზაცია დაეხმარება ისეთი მიმართულებების ურთიერთთანამშრომლობას, როგორებიცაა ბიზნესსექტორი და განათლება. ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების თვალსაზრისით, აუცილებელია აგრეთვე იმ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოძიება და, რაც მთავარია, მათი შემოდინების შესაბამისი ხელშეწყობა, რომელთა მთავარი პრიორიტეტია მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვა (საქართველოს მთავრობა, 2014, გვ. 40-48). თუმცა, ჩემი აზრით, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვეყანაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარება და მისი ხელშეწყობა საქართველოში ინოვაციური ტექნოლოგიების მოზიდვის უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს. შესაბამისი ცოდნის გარეშე წარმოუდგენელი იქნება ინოვაციური მაღალტექნოლოგიური პროდუქციის შექმნა. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო კვლავ დამოკიდებული იქნება იმპორტულ საქონელზე.

გარდა ზემოთქმულისა, ჩემი აზრით, ასევე აუცილებელია, დაწესდეს გარკვეული შეღავათები (მაგალითად, საგადასახადო) იმ საწარმოებისთვის, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან მაღალტექნოლოგიური ინოვაციური

პროდუქტის ან/და მომსახურების შექმნაზე. აქვე, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, თუ რას გულისხმობს საკუთრივ ინოვაციის ცნების განმარტება. იმისათვის, რომ სიღრმისეულად გავიგოთ ამ ცნების არსი, საჭიროა, მოვიშველიოთ OECD-ის (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც, ინოვაცია აერთიანებს სხვადასხვაგვარ ქვეცნებებს (სხვა სიტყვებით, მოდელებს), ისეთებს, როგორებიცაა: პროდუქციის ინოვაცია, პროცესის ინოვაცია, სისტემის ინოვაცია და ა.შ. (OECD, 2018, pp. 20-21). ინოვაციური მოდელების განვითარება მცირე და საშუალო ბიზნესის გაძლიერების ეფექტიან საშუალებად არის მიჩნეული (Petrescu, Rus, Negrușă, 2014, pp. 596-603).

OECD-ის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, არსებობს ინოვაციის სხვადასხვა მოდელი. სათითაოდ განვიხილოთ ისინი (OECD, 2018, pp. 20-23):

- **პროდუქციის ინოვაცია** – გულისხმობს ბაზრისთვის როგორც სრულიად ახალი, ასევე მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტის ან მომსახურების შეთავაზებას;
- **პროცესის ინოვაცია** – გულისხმობს სრულიად ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული წარმოების პროცესის, პროდუქციის დისტრიბუციის მეთოდის ან საქონლისა და მომსახურების მხარდაჭერის (support) საშუალებების დანერგვას;
- **მარკეტინგული ინოვაცია** – მეტწილად გულისხმობს როგორც სრულიად ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული შეფუთვის მეთოდების შექმნასა და დანერგვას, ასევე რეკლამისა და პროდუქციის განთავსების ახალ მეთოდებს;
- **სისტემის ინოვაცია** – გულისხმობს საწარმოში იმ სრულიად ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული მიდგომების შექმნასა და დანერგვას, რომლებიც ხელს შეუწყობენ როგორც საქონლის, ასევე მომსახურების ხარისხის ან სამუშაო პროცესების ეფექტიანობის გაუმჯობესებას.

საქართველოს დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ჩემი აზრით, საჭიროა ყველა ამ ზემოთ ჩამოთვლილი მოდელის ადაპტირება და მათი სამრეწველო სექტორზე მორგება. საქართველოში ინოვაციური ტექნოლოგიების მოზიდვაზე საუბრისას მიზანშეწონილია, მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილდეს აგრეთვე ისეთ თანამედროვე მიმართულებაზე, როგორც არის ე.წ. „ხელოვნური ინტელექტი“, რომელიც დღევანდელ მსოფლიოში მოწინავე ტენდენციადაც მოიხსენება (ბოძაშვილი, 2021, გვ. 11-12). ჩემი აზრით, ხელოვნური ინტელექტის ფართოდ გავრცელება შესაძლებელია საქართველოს პარტნიორი განვითარებული ეკონომიკისა და ტექნოლოგიების მქონე ქვეყნების დახმარებით.

მაღალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობის განსაზღვრა ხორციელდება ევროსტატის შესაბამისი მეთოდოლოგიის მეშვეობით (EUROSTAT, 2020). აღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, ტექნოლოგიური თვალსაზრისით, მრეწველობა შეიძლება დაიყოს ოთხ კატეგორიად. ესენია:

- მაღალტექნოლოგიური (High-Technology) მრეწველობა;
- საშუალო მაღალტექნოლოგიური (Medium-Hightechnology) მრეწველობა;
- საშუალო დაბალტექნოლოგიური (Medium-Lowtechnology) მრეწველობა;
- დაბალტექნოლოგიური (Low-Technology) მრეწველობა.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, თუ რომელი ეკონომიკური საქმიანობების სახეობები მოიაზრება ზემოთ ჩამოთვლ კატეგორიებში, ეკონომიკურ საქმიანობათა სახეობების კლასიფიკატორის (საქსტატი, 2016) მიხედვით. ამრიგად, ევროსტატის მეთოდოლოგიის თანახმად, მრეწველობის ტექნოლოგიურ კატეგორიებში ეკონომიკური საქმიანობები შემდეგნაირად არის განაწილებული (EUROSTAT, 2020):

➤ **მაღალტექნოლოგიური მრეწველობა:**

- ძირითადი ფარმაცევტული პროდუქტისა და ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება;
- კომპიუტერის (სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციის ჩათვლით), ელექტრონული და ოპტიკური პროდუქციის წარმოება.

➤ **საშუალო მაღალტექნოლოგიური მრეწველობა:**

- ქიმიური პროდუქტის წარმოება;
- ელექტრონული საშუალებების წარმოება;
- მანქანური აღჭურვილობის წარმოება;
- ავტომობილების, მისაბმელიანი და ნახევრად მისაბმელიანი ავტომობილების წარმოება;
- სხვა ტრანსპორტისა და მათი აღჭურვილობის წარმოება.

➤ **საშუალო დაბალტექნოლოგიური მრეწველობა:**

- კოქსისა და დახვეწილი ნავთობპროდუქტის წარმოება;
- რეზინისა და პლასტმასის ნაწარმის წარმოება;
- სხვა არალითონური მინერალის წარმოება;
- ძირითადი ლითონების წარმოება;
- ნაწარმის წარმოება;
- მანქანები და მოწყობილობა;
- მანქანებისა და მოწყობილობების შეკეთება და მონტაჟი.

➤ **დაბალტექნოლოგიური მრეწველობა:**


- კვების პროდუქტის, სასმელის, თამბაქოს ნაწარმის, ტექსტილის, ტანსაცმლის, ტყავის წარმოება;
- ხისა და ხის პროდუქტების წარმოება;
- ქაღალდისა და ქაღალდის ნაწარმის წარმოება,
- ბეჭდვა და ჩაწერილი მედიის რეპროდუქცია;
- ავეჯის წარმოება.

ტექნოლოგიური ინოვაცია იძლევა საშუალებას, რომ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებმა განახორციელონ საწარმო პროცესის უკეთ ავტომატიზება, სხვადასხვა მარკეტინგული აქტივობა და ა.შ. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ მეწარმეებს უჩნდებათ მნიშვნელოვანი ინოვაციური იდეები. ისინი ახორციელებენ ბაზრის კვლევას და მიღებული შედეგების საფუძველზე აუმჯობესებენ პროდუქციასა და მომსახურებას. აღსანიშნავია, რომ ისეთ ქვეყნებში, როგორებიც არიან, მაგალითად, გერმანია, ფინეთი, იტალია, მცირე და საშუალო


ბიზნესები მთავრობისგან იღებენ გარკვეულ თანადაფინანსებას ინოვაციური პროექტების დასაწერგავად (Crespi, Zuniga, 2010, pp.40).

წინამდებარე პარაგრაფში ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, საინტერესოა, როგორია ევროსტატის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით, საქართველოში მრეწველობის სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულების დინამიკა 2019-2016 წლებში. აღნიშნული მონაცემები (იხ. გრაფიკი 10) დამუშავებულია ამ ნაშრომის ავტორის მიერ, საქსტატის ორგანიზებით განხორციელებული საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის მონაცემთა ბაზის ანალიზის საფუძველზე (საქსტატი, 2020პ):

გრაფიკი 10



როგორც გრაფიკი 10-დან ჩანს, საქართველოში მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულების უდიდესი ნაწილი ორ კატეგორიას – საშუალო დაბალ და დაბალ ტექნოლოგიებს მოიცავს. 2019 წელს მაღალ ტექნოლოგიებში შექმნილი დამატებული ღირებულება 113 მლნ. ლარს შეადგენდა (13,3%-ით მეტი, ვიდრე 2018 წელს). რაც შეეხება საშუალო მაღალ ტექნოლოგიებს, ამ კატეგორიაში შექმნილი დამატებული ღირებულება 2019 წელს დაახლოებით 201 მლნ. ლარით განისაზღვრა, ეს კი 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით უმნიშვნელოდ არის გაზრდილი (დაახლოებით ნახევარი მილიონი ლარით). ასევე უმნიშვნელოდ განსხვავდება 2019 და 2018 წლებში საშუალო დაბალი ტექნოლოგიების კატეგორიებში შექმნილი დამატებული ღირებულება. რაც შეეხება დაბალ ტექნოლოგიებში შექმნილ დამატებულ ღირებულებას, 2019 წლის მაჩვენებელი, 2018 წელთან შედარებით, 9,9%-ით არის მომატებული. ტექნოლოგიების კატეგორიებში შექმნილი დამატებული ღირებულების უკეთ შესაფასებლად ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს მათი პროცენტული განაწილების დინამიკის ანალიზი 2016-2019 წლებში (იხ. დიაგრამა 2). აღნიშნული მონაცემები დამუშავებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) ორგანიზებით განხორციელებული საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის მონაცემთა ბაზის ანალიზის საფუძველზე (საქსტატი, 2020პ):



როგორც დიაგრამა 2-დან ჩანს, დაბალ ტექნოლოგიებში შექმნილი დამატებული ღირებულების წილი 2016-2019 წლებში არასოდეს ჩამოსულა 50%-ზე დაბლა. რაც შეეხება საშუალო დაბალ ტექნოლოგიებს, ამ შემთხვევაში წილი 32-38%-ს შორის მერყეობს. აღნიშნული დიაგრამა მიგვანიშნებს, რომ საქართველოს მრეწველობის სექტორი ხშირ შემთხვევაში ეფუძნება დაბალ ან საშუალო დაბალ ტექნოლოგიებს, რაზეც მეტყველებს ის გარემოება, რომლის მიხედვითაც, 2019 წელს ამ კატეგორიაში შექმნილი დამატებული ღირებულების ჯამური წილი 89,3%-ით არის განსაზღვრული, ხოლო 2018 წელს – 89,1%-ით. ანალოგიური მაჩვენებელი 2017 წელს – 88,5%-ს შეადგენს, 2016 წელს კი – 90,6%-ს. საგულისხმოა, რომ საშუალო მაღალტექნოლოგიურ კატეგორიაში შექმნილი დამატებული ღირებულების წილი არასდროს ყოფილა 8%. ამ მიმართულებით ყველაზე მაღალი ნიშნული – 7,7% ფიქსირდება 2017 წელს, ხოლო 2019 წელს ეს მაჩვენებელი სულ

რაც 6,9%-ით არის განსაზღვრული. რაც შეეხება მაღალი ტექნოლოგიების კატეგორიაში შექმნილი დამატებული ღირებულების წილს, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 3,9% დაფიქსირდა 2019 წელს, ხოლო ყველაზე დაბალი – 3,5% 2016 წელს (დეტალურად იხ. დიაგრამა 2).

საინტერესოა, როგორი ტენდენციით ხასიათდება იგივე სამრეწველო ტექნოლოგიური კატეგორიები საგარეო ვაჭრობის თვალსაზრისით (იხ. ცხრილი 7). ამ მიზნის მისაღწევად ავტორის მიერ საგარეო ვაჭრობაში გამოყენებული საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის (HS 2012) შესაბამისი კოდები (საქსტატი, 2012) გადაყვანილ იქნა ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების პროდუქციის კლასიფიკატორის (CPA 2008) კოდებში საგანგებოდ მომზადებული გადამყვანის მეშვეობით.

ცხრილი 7

სამრეწველო პროდუქციით საგარეო ვაჭრობა ტექნოლოგიური კატეგორიების მიხედვით 2016-2019 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)

		2016	2017	2018	2019
ბრუნვა	მაღალი ტექნოლოგია	946,2	1 094,6	1 155,9	1 162,0
	საშუალო მაღალი ტექნოლოგია	2 562,6	2 764,6	3 583,4	4 152,5
	საშუალო დაბალი ტექნოლოგია	723,7	963,1	1 020,0	1 016,3
	დაბალი ტექნოლოგია	2 407,7	2 704,6	3 081,4	2 989,0
		2016	2017	2018	2019
იმპორტი	მაღალი ტექნოლოგია	810,3	917,3	964,1	924,0
	საშუალო მაღალი ტექნოლოგია	2 219,3	2 264,4	2 812,4	3 030,5
	საშუალო დაბალი ტექნოლოგია	1 721,4	1 916,8	2 259,2	2 161,5
	დაბალი ტექნოლოგია	1 674,2	1 862,1	2 051,0	2 002,7
		2016	2017	2018	2019
ექსპორტი	მაღალი ტექნოლოგია	135,8	177,3	191,7	237,9
	საშუალო მაღალი ტექნოლოგია	343,2	500,2	771,0	1 122,0
	საშუალო დაბალი ტექნოლოგია	364,6	590,6	671,9	589,4

		2016	2017	2018	2019
	დაბალი ტექნოლოგია	733,4	842,5	1,030,4	986,2
		2016	2017	2018	2019
საღდო	მაღალი ტექნოლოგია	-674,4	-739,9	-772,4	-686,1
	საშუალო მაღალი ტექნოლოგია	-1 876,1	-1 764,2	-2 041,3	-1 908,5
	საშუალო დაბალი ტექნოლოგია	-1 356,8	-1 326,2	-1 587,2	-1 572,1
	დაბალი ტექნოლოგია	-940,8	-1 019,5	-1 020,7	-1 016,5

როგორც ცხრილი 7-დან ჩანს, საქართველოს საგარეო ვაჭრობის თვალსაზრისით, ოთხივე ტექნოლოგიურ კატეგორიაში უარყოფითი საღდო ფიქსირდება. საინტერესოა ასევე ის გარემოებაც, რომლის მიხედვითაც, 2019 წელს საქართველოში იმპორტირებული ტექნოლოგიური კატეგორიების 51,3% საშუალო დაბალ და დაბალ ტექნოლოგიებზეა განაწილებული. რაც შეეხება მაღალ ტექნოლოგიებს, ამ შემთხვევაში იმპორტის წილი 11,4%-ით არის წარმოდგენილი. ეს ტენდენცია მეტ-ნაკლები ერთგვაროვნებით ხასიათდება წინა პერიოდებშიც (იგულისხმება 2018-2016 წლები). რაც შეეხება იმას, რომ 2019 წელს საშუალო მაღალტექნოლოგიური კატეგორიის ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2018-2016 წლებთან შედარებით, უწინარესად, გამოწვეულია საავტომობილო საშუალებების რეექსპორტის მოცულობის ზრდით. მთლიანობაში, ცხრილ 7-ში ნაჩვენები უარყოფითი საღდო, მათ შორის, დაბალი ტექნოლოგიების კატეგორიაშიც, ცალსახად მიუთითებს საქართველოს სამრეწველო სექტორის სისუსტეზე.

დავუბრუნდეთ საქართველოს მრეწველობაში ინოვაციური ტექნოლოგიების მოზიდვის ძირითადი ეკონომიკური მექანიზმების საკითხს. რა თქმა უნდა, აქვე გარკვევით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ქვეყანაში მაღალტექნოლოგიური პროდუქტის წარმოება იმავდროულად არ გამორიცხავს ისეთი მრეწველობის არსებობას, რომელიც დაკავშირებულია დაბალ ტექნოლოგიებთან. ის ქვეყნები, რომლებიც აწარმოებენ მაღალ ტექნოლოგიებს, უარს არ ამბობენ დაბალტექნოლოგიური პროდუქციის (მაგალითად, კვების მრეწველობა)

წარმოებაზე (პაპავა, 2018ა, გვ. 39). საგულისხმოა ისიც, რომ ქვეყანა ორიენტირებული უნდა იყოს ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე, რომლის ფარგლებში ასევე პრესტიჟული იქნება სამეცნიერო საქმიანობა, განსაკუთრებით – ზუსტი, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული დარგები. ყოველივე ამის გარეშე შეუძლებელია, საქართველო გახდეს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანა (პაპავა, 2018გ). ჩემი აზრით, ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ იდეებზე, რომლებიც დაკავშირებული იქნება მაღალტექნოლოგიური ინოვაციური პროდუქტის ან მომსახურების წარმოებასთან. ასეთი პროექტების განხორციელების წახალისებაში სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობა აუცილებელია. საგულისხმოა, რომ განსაკუთრებით COVID-19 ახალი კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი დადი დაასვა ტრადიციულ ეკონომიკურ მიდგომებს (Frankel, 2020a). აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, პოსტკორონალურ ეპოქაში მაღალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ინოვაციური იდეების ღირებულება საგრძნობლად უნდა გაიზარდოს როგორც მსოფლიოში, ასევე – საქართველოში.

ამრიგად, საქართველოს სამრეწველო სექტორსა და, ზოგადად, საქართველოს ეკონომიკაში ინოვაციური ტექნოლოგიების მოზიდვა და მათი გამოყენება არის იმის უმთავრესი წინაპირობა, რომ ქვეყანაში შეიქმნას კონკურენტუნარიანი, საზოგადოებაში არსებული მოთხოვნების შესაბამისი პროდუქცია. ინოვაციური ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა განაპირობებს ქვეყნის რეტროეკონომიკის წიაღიდან თავის დაღწევას. ეს კი, თავის მხრივ, საბოლოოდ დადებითად აისახება საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობაზეც. ინოვაციური პროექტების განხორციელებისას უმთავრესი ყურადღება უნდა გამახვილდეს მაღალტექნოლოგიური და საშუალო მაღალტექნოლოგიური მრეწველობის განვითარებაზე. ჩემი აზრით, ღვინისა და მინერალური სასმელის წარმოება და მათი ექსპორტი ნამდვილად არ არის ცუდი, თუმცა მხოლოდ ეს მიმართულება ქვეყნის ეკონომიკას ვერ განავითარებს. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა, მრეწველობაში გაიზარდოს ცოდნაზე დაფუძნებული და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი პროდუქციის წილი, რაც შეუძლებელია

ქვეყნის ხელისუფლების შესაბამისი ნებისა და მხარდაჭერის გარეშე. ამასთან, კარგი იქნება, თუ გადაწყვეტილების მიმღები პირები გაატარებენ ყველა შესაბამის ღონისძიებას, რათა საქართველო გახდეს ინოვაციური მაღალი ტექნოლოგიების ჰაბი რეგიონში.

3.2 საქართველოს მრეწველობის განვითარების პერსპექტივები 2030 წლამდე


(პესიმისტური, რეალისტური და ოპტიმისტური სცენარები)

COVID-19 ახალი კორონავირუსის პანდემიამ გამოიწვია ის გლობალური ეკონომიკური კრიზისი, რომელსაც კორონომიკური კრიზისის სახელითაც მოიხსენებენ. უნდა აღინიშნოს, რომ კრიზისის დაძლევა მჭიდროდ უკავშირდება მედიცინის სფეროში არსებულ შესაბამის სამეცნიერო მიღწევებს. აქედან გამომდინარე, სწორედ მედიცინის სფეროში უნდა შეიქმნას ის ეფექტიანი საშუალებები, რომლებიც ქვეყნებს დაეხმარება პანდემიით გამოწვეული კრიზისის დაძლევაში (Papava, Charaia, 2021, p. 10).

სანამ ვისაუბრებთ უშუალოდ საქართველოს მრეწველობის პერსპექტივებზე 2030 წლამდე პერიოდში, საწყის ეტაპზე მიზანშეწონილად მიმაჩნია აღნიშნული სექტორის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების ზოგადი მიმოხილვა. ამრიგად, COVID-19 ახალი კორონავირუსის პანდემიამ თავისი უარყოფითი გავლენა, მსგავსად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკისა, საქართველოს ეკონომიკაზეც მოახდინა. სამრეწველო სექტორი საქართველოში, მიუხედავად თავისი სუსტი განვითარებისა, COVID-19 ახალი კორონავირუსის პანდემიური პროცესების გავრცელებამდე გარკვეული ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. ამის შესახებ მეტყველებს საქართველოს შესაბამისი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებიც. COVID-19 ახალი კორონავირუსის პანდემიის გავრცელების შესუსტების მიზნით, ქვეყნის ხელისუფლების მიერ შემოღებულმა შეზღუდვებმა

საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულებაზე, მათ შორის, მრეწველობაზე, მნიშვნელოვანი უარყოფითი ეფექტი მოახდინა (Kakulia, Kapanadze, 2020, pp. 19-28), აღნიშნული ტენდენციები, თავის მხრივ, კიდევ უფრო თვალსაჩინოდ წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 3), რომელიც შედგენილია ავტორის მიერ, საქსტატის ეროვნული ანგარიშების მონაცემებზე დაყრდნობით (საქსტატი, 2019ბ, 2019გ, 2019დ, 2019ე, 2019ვ, 2019ზ, 2019თ, 2019ი, 2019კ, 2019ლ, 2019მ, 2020გ, 2020დ, 2020ე, 2020ვ, 2020ზ, 2020თ, 2020ი, 2020კ, 2020ლ, 2020მ, 2020ნ, 2020ო, 2021ა):


დიაგრამა 3



როგორც დიაგრამა 3-დან ჩანს, თუ არ ჩავთვლით 2020 წლის იანვარსა და თებერვალს, ყოველთვიური რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტი კლების

ტენდენციით ხასიათდება, რომლის ყველაზე დაბალი ნიშნული 2020 წლის აპრილში ფიქსირდება (16,6%). გარდა ამისა, ასევე ძალიან დაბალია მომდევნო, მაისის მაჩვენებელი, რომელიც 13,5%-ით განისაზღვრება. შემდგომ პერიოდებში, როდესაც უკვე COVID-19 ახალ კორონავირუსთან დაკავშირებული შეზღუდვები შესუსტდა, რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტის კლების ტენდენცია თანდათან მცირდება და ყველაზე საუკეთესო (მაღალ) ნიშნულს – 0,7%-ს აღწევს სექტემბერში. რაც შეეხება 2020 წლის ბოლო სამ თვეს (ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი), ანუ პერიოდს, როდესაც კვლავ დაწესდა ახალი შეზღუდვები, კლების ტენდენცია გაგრძელდა და საშუალოდ ბოლო სამ თვეში 6,5% შეადგინა.


საქართველოს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მრეწველობის სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობა 2006-2019 წლებში გარკვეული მზარდი დინამიკით ხასიათდებოდა (საქსტატი, 2019წ), რაც თვალსაჩინოდ წარმოდგენილია ავტორის მიერ შედგენილ ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე (იხ. გრაფიკი 11):



როგორც გრაფიკი 11-დან ჩანს, 2019 წელს მრეწველობის სექტორის მთლიანი ბრუნვა 15,0 მლრდ. ლარით იყო განსაზღვრული. ეს, თავის მხრივ, 11,1%-ით აღემატებოდა 2018 წლის, ხოლო 21,2%-ით 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. რაც შეეხება მრეწველობის სექტორში შექმნილი პროდუქციის გამოშვების მოცულობას (ღირებულებით გამოსახულებაში), ამ მაჩვენებელმა 2019 წელს 13,1 მლრდ. ლარი შეადგინა, რაც, თავის მხრივ, 11,2%-ით მეტია 2018 წლის პროდუქციის გამოშვების მოცულობასთან შედარებით (საქსტატი, 2019წ). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „პროდუქციის გამოშვება“, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბიზნესსტატისტიკის მეთოდოლოგიის შესაბამისად, განიმარტება, როგორც „საწარმოს მიერ ფაქტობრივად წარმოებული პროდუქციის რაოდენობა და რეალიზებული პროდუქციის მოცულობა, გადაყიდვის მიზნით შექმნილი საქონლის, ასევე მომსახურებისა და მატერიალური (საბრუნავი) საშუალებების მარაგების ცვლილების ჩათვლით“ (საქსტატი, 2020ბ).

საქართველოს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მრეწველობის სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა 2019 წელს შეადგენდა 125,2 ათას კაცს, რაც მთლიანად ბიზნესსექტორში დაქირავებით დასაქმებულთა 17,8%-ს წარმოადგენდა (საქსტატი, 2019წ). ამ მხრივ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს საქართველოს მრეწველობის სექტორში დაქირავებით დასაქმებულთა დინამიკა წლების მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია ავტორის მიერ ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით (საქსტატი, 2019წ) შედგენილ ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე (იხ. გრაფიკი 12):


გრაფიკი 12



იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას საქართველოს მრეწველობის სექტორთან დაკავშირებით, საჭიროა, განვსაზღვროთ, რამდენს

შეადგენდა ამ მიმართულებით განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მოცულობა 2019 წელს. შესაბამისად, ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, 2019 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მრეწველობის სექტორში შეადგინა 167,8 მლნ. აშშ დოლარი, საიდანაც 115, 4 მლნ. აშშ დოლარი დამამუშავებელ მრეწველობაზე, ხოლო 52,4 მლნ. აშშ დოლარი სამთომოპოვებით მრეწველობაზე ნაწილდება. სხვა სიტყვებით რომ დავახასიათოთ, საქართველოში 2019 წელს მრეწველობის სექტორში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი იმავე პერიოდში განხორციელებული მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მხოლოდ 12,7%-ს შეადგენს (საქსტატი, 2020ჟ), რაც, ჩემი აზრით, საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი ხდება მაშინ, თუ ვიტყვით, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მრეწველობის სექტორში 2019 წელს 27,7%-ით არის შემცირებული 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მხოლოდ დამამუშავებელ მრეწველობაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2019 წელს 32,0%-ით ნაკლებია 2018 წლის იმავე მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო რაც შეეხება სამთომოპოვებით მრეწველობას, 2019 წელს ამ მიმართულებით განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 15,9%-ით არის შემცირებული 2018 წელთან შედარებით (საქსტატი, 2020ჟ).


ქვემოთ მოცემული დიაგრამა (იხ. დიაგრამა 4) იძლევა საშუალებას, შეგვექმნას შედარებით უკეთესი და, იმავდროულად, თვალსაჩინო წარმოდგენა საქართველოს ეკონომიკის ძირითად სექტორებში 2019 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის შესახებ. დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით (საქსტატი, 2020ჟ):



როგორც ზემოთ მოცემული დიაგრამა 4-დან ჩანს, 2019 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაახლოებით 20% საფინანსო სექტორს მოიცავს. დაახლოებით ანალოგიური მოცულობით არის წარმოდგენილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ისეთ სფეროებში, როგორებიცაა სასტუმროები და რესტორნები. აქვე არ უნდა გამოვგრჩეს ე.წ. „დანარჩენი სექტორები“, სადაც 2019 წელს განხორციელებული ჯამური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი 22,2%-ს შეადგენს. საგულისხმოა, რომ ზემოთ ნახსენებ „დანარჩენ სექტორებში“ ყველაზე დიდი წილით წარმოდგენილია ისეთი ეკონომიკური საქმიანობის სახეები, რომლებიც დაკავშირებულია ვაჭრობასა და ხელოვნებასთან, დასვენებასა და გართობის სფეროსთან. აღნიშნული ტენდენციის უკეთ შეფასება შესაძლებელია ქვემოთ წარმოდგენილი გრაფიკის (იხ. გრაფიკი 13) მეშვეობით, სადაც ზემოთ ნახსენები ორივე დარგის წილი 48-48%-ით

განისაზღვრა. ნიშანდობლივია, რომ ხელოვნების, გართობისა და დასვენების სფერო მოიცავს ისეთ ეკონომიკურ საქმიანობებსაც, რომლებიც დაკავშირებულია აზარტულ თამაშებთან. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომლის მიხედვით, განათლების სფეროში 2019 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მოცულობა მიზერულია და მისი წილი „დანარჩენ სექტორებში“ განისაზღვრება სულ რაღაც 1%-ით. გარდა ამისა, მიზერულია კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევის სფეროში პირდაპირი უცხოური ინვესტიციის წილიც (3%):

გრაფიკი 13



ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მრეწველობის სექტორი საქართველოში არცთუ ხელსაყრელ მდგომარეობაშია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, საინტერესოა იმის განსაზღვრა, თუ რამდენს


შეადგენდა სამრეწველო სექტორებისა და მომსახურების სექტორების წილი 2019 წელს საქართველოში განხორციელებულ მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში. ამ მიზნის მისაღწევად ის ეკონომიკური სექტორები, სადაც 2019 წელს განხორციელდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ავტორის მიერ ანალიზის პროცესში დაიყო სამრეწველო და მომსახურების სექტორებად. აქედან გამომდინარე, მომსახურების სექტორებში გაერთიანდა ისეთი დარგები, როგორებიცაა:

- უძრავი ქონება;
- ჯანდაცვა და სოციალური დახმარება;
- სასტუმროები და რესტორნები;
- ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა;
- საფინანსო სექტორი;
- დანარჩენი სექტორები (ვაჭრობასა და აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული საქმიანობების ჩათვლით).

რაც შეეხება სამრეწველო სექტორებს, აქ ავტორის მიერ გაერთიანებულია შემდეგი ეკონომიკური დარგები:

- სასოფლო, სატყეო მეურნეობა და თევზის მეურნეობა;
- მშენებლობა;
- სამთომოპოვებითი მრეწველობა;
- გადამამუშავებელი მრეწველობა;
- ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული ჰაერის მიწოდება.

მაჩვენებელთა ამ სახით დაჯგუფების შედეგად იკვეთება ის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკში (იხ. გრაფიკი 14):



ამრიგად, ეკონომიკური სექტორების ამ სახით დაყოფის შედეგად ვლინდება ის ტენდენცია, რომლის მიხედვით, 2019 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 64,1% მომსახურების სფეროსთან დაკავშირებულ დარგებზეა განხორციელებული, ხოლო დანარჩენი 35,9% – მრეწველობასთან დაკავშირებულ დარგებზე.

ჩემი აზრით, ის გარემოება, რომლის თანახმადაც საქართველოში მეტწილად ვითარდება მომსახურების სექტორთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობები, წარმოადგენს საკმაოდ დიდ და მნიშვნელოვან პრობლემას ჩვენი ქვეყნისთვის. აქედან გამომდინარე, მომსახურების სფეროს განვითარება და მრეწველობის სფეროს უკან, „კულისებში“ გადატანა (ნებით ან უნებლიეთ) კიდევ უფრო გააძლიერებს საქართველოს დამოკიდებულებას იმპორტზე. იმის

გათვალისწინებით, რომ საქართველოს სამრეწველო პოტენციალი ძალიან სუსტია²⁰, ქვეყანა მუდმივად იმის მცდელობაში იქნება, მომსახურების სფეროს ფუნქციონირებისთვის საჭირო შუალედური პროდუქცია საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოიტანოს.

და მაინც, რა ელოდება საქართველოს მრეწველობის სექტორს მომავალში? ამ რიტორიკულ კითხვაზე პასუხის გაცემამდე ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს პროგნოზი, თუ როგორი იქნება საქართველოში მრეწველობის განვითარების პერსპექტივები 2030 წლამდე პერიოდში. ამ მიზნის მისაღწევად ავტორის მიერ განხორციელდა საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის მონაცემთა ანალიზი, რომლის ფარგლებშიც შემუშავებულ იქნა სამი სავარაუდო სცენარი (პესიმისტური, რეალისტური, ოპტიმისტური) მრეწველობის სექტორის ისეთი მაჩვენებლის შესახებ, როგორც არის ბრუნვა. აქვე, საინტერესო უნდა იყოს, თუ რატომ შეირჩა სწორედ ეს მაჩვენებელი და არა, მაგალითად, დამატებული ღირებულება, რომელიც, პრაქტიკულად, მთლიან სამამულო პროდუქტს წარმოადგენს იმ შემთხვევაში, თუ მას ასევე დაემატება მრეწველობის სექტორში დაუკვირვებადი ეკონომიკის წილი, რისი პროგნოზირებაც დროის ხანგრძლივ მონაკვეთში ტექნიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვან სირთულესთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, პროგნოზისთვის (პესიმისტური, რეალისტური და ოპტიმისტური სცენარებისთვის) ყველაზე ადეკვატურ მაჩვენებელად ავტორის მიერ მიჩნეულ იქნა მრეწველობის სექტორის ბრუნვა. ამასთან, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ბრუნვა, როგორც მაჩვენებელი, გარკვეულწილად ასახავს სექტორის აქტიურობას, გარდა იმისა, რომ მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, ის წარმოადგენს საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს (საქსტატი, 2020ბ).


პესიმისტური, რეალისტური და ოპტიმისტური სცენარების შექმნის საწყის სტადიაზე საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის მონაცემების დამუშავება განხორციელდა სამი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით. ესენია: MS Acces-ი, MS Excel-ი და SPSS (Statistical Package for the Social Sciences).

²⁰ დეტალურად იხილეთ 3.1 პარაგრაფში.

თავდაპირველად საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის მონაცემთა პირველადი დამუშავებისთვის და აგრეთვე გამომავალი ცხრილების მოსამზადებლად გამოყენებულ იქნა MS Access-ი. პესიმისტური, რეალისტური და ოპტიმისტური სცენარების შესადგენად ავტორის მიერ შემუშავდა სპეციალური კოეფიციენტები, საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის მონაცემთა ბოლო ათწლიან დროით მწკრივში (2009-2019) დაფიქსირებული უკიდურესად დაბალი (პესიმისტური სცენარისთვის), საშუალო (რეალისტური სცენარისთვის) და უკიდურესად მაღალი (ოპტიმისტური სცენარისთვის) ტენდენციების შესაბამისად. შემდგომში 2020 წლიდან 2030 წლის ჩათვლით პერიოდზე რეალისტური საპროგნოზო სცენარის შესაქმნელად ავტორის მიერ პროგრამა MS Excel-ში, ფუნქცია Slope-სა და Intercept-ის მეშვეობით, პროგნოზის გამოთვალა განხორციელდა მარტივი წრფივი რეგრესიის მეთოდით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მარტივი წრფივი რეგრესია გულისხმობს შესაბამის მათემატიკურ მოდელს, სადაც ორ X და Y ცვლადს შორის ერთმანეთთან დამოკიდებულების ან პროგნოზის შესაფასებლად გამოიყენება წრფივი ფუნქცია (კისი, 2008, გვ. 23-34).

რაც შეეხება პესიმისტურ და ოპტიმისტურ სცენარებს, მათ განსახორციელებლად ავტორის მიერ გამოყენებულ იქნა სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავების პროგრამა SPSS (Statistical package for Social Science), შემდეგი სახელმძღვანელოს: „Discovering Statistics Using IBM SPSS Statistics“-ის (Field, 2013, pp. 109-111) შესაბამისად. ამ შემთხვევაშიც, მსგავსად ზემოთ აღწერილი პროგნოზის რეალისტური სცენარის გამოთვლისა, ასევე გათვალისწინებულ იქნა ბოლო ათწლიანი დროითი მწკრივის (2009-2019) ანალიზის ფარგლებში შექმნილი კოეფიციენტები. აქვე გარკვევით უნდა აღნიშნოს, რომ ეს პესიმისტური, რეალისტური და ოპტიმისტური სცენარები მხოლოდ ჰიპოთეტურია და ისინი ყველა შესაძლო მოსალოდნელი ტენდენციის შესაფასებლად არის გამოსაყენებელი.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკში ასახულია სამივე ზემოთ აღნიშნული სცენარის ფარგლებში განხორციელებული პროგნოზების საბოლოო შედეგები 2030 წლამდე პერიოდში (იხ. გრაფიკი 15):



ზემოთ წარმოდგენილი გრაფიკი 15 გვიჩვენებს, რომ 2030 წლისთვის როგორც ოპტიმისტური, ასევე რეალისტური და პესიმისტური სცენარები, საბოლოო ჯამში, მაინც ზრდის ტენდენციით ხასიათდებიან. თუმცა, მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვნად განსხვავებულია მათი საბოლოო ზრდის ტემპი. ამრიგად, ავტორის მიერ განხორციელებული პროგნოზის უკეთ წარმოსადგენად და მიღებული მონაცემების შესაფასებლად ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს სამივე სცენარის სათითაოდ განხილვა:

- **რეალისტური სცენარის** თანახმად, COVID-19 ახალი კორონავირუსის უარყოფითი ეფექტის გათვალისწინებით, 2025 წლისთვის მრეწველობის სექტორის ბრუნვის ზრდის ტემპმა 2019 წელთან შედარებით 26,2% უნდა შეადგინოს, ხოლო 2030 წლისთვის – 71,5%. ღირებულებით გამოსახულებაში აღნიშნული ზრდის

ტემპი დაახლოებით 2,7 და 7,4 მლრდ. ლარს შეადგენს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომლის მიხედვით, 2019 წელს მრეწველობის სექტორის მთლიანი ბრუნვა 10,4 მლრდ. ლარით განისაზღვრებოდა, ჩემი აზრით, რეალისტური სცენარისთვის ზემოთ ნახსენები 2,7 და 7,4 მლრდ. ლარი არ უნდა წარმოადგენდეს მცირე მოცულობას. ასევე, რეალისტური სცენარით, 2025 წელს მრეწველობის სექტორის ბრუნვის ზრდის ტემპმა 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებით 30,2% უნდა შეადგინოს, ხოლო 2030 წლის ზრდის ტემპმა – 77,0%. ამ ნიშნულის მისაღწევად საჭიროა მრეწველობის სექტორში მნიშვნელოვანი ინვესტიციების განხორციელება, შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება და, რაც ყველაზე მთავარია, ხელისუფლების მიერ თავის ხელთ არსებული ყველა შესაძლო ბერკეტის გამოყენებით ბიზნესსექტორის აქტიური მხარდაჭერა.

- **ოპტიმისტური სცენარის** თანახმად, 2025 წლისთვის მრეწველობის სექტორის ბრუნვა 2019 წელთან შედარებით იზრდება 106,7%-ით, ხოლო 2030 წელს – 154,1%-ით. საინტერესოა, თუ როგორი იქნება სექტორის ბრუნვის ზრდის ტენდენციები 2025 და 2030 წლებში 2020 წელთან მიმართებით. ავტორის მიერ შემუშავებული ოპტიმისტური სცენარის შესაბამისად, 2025 წელს სექტორის ბრუნვის ზრდის ტემპმა უნდა შეადგინოს დაახლოებით 113,2%, ხოლო 2030 წელს – 162,2%. ცხადია, ოპტიმისტური სცენარის განვითარების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად უმჯობესდება 2019 წლის პერიოდში არსებული ეკონომიკის დონე. თუმცა, მიუხედავად ამისა, აქაც უნდა აღინიშნოს, რომ ოპტიმისტური სცენარის წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებაზე, რაც, უმთავრესად, გამოიხატება სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი მხარდაჭერით, მათ შორის, ისეთი მიმართულებით, როგორცაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

- **პესიმისტური სცენარის** თანახმად, 2025 წლისთვის მრეწველობის სექტორის ბრუნვა 2019 წელთან შედარებით მცირდება 2,0%-ით, ხოლო 2030 წელს იზრდება მხოლოდ 32,3%-ით. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 2019 წელს მრეწველობის სექტორის ბრუნვის ზრდის ტემპი 2018 წლის ანალოგიურ

მაჩვენებელთან შედარებით 13,1%-ს შეადგენდა, ხოლო 2017 წელთან შედარებით – 22,2%-ს, ჩემი აზრით, 10-წლიან პერიოდში 32,3%-იანი ზრდა ძალიან დაბალ მაჩვენებლად შეიძლება შეფასდეს. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, თუ როგორია პესიმისტური სცენარით მრეწველობის სექტორის ბრუნვის ზრდის/კლების ტენდენციები 2025 და 2030 წლებში 2020 წელთან მიმართებით. ამრიგად, 2025 წელს სექტორის ბრუნვის ზრდის ტემპმა შეადგინა 1,1%. 2030 წელს კი ანალოგიური მაჩვენებელი 36,5%-ით განისაზღვრა, რაც, თავის მხრივ, ძალიან დაბალ ტენდენციას წარმოადგენს, ზემოთ მოცემული ფაქტორებიდან გამომდინარე. პესიმისტური სცენარი მხოლოდ იმ შემთხვევაში განვითარდება, თუ საქართველოში არ განხორციელდება:

- COVID-19 ახალი კორონავირუსის საწინააღმდეგო საყოველთაო ვაქცინაცია;
- არ შემუშავდება ეკონომიკის განვითარების დეტალური გეგმა (სადაც ძირითადად ყურადღება გამახვილდება ეკონომიკის რეალური სექტორის გაძლიერებაზე);
- ცოდნასა და, ზოგადად, მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკის ხელშეწყობა;
- არ შემუშავდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ახალი პოლიტიკა.

ყოველივე ამის ფონზე ცალკე შეფასებას საჭიროებს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მნიშვნელოვანი შემცირება, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება 2020 წელს. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2019 წელთან შედარებით 52,9%-ით არის შემცირებული (საქსტატი, 2020ჟ). ამ ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში ძალიან რთული იქნება პესიმისტური სცენარისგან თავის არიდება.

საქართველოს კორონომიკის ნეგატიური გავლენიდან გამოსვლაზე საუბრისას ასევე აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მსოფლიოში ბოლო პერიოდში (იგულისხმება 2021 წელი) ზოგიერთი ექსპერტის მიერ გაჟღერებული მოსაზრება (მაგალითად, Spence, 2021), რომელთა მიხედვით, გლობალური

ვაქცინაციის პირობებში მსოფლიო ეკონომიკის გამოჯანმრთელება 2022 წლის მეორე ნახევრიდან უკვე შესაძლებელი იქნება. ამრიგად, საქართველომ არ უნდა დაუშვას, რომ ქვეყანაში რაიმე გარე თუ შინაგანი ფაქტორების გამო, ვერ მოხერხდეს მოსახლეობის ვაქცინაცია. ასეთ შემთხვევაში პესიმისტურ სცენარში გათვალისწინებული პროგნოზები რეალური გახდება.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საინტერესოა, რა პროგნოზებს აკეთებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოსთან მიმართებით. კერძოდ, მას შემდეგ, რაც 2020 წლის თებერვლის ბოლოს საქართველოში პირველად დაფიქსირდა COVID-19 ახალი კორონავირუსი, აღნიშნულმა გარემოებამ შემდგომ თვეებში მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკის წინსვლასა და განვითარებაზე. ყოველივე ამის გათვალისწინებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზზე დაყრდნობით, 2025 წლისთვის საქართველოს რეალური მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდამ უნდა შეადგინოს დაახლოებით 5% (IMF, 2020).

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ მომზადებული პროგნოზის საბაზისო მოდელის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკის ზრდა 2021-2025 წლების პერიოდში განისაზღვრება 5,5%-ით. აღნიშნული პროგნოზის ფარგლებში ასევე შემუშავებულია პესიმისტური და ოპტიმისტური სცენარები. პესიმისტური სცენარი 2021-2025 წლებში ითვალისწინებს საქართველოს ეკონომიკის დაახლოებით 3%-იან, ხოლო ოპტიმისტური 7,9%-იან ზრდას (სკსო, 2021, გვ. 23-29).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ყოველთვიურად მომზადებული ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასების თანახმად, 2021 წლის აპრილში დამატებული ღირებულების გადამხდელი საწარმოების ბრუნვა 2020 წლის აპრილთან შედარებით 44,8%-ით გაიზარდა (საქსტატი, 2021ბ), ხოლო რაც შეეხება მაისის ანალოგიურ მაჩვენებელს, აღნიშნულ პერიოდში ბრუნვის ზდის ტემპი 2020 წლის მაისთან შედარებით 25,8%-ით განისაზღვრა (საქსტატი, 2021გ). ჩემი შეფასებით, აღნიშნული სწრაფი ზრდა განპირობებულია ე.წ. „ზამბარის ეფექტით“, რადგან 2021 წლის გაზაფხულიდან, COVOD-19 ახალ კორონავირუსთან

დაკავშირებული შეზღუდვების თანდათან მოხსნის გამო, ბიზნესსექტორმა განაახლა აქტიურობა. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ დამატებული ღირებულების გადამხდელი საწარმოების ბრუნვის ზრდა მთლიანი სამამულო პროდუქტის ზრდის საბოლოო მაჩვენებლად არ უნდა ჩაითვალოს.

მრეწველობის განვითარების ეფექტი ჩნდება შედარებით გრძელვადიან პერიოდში. შესაბამისად, მოკლე პერიოდებზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიმღებ პირთა შორის ამ სექტორის განვითარებაზე აქცენტის გაკეთება, სავარაუდოდ, შედარებით ნაკლები პოპულარობით სარგებლობს (ჰაპავა, 2018გ). ეს კი, ჩემი აზრით, ცალკე გამოწვევად შეიძლება დარჩეს, აქედან გამომდინარე კი, გარკვეულწილად შაფერხებს სამრეწველო სექტორის გაძლიერებას. თუმცა, მეორე მხრივ, კვლავ უნდა აღნიშნოს, რომ მრეწველობის (მით უმეტეს, ინოვაციურ, მაღალტექნოლოგიებზე დაფუძნებული მრეწველობის) გარეშე საქართველოს ეკონომიკის წინსვლაზე საუბარიც კი ზედმეტია.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მრეწველობის განვითარებისთვის აუცილებელია სახელმწიფოში გადაწყვეტილების მიმღები პირების შესაბამისი ნება. როგორც წინამდებარე ნაშრომში რამდენჯერმე იქნა აღნიშნული, ქვეყანამ მიმართულება უნდა აიღოს მაღალტექნოლოგიაზე დაფუძნებული პროდუქტების წარმოებისკენ. ის სააგენტოები და დაწესებულებები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე, უმთავრესად უნდა ზრუნავდნენ მრეწველობისა და არა მომსახურების სექტორზე ორიენტირებული ინვესტიციების მოზიდვისათვის. სწორედ მრეწველობისა და ეკონომიკის რეალური სექტორის ხელშეწყობამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკის გამოყვანა რეტროეკონომიკის წიაღიდან და ჩვენი ქვეყნის მომხმარებლური საზოგადოების მწარმოებელ საზოგადოებად ტრანსფორმაცია.

დასკვნები და რეკომენდაციები

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში უმთავრესი ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული მრეწველობაში მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინოვაციური პროდუქციის შექმნასა და ამ გზით ეკონომიკის განვითარებასთან. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული მიმართულება მეტად აქტუალურია იმის ფონზე, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მრეწველობა ეკონომიკის შედარებით სუსტად განვითარებული სექტორია, რომელიც მნიშვნელოვან ხელშეწყობას საჭიროებს.

საქართველოს მრეწველობას, მსგავსად ქვეყნის ეკონომიკის სხვა სექტორებისა, უდიდესი დარტყმა მიაყენა კორონომიკურმა პროცესებმა. არსებულ გარემოებაზე დაკვირვებამ დაგვანახა, რომ ისეთი ქვეყნები, სადაც ეკონომიკის რეალური სექტორი და კონკრეტულად მრეწველობა სუსტად არის განვითარებული, მუდმივად მოწყვლადი ხდება არაეკონომიკური წარმოშობის კრიზისის დროს. სწორედ აქედან გამომდინარე, მრეწველობა ქვეყნის ეკონომიკისა და მისი რეალური სექტორის მთავარ საყრდენადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

მრეწველობაზე საუბრისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბოლო ათწლეულში სულ უფრო გამოიკვეთა ე.წ. მეოთხე და მეხუთე ინდუსტრიული რევოლუციები, რომლებიც, უწინარესად, გულისხმობენ ციფრული და ონლაინ ტექნოლოგიების მნიშვნელობის წინა პლანზე წამოწევას. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მეხუთე ინდუსტრიული რევოლუცია, რომლის ამოსავალ წერტილს ხელოვნური ინტელექტი, სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფა, ე.წ. ბლოკჩეინ სისტემებთან დაკავშირებული ტექნოლოგიები და ასევე **დიდი მონაცემები** (ე.წ. Big Data) წარმოადგენენ. მეხუთე ინდუსტრიული რევოლუცია მნიშვნელოვნად დააჩქარა COVID-19 ახალი კორონავირუსის გამო განვითარებულმა მსოფლიო ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა, რადგან სწორედ ამ დროს დადგა მსოფლიო საზოგადოება სრულიად ახალი გამოწვევებისა და მოთხოვნების წინაშე.

წინამდებარე სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში გამოიკვეთა ტენდენცია, რომლის მიხედვით, დღეს არსებული ეკონომიკური თეორიები საჭიროა გადაყვანილ იქნეს ისეთ სრულიად ახალ – ინოვაციაზე დაფუძნებულ საწყისებზე, როდესაც დიდი მნიშვნელობა მიენიჭება ინდივიდის შემოქმედებითობას, ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის სწორედ ის მიმართულება, რომელიც საზრდოობს ინდივიდის ცოდნით და არა, მაგალითად, ქვეყანაში არსებული ბუნებრივი სასარგებლო წიაღისეულით. გამომდინარე იქიდან, რომ თანამედროვე გამოწვევებთან ეფექტიანად გამკლავების უმთავრეს საშუალებას მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინოვაციური ეკონომიკა წარმოადგენს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადეკვატურ ცოდნაზე მოთხოვნა საზოგადოებაში უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ამ ტიპის ეკონომიკის გასავითარებლად საჭიროა ქვეყანაში გატარდეს შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკა. ეს კი, თავის მხრივ, საბოლოო ჯამში, მოგვცემს საშუალებას, გვექონდეს გარემო კონკურენტუნარიანი ინოვაციური პროდუქციის და მომსახურების შესაქმნელად. ამრიგად, ადგილობრივი წარმოების გაძლიერების საკითხი საქართველოსთვის უფრო მეტად აქტუალური ხდება, რაც დაგვანახა კიდევ კორონომიკურმა კრიზისმა, როდესაც ისეთი ელემენტარული პროდუქციის მიწოდება, როგორსაც წარმოადგენს პირბადე, მხოლოდ იმპორტის ხარჯზე ხორციელდებოდა.

საქართველოს აქვს ინდუსტრიალიზაციისა და, ზოგადად, ეკონომიკის რეალურ სექტორთან დაკავშირებული საკმაოდ მდიდარი ტრადიცია, რომელიც თვალსაჩინოდ საბჭოთა პერიოდში იყო წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, საჭიროა ამ ტრადიციის აღდგენა თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით.

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ საწყის ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება, რომლის მომზადებაშიც აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ სხვადასხვა დარგის მაღალი კვალიფიკაციის მქონე ექსპერტები და მეცნიერები.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად განიხილება ქვეყნის ბიზნესსექტორის „გაფილტვრა“ ისეთი ფირმებისაგან, რომლებიც ვერ/არ ქმნიან საზოგადოებაში არსებული მოთხოვნების ადეკვატურ პროდუქციას ან/და მომსახურებას. ამ პრობლემის აღმოფხვრა წარმოუდგენელია მთავრობის აქტიური ჩარევის გარეშე (თუნდაც – საკანონმდებლო დონეზე). უწინარესად, მხოლოდ ამ გზით მიიღწევა საქართველოში ინოვაციური ეკონომიკური პოლიტიკა და დაიდგეს ტექნოლოგიური ჩამორჩენა.

ამგვარად, წინამდებარე სადოქტორო კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოს სამრეწველო სექტორში ინოვაციური ტექნოლოგიების მოზიდვა და მათი გამოყენება არის იმის უმთავრესი წინაპირობა, რომ ქვეყანაში დაიწყოს კონკურენტუნარიანი, საზოგადოებაში არსებული მოთხოვნების შესაბამისი პროდუქციის წარმოება. ინოვაციური ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა, ერთი მხრივ, განაპირობებს როგორც რეტროეკონომიკური ელემენტების მინიმინიზაციას, ისე, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს ახალი ბიზნესიდეებისა და ბიზნესშესაძლებლობების წინა პლანზე წამოწევას. გარდა ამისა, შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით შესაძლებელია საქართველო გახდეს ინოვაციური მაღალი ტექნოლოგიების ჰაბი რეგიონში. ინოვაციური ეკონომიკის არსებობა წარმოუდგენელია საზოგადოების შესაბამისი მზაობისა და მოთხოვნის გარეშე. გამომდინარე იქიდან, რომ მაღალ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული პროდუქციის მოხმარება და მომსახურების მიღება საზოგადოებაში სულ უფრო აქტიური ხდება, იქმნება საჭიროება სრულიად ახალი ადამიანისეული ფაქტორისა, რომელსაც „მაღალტექნოლოგიური ადამიანის“ (Homo Hi Techicus) მოდელი ეწოდა. აღნიშნული მოდელი შეიძლება დავახასიათოდ, როგორც ინოვაციური ეკონომიკის უწინარესი შემოქმედი. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ საქართველოში „მაღალტექნოლოგიური ადამიანის“ (Homo Hi Techicus) მოდელის წარმატებით ფუნქციონირებისთვის საჭიროა გარკვეული სახეობის რეკომენდაციების შესრულება. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში განხილული საკითხებიდან გამომდინარე, ამ კატეგორიის რეკომენდაციებს წარმოადგენს შემდეგი:

1. **განათლებისა და მეცნიერების სექტორის გაძლიერება.** სახელმწიფომ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად უნდა განსაზღვროს განათლებისა და მეცნიერების სექტორის ხელშეწყობა. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება როგორც სამეცნიერო მიმართულებების დაფინანსების გაზრდა, აგრეთვე სამეცნიერო სფეროს მეტი პოპულარიზაცია საზოგადოებაში და მისით პერსპექტიული კონტინგენტის დაინტერესება. თავის მხრივ, სახელმწიფოს მიერ სამეცნიერო სფეროზე გაწეული ხარჯი – ეს სხვა არაფერია, თუ არა გონივრულად განხორციელებული ინვესტიცია, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ქვეყანაში სამეცნიერო სფეროს განვითარება, რაც განაპირობებს განათლების მთლიანი ხარისხის ამაღლებას და პრესტიჟულს გახდის სამეცნიერო მოღვაწეობას. მიუხედავად ამისა, აქვე უნდა აღნიშნოს, რომ წინამდებარე რეკომენდაციაში უმთავრეს პრიორიტეტად მიჩნეულია ტექნიკური დისციპლინები;
2. **მრეწველობის განვითარების გრძელვადიანი პროგრამის შემუშავება.** იმისათვის, რომ საქართველოში განვითარდეს მრეწველობა და, შესაბამისად, წარმატებით იქნეს ათვისებული ქვეყნის სამრეწველო პოტენციალი, აუცილებლად უნდა შემუშავდეს გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი სტრატეგია, რომლის მომზადებაში აქტიურად მიიღებენ მონაწილებას სხვადასხვა დარგის მაღალი კვალიფიკაციის მქონე მეცნიერები და სპეციალისტები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიასთან ერთად შესამუშავებელი იქნება სამოქმედო გეგმა, შესაბამისი მონიტორინგის სისტემის ჩათვლით. ეს კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანების დაგეგმილ ვადებში შესრულებას;
3. **მაღალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ბიზნესიდეების განვითარება და ხელშეწყობა.** სახელმწიფო უნდა დაინტერესდეს ისეთი ბიზნესიდეების ხელშეწყობითა და წახალისებით, რომლებიც დაკავშირებული იქნება მაღალ ტექნოლოგიებთან. ამ მიზნის მისაღწევად ერთ-ერთი მთავარი

